# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი. № 16 (2795) გამოცემის მე-60 წელი, 1991 19 აპრილი ფასი 40 კაპ.






## ზვიად გამსახურდია — რესპუბლიკის პრეზიდენტი

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის 14 აპრილის სხდომამ მიიღო კანონი პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე ბატონ **ზვიად გამსახურდიას** კანდიდატურას უზენაესი საბჭოს სესიამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

სესიაზე მიღებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის კანონის თანახმად, 1991 წლის 26 მაისს გაიმართება პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნები ფარული კენჭისყრით თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

●

ქართველი მწერლები, „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია, თავის მრავალრიცხოვან მკითხველებთან ერთად ულოცავენ ბატონ **ზვიად გამსახურდიას** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევას და უსურვებენ მისთვის ჩვეული ღირსებით ეტარებინოს ეს საპატიო ტვირთი, დღესაც და მომავალშიც.

კვლავ დაუბრუნდა რუსთაველის გამზირს შოთა რუსთაველის ძეგლი (მოქანდაკე კონსტანტინე მერაბიშვილი, არქიტექტორი გივი ჭაფარიძე). კარგა ხანია, რაც ძეგლისა და მისი შემოგარენის რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა. სიმბოლური იყო მისი გახსნა 14 აპრილს. ეს დღე ხომ ყველა ჩვენთაგანის მეხსიერებაში ქართულ ენასთანაა დაკავშირებული. იმ დღესთან, როცა იდგა დედაენის ყოფნაარყოფნის საკითხი, როცა სურდათ მისი უუფლებობა კონსტიტუციურადაც დაეკანონებინათ და რუსთველის ენა წაეგლიჯათ ქართველი ხალხისათვის. სიმბოლურია იმიტომაც, რომ პოეტის ძეგლის დაბრუნება დამოუკიდებელ საქართველოში მოხდა. ღმერთმა ქნას, რუსთაველის სიბრძნით განათებულიყოს ჩვენი ქვეყნის მომავალი გზა.






გალის ქუჩის № 19 და კაიოლო იაშვილის ქუჩის № 13 სახლებს, სადაც ცხოვრობდა დიდი ქართველი მწერალი, ქართული სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია, გაუკეთდათ მემორიალური დაფები. (ავტორები: მოქანდაკეები — ოთარ ფარულავა და მაყვა კატარკალიშვილი).

მრავალმხრივ სიმბოლურია, რომ ეს მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დედაენის დღეს — 14 აპრილს, ჩვენი სასიქადულო მწერალი ხომ მუდამ ქართული ენისა და ქართველი ერის თავგამოდებული ქომაგი იყო.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას

მივესალმებით 1918 წლის 26 მაისის დეკლარაციის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

გამომცემლობა „საქართველო" მზადაა აქტიური პოზიცია დაიკავოს იმ სამამულო ბრძოლაში, რომელმაც ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობა ჭეშმარიტებად უნდა აქციოს.

დემოკრატიული ქვეყნის აშენებისათვის და იმისათვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტად იქცეს, საჭიროა შინაგანი რწმენა და სიმტკიცე... სწორედ ამ რწმენითა და სიმტკიცით ვიბრძვით საქართველოს მომავლისათვის.

გამომცემლობა „საქართველოს" სახელით
ჯანსუღ ჩარკვიანი

# სად არის ელემენტარული სამართლიანობა?

ნუ გაიკვირვებთ, თუ ამ პაწაწინა კორესპონდენციაში ერთობ კონკრეტულ და თანაც ყოფით ამბავს შევეხები. როდესაც ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს ყოფნა-არყოფნის გრიგალი აზანზარებს, როდესაც უდიდეს ეროვნულ პრობლემებთან შეჭიდებულებს თითქოს კერძო საკითხებისათვის არ უნდა გვეცალოს, ამგვარი საკითხის გაზეთის საშუალებით დაყენება ზოგიერთმა იქნებ დიდ შეუსაბამობადაც ჩამითვალოს. უდიდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემებთან ჭიდილი, რა მძვინვარეც არ უნდა იყოს იგი, ნირს ვერ შეუცვლის ცალკეულ პიროვნებათა და მთლიანად საზოგადოების ბუნებრივ მოთხოვნილებებს, ყოველდღიურ ყოფაცხოვრებას. ადამიანებს ყოველთვის სჭირდებოდათ, სჭირდებათ და დასჭირდებათ ჰაერი, წყალი, ცეცხლი, სინათლე, პური, ჩასაცმელი, დასახურავი, საცხოვრებელი ბინა, სჭირდებოდათ და სჭირდებათ სიყვარული, მეგობრობა, სამართლიანობა, ზნეობრივი დაკმაყოფილება და სხვ. და სხვ.

ჭეშმარიტმა მამულიშვილმა ადამიანმა, თუ საბედისწერო საჭიროებამ მოითხოვა, შეიძლება, ყოველივე ამაზე, თვით სიცოცხლეზეც უარი თქვას, მაგრამ, ვიმეორებ, მხოლოდ მაშინ, როცა ამის გარდაუვალი აუცილებლობა დადგება. არა მგონია, ჩვენი საზოგადოება ან მისი რომელიმე წევრი დღეს ამ ტრაგიკული დილემის წინაშე იდგეს.

ამიტომაც უპატიებელ ცოდვად და მკრეხელობად ნურავინ ჩამითვლის, თუ ისევ იმას დავუბრუნდები, რითაც დავიწყე.

თითოეულ ჩვენგანს ხომ არა ერთჯერ გვიფიქრია: დიდი გალაკტიონი იქნებ დღესაც ცოცხალი გვყოლოდა, ანდა ტრაგიკულად მაინც არ დაღუპულიყო, იმ საბედისწერო დღეს მისი ბედი გულქვა ადამიანებს რომ არ ჩავარდნოდათ ხელთ; იქნებ არც სიმონ ჩიქოვანი დაბრმავებულიყო და არც სერგო ზაქარიაძე გამოგვცლოდა ხელიდან, ცოტა უფრო გულისხმიერები რომ ვყოფილიყავით.

რას იზამ, გული გვტკივა, მაგრამ მოსახდენი უკვე მოხდა და ან უკვე წასულ საქმეს ვეღარსაით მოეწევი! ის-ღა დაგვრჩენია, მომავალში მაინც ვიყოთ ფხიზლად, კიდევ არ გავიმეოროთ წარსულის შეცდომები და მაშინ არ შევეცადოთ წამხდარი საქმის გამოსწორებას, როდესაც ეს უკვე შეუძლებელი იქნება!

გაგიგონიათ პოეტი მურმან ლებანიძე, ამ გაზეთის ხშირი სტუმარი? თუ მოიპოვება საქართველოში თუნდ ერთი ადამიანი, ვისაც ეს სახელი არა სმენოდეს, ვისი გულის სიმებიც პოეტის სტრიქონს არ შეეტოკებინოს?

ეს მურმან ლებანიძე ჩემი მეგობარია. ერთად გვისწავლია, ერთად გვიშიმშილია, ერთად გვიომია და ფარაჯიანები, რაღაც განგებით სიკვდილს გადარჩენილნი, მწერლობაშიაც ერთად მოვსულვართ და სხვა თანამოკალმეებთან ერთად მუზის სამსახურის მძიმე ჭაპანს დღემდე ერთად ვეწევით.

ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მურმანს უარესი ბედი ერგო: უკურნებელი სენით დაავადდა. ჯერ იყო და, ორი ნეკნი ამოკვეთეს, ფილტვი დაუხურეს, შემდეგ კი, მისთვის სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინათ, ბუნებრივი არტერიები ხელოვნურით შეუცვალეს და კაცი-ლეგენდა ისევ თავის ორ ფეხზე დადის, წერს, მუშაობს, ახალ-ახალ ლექსებს აქვეყნებს, მსახურობს კიდევაც და დღითიდღე ალრმავებს სიყვარულს, მშობელი ხალხის გულში რომ დაუთესია.

დადის-მეთქი...

დიახ, დადის სამი ჩახუთული კოლოფისაგან შემდგარ თავის ბინაში, მეხუთე სართულზე...

მითხარით, როგორ გვირჩევთ, ვუცადოთ, სანამ მოკვდება და მერე გამოვთქვათ უმისამართო, ბუნდოვანი საყვედურები, სანამ ცოცხალი იყო არ მივხედეთო, გვეგონა, სულ იცოცხლებდაო, ჩვენ ვართ ხალხიო?

სხვისთვის ხომ მარტო მისი ომის ვეტერანობა იკმარებდა, ზოგს იქნებ მისი ჯანმრთელობის არაორდინარული მდგომარეობის გამოც დასწყვოდა გული! მაგრამ, ხალხო, გარდა ამისა, ის ხომ მურმან ლებანიძეა, ერთი ჩვენი უპირველესი პოეტია!

ამას წინათ სადაც ჯერ არს მურმან ლებანიძეს კატეგორიული და გადაჭრილი უარი უთხრეს მისი დამსახურებისა და საზოგადოებრივი მგომარეობის შესაფერის ბინაზე, კვლავ მეხუთე სართულის კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა მიუსაჯეს, ისევე როგორც მსოფლიო ომში სანახევროდ ტერფებმოკვეთილ გიორგი ნატროშვილს.

სად არის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი, რომლის წევრი მეცა ვარ თვით მურმანთან და გიორგი ნატროშვილთან ერთად, სად არის ელემენტარული სამართლიანობა?

**რევაზ ჯაფარიძე**

14 აპრილი, 1991 წ.

---

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას

ჩემს დღევანდელ სტატუსთან შეუთავსებლად მიმაჩნია გაზეთის რედკოლეგიის წევრობა, რათა არ დაიბადოს ეჭვი პრესაზე ზემოქმედების მცდელობისა ჩემის მხრით. ამიტომ გთხოვთ, გამომიყვანოთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედკოლეგიიდან.

პატივისცემით
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია**
1991 წ. 17. IV

---

# „აიდგილარა“ უარყოფს

ბოლო დროს აფხაზეთის და მთლიანად საქართველოს ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო ე. წ. საკავშირო რეფერენდუმის ჩატარების საკითხი, შემდგომ 31 მარტის საქართველოს რეფერენდუმი და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღება.

ამიტომაც საზოგადოებას თითქოსდა გამორჩა ერთი საყურადღებო საგაზეთო პუბლიკაცია, რომელიც 1991 წლის 12 მარტს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა. სტატიაში — „რამდენი ჯარია ჩვენს ქვეყანაში“ — ავტორები იუწყებიან სხვადასხვა რესპუბლიკებში შეიარაღებული ფორმირებების არსებობისა და მათი შესაძლო მოქმედების შესახებ.

ამ სტატიის იმ ნაწილში, სადაც საუბარია საქართველოში მოქმედ შეიარაღებულ ფორმირებებზე, არის ერთი საყურადღებო ადგილი. გაზეთი, კერძოდ, იუწყება: „აფხაზთა შეიარაღებული რაზმები შეიქმნა 1989 წლის ზაფხულში მომხდარი კონფლიქტის დროს. მაშინ მოხდა აფხაზური მოსახლეობის მოზრდილ მამაკაცთა უმრავლესობის სტრუქტურირება, სამხედრო დანაყოფებად ჩამოყალიბება და მათი „მიწერა“ შეკრების პუნქტებზე. ახალი კონფლიქტის (ღმერთმა ნუ ქნას) შემთხვევაში შეიძლება განგაშზე აღდგეს მცირე (აფხაზები სულ 80 ათასია), მაგრამ მძლავრი, მობილური არმია“.

ამ პუბლიკაციასთან დაკავშირებით მივმართე აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ ხელმძღვანელობას, რომელიც გამოხატავს აფხაზი მოსახლეობის უმრავლესობის აზრს.

„აიდგილარას“ თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ აჩბამ ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ „კომსომოლსკაია პრავდაში“ არაზუსტად არის დასახელებული აფხაზთა რაოდენობა. უნდა იყოს 100 ათასი და არა 80 ათასიო. რაც შეეხება აფხაზთა შეიარაღებულ ფორმირებებს, ზ. აჩბას მისი არსებობის შესახებ გაუგია „კომსომოლსკაია პრავდას“ ფურცლებიდან. ამის შესახებ სხვა არაფერი იცის.

„აიდგილარას“ თავმჯდომარემ სერგეი შამბამ თქვა: „აფხაზეთის სახალხო ფორუმი არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ პოლიტიკური გზით აპირებს დასახული მიზნების განხორციელებას. აფხაზთა გასამხედროებული ორგანიზაციების არსებობის შესახებ გავიგე გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ფურცლებიდან. ამავე დროს აღვნიშნავ, რომ თუ დადგება ჩვენი სამშობლოს, აფხაზეთის დაცვის საკითხი, არცერთი აფხაზი არ დარჩება გულგრილი და ასეთი ფორმირებები სტიქიურად შეიქმნება, ჩვენ არც კი დაგვჭირდება მათი სპეციალური შექმნა. მაგრამ ვცდილობთ, თავიდან ავიცილოთ ასეთი სიტუაციები. ჩვენ ვართ მშვიდობიან, ცივილიზებული მეთოდებით ბრძოლის მომხრე“...

როგორც ვხედავთ, „აიდგილარას“ ხელმძღვანელები უარყოფენ აფხაზთა სამხედრო ფორმირებების არსებობის ფაქტს, რომელზეც წერდა „კომსომოლსკაია პრავდა“.

ასეთ შემთხვევაში კარგი იქნება, თუ „აიდგილარას“ ხელმძღვანელები „კომსომოლსკაია პრავდას“ პუბლიკაციის თაობაზე შესაბამის განმარტებას მისცემენ რუსულენოვან პრესაში — საკავშირო და რესპუბლიკურ გაზეთებში.

**თენგიზ პაჭკორია**
ქ. სოხუმი



# ხსოვნა

1989 წელი, 9 აპრილი... შენ გაიბრძოლე ლამაზად, ამაღლებულად, თავგანწირვით, შენ, ჩემო პატარა საქართველოვ, რადგან „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა“... ღვთისმშობლის წილხვედრმა ქვეყანამ გაიბრძოლე ბოროტი იმპერიის, ტანკების, ნიჩბების, მომწამვლელი გაზების წინააღმდეგ. გაიბრძოლე სანთლებით, ლოცვებით, სიმღერებით, ცეკვებით, ხეზე გაკრული ლექსებით, ტიტებით.

იდექი ამაყი და წარბშეუხრელი. ასე მოდიხარ დღემდე, ასე ივლი მარადჟამს.

1991 წლის 9 აპრილი... „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ — ასე ეწოდება ტრადიციულ გახსენება-კონცერტს, რომელიც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა და 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა. როგორც საღამოს წამყვანმა ბატონმა ჯემალ სეფიაშვილმა ბრძანა, მასში მონაწილეობას ღებულობდა ქართული ესტრადის ყველა თაობის მსახიობი, რომლებიც მოწამეთა სისხლმა და საქართველოს სიყვარულმა გააერთიანა.

ვერც კი წარმომედგინა, რომ 9 აპრილს, ის განუზომელი სიხარულიც შეეძლო მოეტანა ქართველი ერისათვის, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა... უძვირფასესი დღე, უძვირფასესი წუთები... ზეციურო საქართველოვ, თავისუფლებისათვის დაჭრილ-დაჩეხილო და დაწამლულო მოწამენო, აღსრულდა თქვენი ოცნება! სწორედ 9 აპრილს გამოაცხადა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. გილოცავთ ყველას, ყველას, გილოცავთ თქვენ, ჩემო თანატოლებო, თამრიკო, ეკა, ნათია! ისიც ვიცით, ახლა იწყება ყველაზე ძნელი და გადამწყვეტი ბრძოლა. შევედრეთ ღვთისმშობელს ჩვენი საქართველო.

ამ წუთებში?.. ამ წუთებში მღერიან და ცეკვავენ თბილისის ქუჩებში. არა, მთელი საქართველოსი. მთავრობის სახლის წინ ისეთი მიტინგია, თქვენც რომ გიყვარდათ. „საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს“ — კვლავაც მღერიან უსინათლო გოგონები.

„შეჩერდით, აკვნებს არ ესროლოთ, ჯერ ქალებს გვესროლეთ და მერე“ — წკრიალებს თქვენი ხსოვნის საღამოზე ირმა სოხაძესთან ერთად პატარა უსინათლო გოგონას ხმა. ეს თქვენ გიმღერიან, თქვენ გეფერებიან საქართველოსათვის დაღუპულო დედებო, ასულებო, რომლებსაც დედობა არ დაგცალდათ. შენ გიმღერიან, ელისო და შენს დაუბადებელ გმირს, რომლის აკვანიც ერის ისტორიას დაამშვენებდა.

ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართველი მომღერლები: მედეა ძიძიგური, თემურ წიკლაური, სულიკო კოროშინაძე, მანანა თოდაძე, ეკა კვალიაშვილი, სოსო პავლიაშვილი, გოგი დოლიძე, თემურ თათარაშვილი, მერაბ სეფაშვილი... ამაღელვებელი იყო თამარ გვერდწითელის სიმღერა — რექვიემი, რომელმაც სისხლიანი აპრილის საღამო მთელი თავისი სისასტიკითა და ტკივილით გააცოცხლა.

სულგანაბულ დარბაზში ლოცვასავით გაისმა დედა-შვილის სიმღერა: „მამულის საკეთილდღეოდ, ღმერთო, გაზარდე ქართველი“. საქართველოს დამოუკიდებლობით გამოწვეულმა სიხარულმა კიდევ ერთხელ ძალუმად იფეთქა დარბაზში, როცა გაისმა სოსო პავლიაშვილის სიტყვები: „ამოდის მზე და აღებს კარს, ასე ნანატრი თავისუფლება“.

ფრიალებდნენ შინდისფერი დროშები, იწვოდნენ სანთლები, დარბაზი და სცენა გაერთიანდა. მღეროდნენ მსახიობები, მღეროდნენ მაყურებლები. რა ლამაზია ეს გაერთიანება: ერთი მიზანი და ამ მიზნისაკენ ერთიანი სწრაფვა.

კონცერტი გვიან ღამით დამთავრდა. ვდგავარ ფილარმონიის წინ. ამ წუთებში შენ მახსენდები, ნათია, უფრო სწორად, შენი დაკრძალვის დღე, როგორ იყო მუხლმოყრილი საქართველო შენს წინაშე. მახსოვს, ერთმა ბიჭმა შემოგძახა: „ანგელოზი ხარ, ნათია, შენს სულს ვენაცვალე. ცოტანი ვართ ქართველები, მაგრამ მაგრები ვართო“.

ნათია, დღეს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ზეიმობს მთელი საქართველო. ნეტა, თქვენ როგორ შეხვდით ამ დღეს? მერაბთან ერთად, ლოცვით, სიმღერით? ნეტა როგორ შეხვდით... თქვენ, საქართველოსთვის ნაადრევად დაცვენილო ფოთლებო.



მახსენდება დიდი აკაკის სიტყვებიც: „რაც ფოთლებია ხისთვის, ჩვენც ისევე ვართ ქვეყნისათვის. საქართველოც ჩვენი ცხოვრების ხეა, საკუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგილი და ზედ ქრისტეს სჯულია დამყნილი, სანამდის მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრად ექნება გადგმული, შტოების შერხევითა და ფოთლების დაცვენით არა უჭირს-რა. ჩვენც ერთი ფოთოლთაგანი ვართ, ადრე თუ გვიან დასაცვენი ხე, როგორც მცენარე, მოურწყველად ვერ იხარებს, ისე ეროვნების ხესაც ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასადგმელად ოფლთან ერთად ხანდახან წმინდა მოწამებრივი სისხლიც ეჭირვება სარწყავად! — ამგვარი მსხვერპლის უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა და დღეს, თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ!..“

ვაი რომ, ქართველთა „ეროვნების ხე“ დღესაც გაუთავებლად ირწყვება და ირწყვება წმინდა მოწამეობრივი სისხლით სამაჩაბლოში. უშურველად ეწირებიან ქართველი ვაჟკაცები სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლას.

მივაბიჯებ დიდი ტკივილებით, დიდი სიხარულით, მომავალზე ფიქრით... წინ დიდი ბრძოლა გველის, უთანასწორო და სამართლიანი, მაგრამ მჯერა, ქართველი ერი გაიმარჯვებს.

**ნათია ჩუბინიძე**
112-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილები რუს მწერლებს

გურამ პეტრიაშვილი

## წერილი პირველი

პატივცემულო კოლეგებო!

ამ წერილის წერა რომ დავიწყე, ადრესატად მხოლოდ ერთ მწერალს ვგულისხმობდი, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე, ყველასთვის მომეწერა.

ის მწერალი გახლავთ ალექსანდრე ბორშჩაგოვსკი, რომელმაც „ლიტერატურნაია გაზეტაში" დაწერა, რომ ზნეობრივი უფსკრულია კონსტანტინე გამსახურდიასა და ზვიად გამსახურდიას შორის. (წერილი „მეჩ ხოგაია", 27 მარტი, 1991 წელი).

მხოლოდ მეტად გულუბრყვილო მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ბორშჩაგოვსკის წერილში უბრალოდ მამა-შვილია დაპირისპირებული.

კონსტანტინე გამსახურდია, კლასიკოსია ქართული ლიტერატურისა.

ხოლო ზვიად გამსახურდია ეროვნული მოძრაობის წინამძღოლია.

ამგვარად მამა-შვილის სახით ბორშჩაგოვსკი ერთმანეთს უპირისპირებს ქართული მწერლობის ჰუმანისტურ ტრადიციებს და ამჟამინდელ ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

კაცი ძალიან უნდა იყოს გაბოროტებული და ამ გაბოროტებით გონდაკარგული, რომ რომელიმე ქვეყნის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს უზნეობა დასწამოს და იმასაც ვერ მიხვდეს, რომ ამით შეურაცხყოფას აყენებს მთელს ხალხს, რომელმაც ეს უზენაესი საბჭო აირჩია.

ბუნებით ბორშჩაგოვსკი ბოროტი კაცი არაა.

მას რომ სიმართლე და სინდისიერება უყვარს, ამის დასტურად მისი წიგნების მკითხველები ალბათ ბევრ რამეს გაიხსენებენ, მე კი, თუმცა ძირისძირობამდე არ ვიცნობ თანამედროვე რუსულ ლიტერატურას, მაინც მახსოვს „ნედელიაში" დაბეჭდილი პატარა მოთხრობა, სევდიანი და მართალი „სამი ალვა პლიუშჩიხაზე".

მაშ რამ გააბოროტა ეს კაცი?

რომ ავხსნათ „მეჩ ხოგაიას" მსგავსი წერილების დაწერის მიზეზები, ფსიქოლოგიისა და ინსტინქტების სფეროში უნდა შევიხედოთ.

პატივცემულო კოლეგებო, გთხოვთ მშვიდად წაიკითხოთ ჩემი მოსაზრებები და ასევე მშვიდად მეკამათოთ არგუმენტებითა და ფაქტებით, თუკი ჩემთან კამათს მოისურვებთ.

ამასთანავე მინდა გაგახსენოთ, რომ რუსულ მწერლობაში ყოფილან ადამიანები, რომლებსაც დუელში გასვლისა არ შეშინებიათ.

პატიოსანი ორთაბრძოლა რომ შედგეს, ამისთვის საჭიროა, იარაღი ერთნაირი ჰქონდეს ორივე მხარეს.

ვისაც ჩემთან შეკამათება მოგინდებათ, ჯერ ეცადეთ, რომ თქვენს „ლიტერატურნაია გაზეტაში" სრულად დაიბეჭდოს ჩემი წერილი და მერე იქვე შემეკამათეთ.

და კიდევ ერთი.

ამ წერილის კითხვისას მინდა გახსოვდეთ:

მხოლოდ ჩემს ერზე არა ვწუხვარ, გულწრფელად მსურს, რომ რუსეთიც გადარჩეს.

ახლა კი შევუდგეთ საქმეს.

შევიხედოთ ფსიქოლოგიისა და ინსტინქტების სფეროში.

რუსი მწერალი ალექსანდრე ბორშჩაგოვსკი ინსტინქტურად დაესხა თავს ზვიად გამსახურდიას.

ხოლო იმ ინსტინქტს, რომელმაც თავდასხმისკენ უბიძგა, ჰქვია იმპერიული ინსტინქტი.

თუ როგორ ხდება ამ ინსტინქტის გამომუშავება, მოგახსენებთ.

წარმოგიდგენთ ერთი ხანგრძლივი კვლევის შედეგებს.

დაკვირვება მოვახდინე სწორედ თქვენზე, რუს მწერლებზე და დასკვნა ასეთი გამოვიტანე:

ის მწერლებიც კი, იმპერიას არცერთ სხვა საკითხში არაფერს რომ არ უჯერებენ, როგორც კი საქმე შეეხება იმპერიის ტერიტორიისა და ერთაშორისი ურთიერთობების საკითხებს, იმავ წამს თვითონვე ხდებიან იმპერიული პროპაგანდის რუპორები.

გამონაკლისებზე და მათს დიდ ისტორიულ მისიაზე შემდეგში ვიტყვი, ხოლო ახლა ჯერ იმათზე უნდა ვთქვათ, ვინც არსებულ წესს ემორჩილება.

რომ არ გეგონოთ, მხოლოდ სსრკ-ს მწერალთა კავშირის წევრებზე მაქვს ლაპარაკი, დავიწყებ სათავიდან.

თვით რუსული სიტყვის ჯადოქარი, დიდი პუშკინი იმპერიულად აზროვნებდა.

ჯერ გავიხსენოთ მისი ლექსი „პტიჩკა".

**...Я стал доступен**
**утешенью;**
**За что на бога мне**
**роптать,**
**Когда хоть одному**
**творенью**
**Я мог свободу**
**даровать!**

ახლა კი შეგახსენებთ, თუ რა მოჰყვება „კავკაზსკი პლენნიკ"-ის ეპილოგში ცნობილ სტრიქონს:

— Смирись, Кавказ; идет
Ермолов!

პუშკინი ასე მიმართავს კავკასიელებს:

**Но не спасла вас**
**наша кровь,**
**Ни очарованные брони,**
**Ни гори, ни лихие кони,**
**Ни дикой вольности**
**любовь!**

საოცარი არაა განა, რომ „პტიჩკაც" და „კავკაზსკი პლენნიკიც" ერთი კაცის დაწერილია?

ამ კაცს, ერთის მხრივ, უხარია, რომ პაწია ჩიტი გაუშვა გალიიდან, მეორეს მხრივ კი ამბობს, მინდა, რომ მთელი ხალხები ჩემს მშობელ ხალხს დაემონონო.

რაზე მეტყველებს ეს ყველაფერი?

მხოლოდ იმაზე, რომ ეს გენიალური პოეტიც კი იმპერიული ცნობიერების მონა ხდებოდა, როგორც კი საქმე ტერიტორიებს და სხვა ერებს შეეხებოდა ხოლმე.

განსაკუთრებით მსურს ყურადღება მიგაქცევინოთ ორ სტრიქონზე.

„პტიჩკა"-დან:

**Я мог СВОБОДУ**
**даровать.**

„კავკაზსკი პლენნიკ"-იდან:

**Ни ДИКОЙ**
**ВОЛНОСТИ любовь.**

რაც უნდა დიდი მოყვარულები ვიყოთ ცხოველებისა და ფრინველებისა, მაინც ვერ დავეთანხმებით პოეტს, რომ ჩიტის თავისუფლებას „სვობოდა" ჰქვია, ხოლო კავკასიის ხალხების თავისუფლებას კი „დიკაია ვოლნოსტ".

სადაც სამართალია, სწორედ რომ, ნამცეცა ტვინის მქონე ჩიტზე შეიძლება თქვა, „დიკაია ვოლნოსტ"-ი უყვარსო. ჩიტს ხომ გააზრებული არა აქვს, თუ რა არის თავისუფლება.

ხოლო თავისთავადი და დიდი კულტურის მქონე კავკასია სრულიად გაცნობიერებულად, სწორედაც რომ წმინდათაწმინდა „სვობოდას" იცავდა, როცა რუსის ხმალსა და ხიშტს ებრძოდა.

ეპითეტი „დიკაია" ცალკე დიდი საუბრის თემაა.

როდესმე ვრცლად გესაუბრებით ამაზე, ახლა კი მოკლედ ვიტყვი:

„დიკაია" ალიბად მოიტანა პუშკინმა.

პოეტი ხომ არა მარტო მშვენიერების ღმერთის ქურუმია. ის სიკეთეს და სამართალს უნდა უკმევდეს სანთლებს.

რითი უნდა გაამართლოს მან ერთი ერის მიერ მეორის დაპყრობა?

რითი უნდა გაამართლოს ეს ულვთო ძალადობა?

— ისინი „დიკები" ანუ „ველურები" არიან, ჩვენ მათ კი არ ვიპყრობთ, არამედ მათთვის სიკეთე გვინდა, გვინდა კულტურა შევიტანოთ მათშიო.

დავუშვათ ახლა, რომ დაპყრობილი ერი რუსეთზე არანაკლებ „ევროპიელია".

მაგალითად, ეს იყოს პოლონეთი.

რითი ამართლებდა პუშკინი იმას, რომ რუსეთი პოლონეთსაც ეჯდა თავზე?

აი, პოლონეთი კვლავ აჯანყდა, რუსის ჯარმა კვლავ სისხლში ჩაახრჩო ვარშავა და ევროპამ ეს არ მოუწონა თავის „ჟანდარმს".

რა უპასუხა პუშკინმა?

„კლევეტნიკები" ხართო უთხრა და ლაკონურად მოუჭრა:

**Оставьте: этот спор**
**славян между собою-ო.**

ესე იგი, თუ ღმერთმა სლავურ ხალხად გაგაჩინა, რუსეთს უფლება აქვს, როცა მოესურვება, მაშინ გირტყას თავში?

ძალიან საინტერესოა შემდეგი სტროფი:

**Кто устоит**
**в неравном споре:**
**Кичливый лях иль**
**верный Росс?**
**Славянские ль ручьи**
**сольются в русском**
**море?**
**Оно ли иссякнет?**
**Вот вопрос.**

კავკასიელებს რომ არ სურდათ რუსებს დამონებოდნენ, ამიტომ მათ ველურები უწოდა პუშკინმა, ახლა პოლონელებმა თქვეს თავისუფლება გვინდაო და პოეტს იქვე აქვს გამზადებული მათთვის ეპითეტი: „კიჩლივები" ხართო.

ამ ეპითეტს კიდევ რა უშავს, დამპყრობელმა აჯანყებული შეიძლება მიიჩნიოს „კიჩლივად", არ გეკუთვნის თავისუფლება და რას იკაჩებიო. მაგრამ ყოვლად გაუგებარია, თუ რატომ უწოდებს დამპყრობელი თავის თავს „ვერნი"-ს.

და ბოლოს, ამ ლექსზე საუბარი უნდა დავამთავრო იმით, რომ იმპერიული ცნობიერების უებრო ნაყოფია შედარება, რომელიცაა მოცემული ზემომოყვანილ სტროფის ბოლო ორ სტრიქონში.

პოლონეთი და სხვა სლავური ქვეყნები ნაკადულები ყოფილა, რუსეთი კი — ზღვა. და ზღვამ ხომ ბოლოსდაბოლოს უნდა გადაყლაპოს ნაკადულები. ასეთია ბუნების კანონი.

განა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შედარებაში გამოხატულია ის იდეა, რომელიც მოსწონს „ხოგაის მინდიაში" ბორშჩაგოვსკის და რომელსაც მან დაარქვა: „გუმანნაია იდეია რავენსტვა ვსეხ ლიუდეი ი ნაროდოვ"?

კიდევ უფრო უცნაურია ის აზრი, რომ, თუკი სლავური ნაკადულები არ შეუერთდნენ რუსეთის ზღვას, მაშინ ის „დაშრება".

ესე იგი თუ სხვები არ დაიპყრო რუსეთმა და „სოლიუტსია" არ მოხდა, რუსეთი დაიღუპება?

ეს აზრი, არა მარტო უცნაურია, არამედ სახიფათოცაა.

სახიფათოა, უპირველეს ყოვლისა, თვით რუსეთისთვის, რადგან ასე რუსეთი სამუდამოდ განწირული ხდება იმისთვის, რომ დამპყრობლური ომები აწარმოოს.

— არა, ბატონო ალექსანდრე სერგეის-ძევ, — ვეტყოდი, პუშკინს რომ შევხვედროდი, — ყოველი ხალხი თანაბარი უფლებებით გააჩინა უფალმა. თუ მაინც და მაინც გსურთ წყალს შეადაროთ, მაშინ არა სჯობს განა, რომ ერები ლამაზი ტბები იყოს, რომლებშიც თანაბრად ლამაზად ირეკლება მაღალი ზეცა?

ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, იმპერიული აზროვნების სენმა იმდენად მძლავრად დაიპყრო რუსული მწერლობა, რომ ცოტა ვინმე თუ გადაურჩა მას.

გავიხსენოთ თუნდაც დოსტოევსკი.

ეს გენიალური მწერალი ხომ გამუდმებით სინდისზე და ზნეობაზე ფიქრობდა და დატოვა განსაცვიფრებლად ჰუმანური ნათქვამი: ბავშვის ერთადერთი ცრემლიც თუ დაიღვარა, არ მინდა ეგეთი მსოფლიო ჰარმონია და ბედნიერებაო.

და ამის მთქმელივე წერს ასეთ რამეს:

**...Константинополь — рано ли, поздно ли, должен быть наш... («Дневник писателя», 1876, июнь).**

შეიძლება მკითხველს ეგონოს დაუფიქრებლობის გამო წამოსცდა დიდ ჰუმანისტს მისთვის შეუფერებელი სიტყვებიო.

არა, მეგობრებო, 1877 წლის „დნევნიკ პისატელიაში" დოსტოევსკის ორჯერ გააქვს წერილის სათაურში „კონსტანტინოპოლის საკითხი".

**Еще раз о том, что Константинополь, рано ли, поздно ли, а должен быть наш.**

— ეს მარტში.

**Толки о мире. «Константинополь должен быть наш» — возможно ли это? Разные мнения.**

ეს კი —ნოემბერში.

მსურველებს შეუძლიათ წაიკითხონ აღნიშნული წერილები და თვითონ დარწმუნდებიან, რომ მწერალი დოსტოევსკი ტიპიური იმპერიალისტია. მე კი მის მიერ ანდერძივით დატოვებულ ერთ მოსაზრებასღა წაგაკითხებთ:

**...Рано ли, поздно ли, а КОНСТАНТИНОПОЛЬ ДОЛЖЕН БЫТЬ НАШ, и хотя бы лишь в будущем столетии! Это нам, русским, надо всегда иметь в виду, всем неуклонно.**

(ხაზგასმა ავტორისაა — გ. პ).

ასეთია იმპერიული მორალი. ის გაორებულია:

ზოგადად პატარა ჩიტის თავისუფლებაც კი უხარია პოეტს, ხოლო როცა საქმე საქმეზე მიდგება, ათეულობით ხალხების დაპყრობისა და დამონების მომხრეა.

ერთადერთი „სლეზინკაც" არ უნდა ჩამოუვარდეს ბავშვსო, ამბობს მწერალი და იქვე თავისიანებს მოუწოდებს, წავიდეთ, კონსტანტინოპოლი ავიღოთო.

კონსტანტინოპოლის აღება განა „სლეზინკების" დაღვრის გარეშე მოხდება? განა ათასობით და ათიათასობით ბავშვი არ შეეწირება ამას?

რა უნდა ექნა რუსულ მწერლობას?

ის წინ უნდა აღდგომოდა გაორებულ მორალს და ეთქვა: თქვენც, ალექსანდრე სერგეისძევ, და თქვენც, ფიოდორ მიხეილის-ძევ, გენიოსები ხართ, მაგრამ ნაციონალურ საკითხში ძალიან გეშლებათ. ყველა ერი თანასწორია უფლის წინაშე, ამიტომაც იმპერიალისტურ, დაპყრობით ომებს არავითარი გამართლება არა აქვსო.

მაგრამ რუსული მწერლობა ისევე, როგორც საერთოდ რუსული საზოგადოებრივი ცნობიერება, ჯერ კიდევ პუშკინამდე დიდი ხნით ადრე შეაცდინა ეშმაკმა და ჩაუნერგა დამღუპველი აზრი, რომ რუსეთი რჩეული ქვეყანაა და ღირსია, რათა სხვა ქვეყნებზე იბატონოს.

ამიტომაც რუსული მწერლობა და საზოგადოებრივი აზრი მუდამ მხარში ედგა იმპერიას და თავის ხალხში თვით ამკვიდრებდა გაორებულ მორალს: ზოგადად — ჰუმანურს, სხვა ერებთან მიმართებაში — იმპერიალისტურს.

ასეთი გაორებული მორალითვეა აღზრდილი თანამედროვე რუსი მწერალი ალექსანდრე ბორშჩაგოვსკი, რომლის მაგალითზეც კარგად ჩანს რუსულ მწერლობაზე ჩემი დასკვნების მართებულობა.

ამ მწერლის ერთი წიგნის ანოტაციაში წერია, რომ თურმე წიგნში აღწერილია, თუ ყირიმის ომის დროს როგორ მისდგომია კამჩატკის ნაპირებს ინგლისურ-ფრანგული ესკადრა რუსული საზღვაო ციხე-სიმაგრეების გასანადგურებლად.

ამას მოჰყვება ასეთი სტრიქონები:

**Роман прославляет героических защитников искони русских земель...**

ხედავთ!

ეს რას ამბობს ანოტაციის დამწერი. ნუთუ წიგნის ავტორს კამჩატკა, მართლაც, „исконн", (ანუ ძველთაძველი) რუსული მიწა ჰგონია?

მართლაც ასეა, მეგობრებო.

არამცთუ კამჩატკა, რომანის ბოლო აბზაცი იმაზე მეტყველებს, რომ ბორშჩაგოვსკის საერთოდ ყველა მიწა რუსული ჰგონია, სადაც კი რუსს დაუდგამს ფეხი:

**Они и их дети обновят его, покроют берега Амура цепью русских поселений и станиц, протянут телеграфные линии, сдружатся с добросердечными местными племенами. Они построят обширные гавани, крепости и форты, над которыми всегда будут развеваться русские флаги.**

ოთხი კითხვა მაქვს ავტორთან:

1) თუკი კამჩატკაც და ამურის სანაპიროებიც „ისკონი" ანუ ძველთაგანვე რუსული მიწებია, მაშინ, აქ ხომ ძველთაგანვე რუსებსაც უნდა ეცხოვრათ აქაურ

(დასასრული მე-4 გვ.)

ლს 19 აპრილი, 1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ტომებთან ერთად. რატომაა რომ ახლა ჰქმნიან „პოსელენიე“-ებს?

2) თუკი ძველთაგანვე აქ ცხოვრობენ რუსები, მაშ ახლა რატომაა საჭირო ადგილობრივ ტომებთან დამეგობრება? „სდრუჟატსია“-ს ახლა კი არ უნდა შვრებოდნენ, საუკუნეების წინ უნდა ექნათ.

3) თუკი რომელიღაც ტომებზე ამბობ „მესტნიე“-ო, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა ტომი (ანუ რუსები) ადგილობრივი არაა ანუ ეს მიწები „ისკონი“ რუსული ვერაა.

რას იტყვით ამაზე?

4) ეს მეოთხე კითხვა მთავარია: რატომ უნდა ფრიალებდეს აქ რუსული „ფლაგები“ და არა ადგილობრივი ტომებისა?

ავტორის ცნობიერებაში ისეა გამჯდარი იმპერიული აზრები, რომ ვეღარც კი ამჩნევს, როგორი ყალბია ეპითეტი „დობროსერდეჩნიე“.

„დობროსერდეჩნიე მესტნიე პლემენა“!

დაპყრობილებს პუშკინი ველურებსა და „კიჩლივებს“ უწოდებდა.

ბორშჩაგოვსკი „დობროსერდეჩნებს“ უწოდებს.

პუშკინის ეპითეტები შეურაცხმყოფელია, მაგრამ სამაგიეროდ სათქმელი პირდაპირაა ნათქვამი.

ბორშჩაგოვსკის ეპითეტი სასიამოვნოა, მაგრამ ფარისევლურია.

ასე იმიტომ კი არ მოხდა, რომ პუშკინი და ეს მწერალი სრულიად სხვადასხვა მასშტაბის მწერლები არიან.

მწერალი დროის შვილია.

ცარისტული რუსული იმპერია ალალი იმპერია იყო. არ მალავდა თავის იმპერიობას: დიახ, დავიპყარი ხალხები, ვიპყრობ და კიდევაც დავიპყრობო.

სურიკოვმა ერმაკის ამბები რომ დახატა, ალალად და გულუბრყვილოდ მიაწერა, ერმაკის მიერ ციმბირის დაპყრობაო.

საბჭოთა რუსული იმპერია კი ფარისევლურია.

მან დაპყრობილ ხალხებს „მოძმე ერები“ დაარქვა.

თანამედროვე ანუ საბჭოთა სურიკოვი იმას კი არ დახატავდა, თუ როგორ ე[illegible]ოდნენ დამპყრობელ ერმაკს, არამედ მხიარულად როგორ უმასპინძლდებოდნენ მათთვის კულტურის მომტან ტიმოფეიჩს „დობროსერდეჩნიე მესტნიე ბრატსკიე პლემენა“.

ბორშჩაგოვსკიმ მაპატიოს, რომ მის ტერმინში „ბრატსკიე“ ჩავამატე.

სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, რომ მასაც ასე დაეწერა. განა თავის წერილში ზუსტად ასე არა წერს: „უიზნ ბრატსკოი იუჟნოი ოსეტიი“-ო?

ნეტავ გულზე ხელს დაიდებდეს ბორშჩაგოვსკი და მეტყოდეს, რა მაგის მოძმეა ეს ეგრეთ წოდებული „იუჟნაია ოსეტია“.

შესაძლოა, არც კი იცოდა, ასეთი რაღაცა რომ არსებობდა და პირველად ახლახანს გაიგო „ვრემიასგან“.

ხოლო რაც შეეხება ადგილობრივი ტომების „დობროსერდეჩნობას“, ძალიან რომ ეწყინოს კიდეც, ვალდებული ვარ მიუკიბავ-მოუკიბავად ვუთხრა ჩემი აზრი ამის შესახებ.

აბა დავფიქრდეთ, განა შესაძლებელია, რომ დაპყრობილი დამპყრობელის მიმართ „დობროსერდეჩნად“ ანუ გულითადად იყოს განწყობილი?

დაპყრობილი ან ეგუება თავის მდგომარეობას და მონა ხდება, ან მუდმივად თავისუფლებაზე მეოცნებე ტყვედ რჩება.

მონას არ შესწევს გულითადობის უნარი. მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ ემლიქვნელოს ბატონს.

ხოლო ტყვე თავს არ დაიმცირებს იმით, რომ გალიმებული ტუჩ-პირი უჩვენოს დამპყრობელს.

ასე რომ, დაპყრობილი ტომი ურჩ ტყვედ დარჩა თუ თავწახრილ მონად იქცა, მის „დობროსერდეჩნობაზე“ ლაპარაკი დაცინვაა და მეტი არაფერი.

აი, რა დამართა საბჭოურ-იმპერიულმა პროპაგანდამ ალექსანდრე ბორშჩაგოვსკის. ჰუმანიზმისა და ზნეობის მოქადაგე კაცი ცინიკოსად წარმოაჩინა.

ვიმეორებ, იგი მსხვერპლია იმპერიული პროპაგანდისა.

დაბადებიდან დღემდე ლექსით, ნახატით, ფილმით, სპექტაკლით, სიმღერით, მეცნიერული ნაშრომით, გაზეთით, რადიოთი, ტელევიზიით სულ ამას ჩასჩიჩინებდნენ: — თქვენი დერჟავა-იმპერია რაც შეიძლება დიდი უნდა იყოსო და ეს აზრი ისე გაუჯდა მთელს არსებაში, რომ ცნობიერებიდან ქვეცნობიერშიც ჩაღწია და ახლა უკვე ინსტინქტურად მოქმედებს ყოველივეს და ყველას წინააღმდეგ, რაც და ვინც იმპერიის ტერიტორიების სიდიდეს ემუქრება.

წერილი ინსტინქტმა დააწერინა ბორშჩაგოვსკის.

— ზვიად გამსახურდიას საქართველოს თავისუფლება უნდა. ესე იგი, მას სურს, რომ იმპერიას ჩამოაცილოს ტერიტორიის გარკვეული რაოდენობა და მერე როგორი: სუბტროპიკებიან-ბორჯომიან-წყალტუბოიანიო!

აი, ეს იგრძნო ბორშჩაგოვსკიმ.

— ასეა ხომ?! — იკივლა ბორშჩაგოვსკიმ ინსტინქტურად, ხტაცა ხელი კალმისტარს და ინსტინქტურადვე მოიქნია იგი, რათა რაც შეიძლება მძიმედ დაეჭრა იმპერიის მტერი.

ასე რომ, ალექსანდრე ბორჩაგოვსკის გაბოროტების მიზეზი დადგენილია:

ის იმპერიულმა ინსტინქტმა გააბოროტა.

ხოლო იმპერიული ინსტინქტი ცნობიერების იმპერიული დაავადების შედეგად უჩნდება ადამიანს.

ესე იგი, საჭიროა ცნობიერების იმპერიული დაავადებისგან განკურნება.

როგორ უნდა მოხდეს ეს?

სულ უბრალოდ:

ყოველმა რუსმა ადამიანმა, მწერალმაც და არამწერალმაც, უნდა შეიგნოს ჭეშმარიტება, რომ ყველა ერი თანასწორია და ყველამ თვითონ უნდა მოუაროს თავის თავს საკუთარ ქვეყანაში.

არცერთ ერს არა აქვს უფლება სხვაზე ბატონობისა და არც იმისა, რომ „უფროს ძმად“ მოევლინოს სხვებს.

ესაა და ეს.

რა უბრალო რამაა, მაგრამ რა ძნელია ამის დაჯერება იმ კაცისთვის, ვისი მამაც, პაპაც და პაპის პაპაც იმ შეგნებით იზრდებოდნენ, რომ „რანო ილი პოზდნო“ კონსტანტინოპოლი მათი უნდა ყოფილიყო.

კი, ძნელია იმპერიული სენისაგან ცნობიერების განკურნება, მაგრამ ისტორია მაინც თავისას შვრება, პატივცემულო კოლეგებო, რუსო მწერლებო.

თქვენს წინაპარს პუშკინს პოლონეთი საკუთარ სამფლობელოდ მიაჩნდა და ძალიან განრისხდებოდა, ვინმეს რომ ეთქვა, როდისმე ეგ ქვეყანა სულ დაგიძვრებათ ხელიდანო.

აი, თქვენ, კი, როგორც ვიცი, საკმაოდ მშვიდად უცქერით იმ ამბავს, რომ პოლონეთიდან გამოდიან საბჭოთა რუსული იმპერიის ჯარები.

თქვენი სიმშვიდე იმას ნიშნავს, რომ რუსი მწერლის ცნობიერებაში პოლონეთი უკვე აღარაა რუსეთის კუთვნილება.

ფინეთი რომ მისი არაა, უფრო ადრე ამასაც შეეგუა რუსული მწერლობის ცნობიერება.

ალექსანდრ სერგეის-ძეს კი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ესეც ძალიან გააბრაზებდა, რომ ეთქვათ, ფინეთს დაკარგავთ.

ხომ გახსოვთ:

Слух обо мне пройдет
по всей Руси великой,
И назовет меня всяк
сущий в ней язык,
И гордый внук славян,
и фини...

— როგორ თუ ფინეთს დამოუკიდებლობა უნდა, ფინელები თუ აღარ იქნებიან რუსეთის იმპერიაში მე ხომ ლექსის გადაკეთება მომიწევსო, — იტყოდა გაბრაზებული პუშკინი.

რას ვიზამთ, ეგრეა.

იმპერიული პოეზია ძველდება, პატივცემულო კოლეგებო.

გამიგია, თურმე ზემოთმოყვანილი ლექსის ერთ ვარიანტში პუშკინს ქართველიც ჰყავდა მოხსენიებული როგორც მისი ერთ-ერთი „დამსახელებელი“ ანუ „ნაზოვიოტ“-ის მქნელი.

კიდევ კარგი, რომ საბოლოო ვარიანტში აღარ შეუტანია „გრუზინეც“-ი, თორემ ახლა სულ მალე კვლავ მოუწევდა ლექსის გადაკეთება:

იურიდიულად „გრუზინცები“ უკვე დამოუკიდებლები ვართ და რადგან ღმერთი კეთილია, მალე ფაქტობრივადაც გამოვალთ იმპერიიდან, ანუ მის ბრჭყალებს გამოვგლეჯთ ჩვენსავე თავს.

და როცა ეს მოხდება, რამდენიმე წელიწადში რუსი მწერლები იმ აზრსაც შეეჩვევით, რომ საქართველო სხვა სახელმწიფოა და როგორც უკვე დიდი ხანია აღარ (და ვეღარ) ერევით ფინეთის საქმეებში, ასევე აღარ მოგინდებათ საქართველოს საქმეებში ჩარევა (რადგან, რომ მოინდომოთ კიდეც, მაინც ვეღარ ჩაერევით).

კი, ეს ყველაფერი ასე იქნება.

როცა უკანასკნელი საბჭოთა ჯარისკაცი გავა საქართველოდან და საქართველოს თავისუფლება რეალობად იქცევა, სხვა რაღა გზა გექნებათ, შეეგუებით რეალობას.

მაგრამ ვაჟკაცობა ისაა, რომ ახლავე მიხვდეთ, საბჭოთა რუსულ იმპერიას არავითარი უფლება არა აქვს, თავისი ჯარი ჰყავდეს იმ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობამაც ერთხმად მისცა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას.

თქვენ ხომ ჰუმანისტები ხართ, პატივცემულო კოლეგებო, თქვენმა გულმა უნდა იგრძნოს იმპერიის არსებობის სიმახინჯე:

იმპერია ხომ ძალადობაა.

მიხვდით, იგრძენით, დაასწარით მოვლენებს და მოუწოდეთ კრემლს, რომ მან ერთხელ და სამუდამოდ აიღოს ხელი იმპერიაზე.

ვიმეორებ, ახლა აქვს ფასი, რომ თქვას რუსმა მწერალმა, ქართველს, ლიტველს, ლატვიელს, ესტონელს, სომეხს, აზერბაიჯანელს, მოლდაველს, უკრაინელს... თავისუფლება მივეცით და თავი დავანებოთო. ახლაა ამის თქმა ვაჟკაცობა და კაცობა, თორემ უკვე გათავისუფლებულ კაცზე რომ თქვა, თავისუფალიაო, ამას არა სჭირდება მწერლობა და ჰუმანისტობა.

პატივცემულო კოლეგებო, ვიცი რაოდენ ძნელია ცნობიერების შეცვლა. გუშინ ფიქრობდით „კონსტანტინოპოლი ჩვენი უნდა იყოსო“ და დღეს, ცხადია, გაგიძნელდებათ რომ იყვიროთ, საქართველოდან ჯარები გავიყვანოთო.

ამიტომ დახაწყისისთვის, არაიმპერიალისტურ აზროვნებაში გასავარჯიშებლად, კარგი იქნებოდა გეფიქრათ იმ დეპეშის ტექსტზე, რომლითაც თქვენ, როგორც ჰუმანისტები, ვალდებული ხართ მოულოცოთ საქართველოს მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება.

წინასწარ გიხდით მადლობას.

ეცადეთ, რაც შეიძლება გულთბილი იყოს თქვენი მოლოცვა, რათა ამით ცოტა მაინც მოეფონოს გულზე თქვენი ჯარისკაცების მიერ სამაჩაბლოში ჩადენილი ბარბაროსობით შეძრულ ქართველობას.

იფიქრეთ, იფიქრეთ, ოღონდ დეპეშას ძალიანაც ნუ დაგვიგვიანებთ.

ადამიანი, რომელიც გადაწყვეტს, აღარ მინდა ვინმე მყავდეს დაპყრობილიო, თავის სულსა და გულსაც ათავისუფლებს მონობისაგან.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

# ხსოვნის საღამო



13 აპრილს გამოჩენილი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის მშობლიურ სოფელ ანაგაში შეიკრიბნენ რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები, სიღნაღის რაიონის მშრომელები, ახალგაზრდობა. შეკრებილებმა დაათვალიერეს რეჟისორის ტრაგიკული ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები, პატივი მიაგეს დიდ ქართველ ხელოვანსა და მამულიშვილს.

ამავე დღეს სიღნაღის კულტურის სახლში ჩატარდა სანდრო ახმეტელის ხსოვნის საღამო, რომელსაც უძღვებოდნენ მსახიობები ნინო მამულაიშვილი და ვანო იანტბელიძე.

სიტყვებით გამოვიდნენ თეატრმცოდნეები ნათელა ურუშაძე და ნათელა არველაძე, სანდრო ახმეტელის მოწაფე, რუსთაველის თეატრის ყოფილი მსახიობი თამარ ბაქრაძე; რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ზინა კვერენჩხილაძემ და გოგი გეგეჭკორმა წაიკითხეს მონოლოგები შილერის „ყაჩაღებიდან“; ს. ახმეტელის სახელობის თბილისის დრამატული თეატრის, ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრისა და სიღნაღის სახალხო თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სცენები სპექტაკლებიდან „ტაბარი“, „ალალე“, „ცა რომ სარკე იყოს“; სიღნაღის კულტურის სახლის ვოკალურმა ანსამბლმა შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები.



აჭარა. მურმან ჩაჩუას ფოტო.




თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოაქვეყნა ალექსანდრე ფოცხიშვილის წიგნი „საიათნოვა — ლეგენდები და სინამდვილე“.

დაინტერესებულმა მკითხველმა იცის, რომ ამიერკავკასიის პოპულარული აშუღის საიათნოვას ცხოვრებასა და შემოქმედებასთან მრავალი ლეგენდაა დაკავშირებული. წიგნის ავტორი, საიათნოვას სიმღერების ტექსტების მეცნიერული ანალიზით, ცდილობს ჩაწვდეს ზოგიერთი ამ ლეგენდის სათავეს და თავის ვარაუდს მკითხველს უზიარებს, ამასთან, ცდილობს არ ულალატოს ჭეშმარიტებას, ითვალისწინებს XVIII ს. ისტორიულ ვითარებას და ფეოდალური საქართველოს მორალური ცხოვრების კოდექსით აღმართული წოდებრივი ბარიერის გადალახვის სიძნელეებს, რასაც ბევრი მეცნიერი დღემდე თითქმის უგულვებელყოფდა. ავტორი ძირითადად განიხილავს რვა ლეგენდას, თუმცა, საიათნოვაზე არსებულ ლეგენდათა რიცხვი გაცილებით მეტია.

წიგნის რედაქტორია პროფესორი ზ. კიკნაძე, რეცენზენტები პროფესორი დ. ქუმსიაშვილი და დოცენტი ო. ონიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დალილა ბედიანიძე

## ახალი ლექსები

●

ისიც კარგია, მზეს შორიდან რომ დაინახავ.
გგონია, ზამთარი მორჩა.
ისიც კარგია,
ერთი მერცხალი თუ ჰიკჰიკებს —
გგონია, გაზაფხული მოვიდა
და რომ გგონია; ეგეც შვებაა, ეგეც გაძლება.

●

ერთ დღეს შეხედავ და თვითონვე გაგიკვირდება —
სად წავიდა ის გოგონა,
ყვავილებით რომ რთავდა ოთახს
სად წავიდა ის გოგონა,
გალიმებული რომ იღვიძებდა და იძინებდა
და სიზმარში ანგელოზებს უცინოდა.
სად წავიდა ის გოგონა,
სიმღერით რომ ტრიალებდა შენს ირგვლივ
და უხაროდა გათენებაც და დაღამებაც.
ნუთუ მე თვითონ — მე შევქმენი
ეს სევდიანი,
მდუმარე და მკრთალი პროფილი?

●

წამოვიზარდეთ — გავუგეთ,
რაც დაგვიმალეს ძიძებმა.
მორჩა ბაღნარი, აქ უკვე
ქვიანი გზები იწყება.

გეყოთ, რაც გაპატიესო! —
ქვემოდან ისმის გოდება.
აღმართი მორჩა — იესო
გოლგოთას უახლოვდება.

●

თბილისელ გოგონებს შავის ჩაცმა უყვარდათ მუდამ
და უხდებოდათ კიდევაც შავი,
რადგან გლოვის და მწუხარების გამო არ ეცვათ.
აღარ გიხდებათ, გოგონებო, შავი კაბები,
აღარ გიხდებათ.
შავია დილა
და ჩვიდმეტი წლის ქვრივს წააგავს
მოტირალი თბილისის დილა.

●

გამოტყდი, ერთი — რამდენჯერ გინდა,
შეიპარო საკუთარ სახლში
და დაღლილი,
განმარტოებით დადგე ღია ფანჯარასთან,
ჩამავალ მზეს უყურო დიდხანს,
დიდხანს,
დიდხანს,
და იგრძნო მზეთა მარტოობა
და იგრძნო მზეთა სილამაზე,
მათი, ვისაც ვერასოდეს ვერავინ შეცვლის,
მათი, სიცოცხლეს ვინც ანიჭებს ქვეყნიერებას,
მათი, ვისაც ყველა შეჰხარის,
მაგრამ ვერავინ ვერ ეკარება...
გამოტყდი ერთი,
განა არ გინდა,
აქ დატოვო ეგ სხეული, რომელიც ასე გამძიმებს,
გტოვებს —
და გაჰყვე შორს, შორს... უცოდველი და გამჭვირვალე
მზის საუფლოში ყვავილივით... და დაისვენო!..

●

მზე მოწყვეტილი მიხაკივითაა ცაზე,
მთელი თბილისი საპანაშვიდო ოთახს წააგავს
და გარს უვლის,
მდუმარედ, უვლის მიცვალებულებს.
აქ, ნატვრის ხეზე, წინათ ფერად ნაჭრებს ვაბამდით
და ნაირ-ნაირ სურვილებსაც ვუთქვამდით ხოლმე.
ახლა ნატვრის ხე შაოსანი ქალივით დგას
და ყოველ ტოტზე ძაძები აქვს შებმული ახლა.
მკვდარია დღე და დახოცილი ყვავილებივით
წვანან მკვდრები და დახოცილი ქალებივით
წვანან ქუჩაში ყვავილები —
ცრემლში წვანან და არ ჭკნებიან.

●

რამდენი რამე არ ვიცი, ღმერთო!
და უმეცრება ისე ტკბილია,
რომ აღარ ვიცი, ვისწავლო სევდა,
თუ — ამ სიცოცხლეს მივყვე ლხინიანს?!

რაც უფრო ვსწავლობ, უფრო არ ვიცი,
რაც უფრო მივდევ, გამირბის უფრო...
თუკი ტირილად შემიცვლის სიცილს,
აბა, რად მინდა ასეთი სუფრა?

თუ სიძულვილად მიქცევს სიყვარულს,
აბა, რად მინდა ასეთი სუფრა?
ვკვალავ გზას უკვე ასჯერ გაკვალულს,
ვსწავლობ ნელ-ნელა და ცოტა-ცოტა.

●

დიდი ხანია, ნაბიჯების ხმა მესმის,
მესმის...
კიბეებზე ვიღაც ამოდის,
ვიღაც მოდის და მიახლოვდება.
დიდი ხანია...
მაგრამ აქამდე, რით ვერ მოვიდა?

## შაბურა არაბული

●

ხომ არ ვბერდები? წახდა გუნება
და ვეღარ ვუვლი მამულს საყანეს...
ან დედაქალაქს რა აგუგუნებს,
ან ამ ხალხს ასე რა აყაყანებს?!
რომ ღმერთთან გავჩნდე, მე ველი
ნიშანს,

მთებიდან ხარი მებუბუნება,
ვბერდები, მაგრამ ჯერ არა მიშავს,
ხეების ხელებს მიქნევს ბუნება!..
დაბლა მე ვარ და მზე ბრწყინავს მაღლა,
ვფიქრობ ახლახან გაფრენილ ბუზზე,
კვირაში ერთ ლექსს ძლივსა ვწერს,
მახლას!
მგონია, აღარ ვუყვარვარ მუზებს!..

●

ქარი აშრობდა ქალის პერანგებს,
ლექსით ვიკლავდი სურვილს ჟინიანს...
და თუ პოეტი ტაძარს ვერ აგებს,
თქვენ არ იდარდოთ, ნუ გეშინიათ!
შემოეჩვივნენ ჩემს ბაღს შაშვები
და არსაიდან არ ჩანს საშველი.
...ახლა რას ფიქრობს, ნეტავ რას შვრება
პოეტი ლალი გულისაშვილი...

მაცვია ჯაჭვი,. მაბია დაშნა,
უმეგობრობას ვჩივი შაშვივით.
ვხედავ, ეზოში გამხმარა შინდი,
შემოდგომაა თბილისში როცა,
არავინ მივის, მარტო ვარ შინ და
ვკითხულობ „საგაზაფხულო ლოცვას“.

●

ქურდებს ქურდობა ემაყებათ,
ქალებს — ქალობა,
ქაჯებს — ქაჯობა.
მეც ამ ქალაქმა ბევრი მაყეფა
და სიყვარულშიც, მგონი, მაჯობა.
დამთავრდა ის დრო, როს ავტობუსში
ბილეთს მიღებდა გოგო უცნობი,
დედაქალაქი მხედავს მობუზულს,
აღარ დგას ჟამი ვარდისფურცლობის.
ათოვს ხეივნებს და ათოვს ჭადრებს,
ხე ხელუკულმა ფოთლებს მომაშლის,
გვიან დავწვები და დილით ადრე,
კვლავ ფეხშიშველა გავალ თოვაში.
და გუნდაობენ გარეთ ბავშვები,
მე ჩემს ჩანგს სიმად ნერვი გავუბი.
და რა ვქნა, მეც რომ სხვებს
ვემსგავსები,
რომ მეც ნელ-ნელა მიწოვს ჭაობი.
ვერ დავესახლე მთვარის მახლობლად,
მოვწევ თამბაქოს, შევსვამ, არაყო.
ემაყებათ ძაღლებს ძაღლობა,
მაგრამ პოეტმა რით იამაყოს?..

●

„ელნათურების ცოფიან თვალებს“
ღია სარკმლიდან დალანდავს მთვარე!..
გარდავიცვლები, არ უნდა ფიცი,
დღეს თუ არ მოვკვდი, მოვკვდები
ხვალე.
მე ვისმენ მტრების ჩემს თავზე სიცილს,
ვკოცნი ქალებს და ვისტუმრებ ვალებს.
გარდავიცვლები არ უნდა ფიცი
და სულერთია, გვიან თუ მალე!..

●

გადაქათქათდა ქალაქი ,
დღე არის ცივი, უქარო.
შენ ნუ მოიწყენ, შენ მაინც
„გამხიარულდი, ბუხარო“.

მოწყენილია ქვეყანა
და ჩემი ბინაც უკარო.
შენ ნუ მოიწყენ, შენ მაინც
„გამხიარულდი, ბუხარო“.

სხვები ლაღობენ, ჩემი კი
ცხოვრება მიდის უქალოდ.
შენ ნუ მოიწყენ, შენ მაინც
„გამხიარულდი, ბუხარო“.

იხარონ ჩემმა კარგებმა
და ჩემი მტერი ნუ ხარობს.
შენ ნუ მოიწყენ, შენ მაინც
„გამხიარულდი, ბუხარო“.

### ხიმარტოვე

სახლში მისვლა მას უხარის,
ვისაც სახლში ცოლი უზის,
ჩემს ოთახში კი ჩემს გარდა
ერთადერთი ფრინავს ბუზი,
ფანჯრიდანაც აღარ მოჩანს
მყინვარი და იალბუზი.

სოფელს მხოლოდ სიზმრად ვხედავ,
აქ კი ვხედავ სახლებს, მასივს...
უხილავი მსტუმრობს მუზა
და არწივიც მხარზე მაზის,
ნათელ, არც შენ გამახარე,
მონა შენი სილამაზის.

ცხადში მე ვარ თბილისელი,
სიზმარში კი დავალ მთაში,
ხელში თოფი მიჭირავს და
წელზე მარტყავ „პატრონტაში“.
და მლიქვნელთა ფერმკრთალ ღიმილს
მირჩევნია ტყეთა ტაში.



მთაში
კორნელი ბენძეხაძის ფოტო

# ასე არაფერი გამოგვივა, ბატონებო!

## რევაზ თვარაძე

ერთი მარტივი ჭეშმარიტება გავიხსენოთ: ვერანაირი პაექრობა ვერ მოგვცემს რაიმე ღირებულ შედეგს, თუკი მოპაექრე მხარეებმა საკამათო პრობლემის არსება უგულებელყვეს და მეორეხარისხოვან ან სულაც წვრილმან საკითხებს გადაეგნენ, ანდა, კიდევ უარესი, საკითხის არსების გამოძიების ნაცვლად მოკამათის დისკრედიტაციას მიჰყვეს ხელი.

ამ მხრივ პროფ. კ. დანელიას სტატია („უმართებულო შენიშვნათა გამო", „ლიტერატურული საქართველო", 12.IV.1991), შეთხზული საპასუხოდ ჩემი წერილისა („ლიტერატურული საქართველო", 22.III.91), ერთობ სიმპტომატურად მეჩვენება.

ჩემი „არაპროფესიული, ტენდენციური და ავგანზრახვითი წერილი", რომელშიც საქმე გვაქვს „აშკარა დეზინფორმაციასთან", თურმე არის „წინასაგამოცდო დაძაბული ვითარების შეგნებულად დრამატიზაციის მცდელობა, რათა, პირველ ყოვლისა, მე (ამას კ. დანელია წერს თავისთავზე. — რ. თ.), შემდეგ უნივერსიტეტის რექტორატი და რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრო სახელმწიფო დამნაშავეებად წარმოვეჩინეთ".

სიტყვასიტყვით ასე წერია პროფ. კ. დანელიას სტატიაში.

ვიკითხოთ: რა მიზანი შეიძლებოდა მქონოდა დასახული, წინასაგამოცდო დაძაბული ვითარების შეგნებულად დრამატიზაციის მცდელობას რომ შევუდექი? რას მივესწრაფოდი? უნდა ვიფიქროთ, ისეთ რასმე ჩავდიოდი, რაც მე თვითონ რაიმე სარგებლობას მომიტანდა სხვათა საზიანოდ თუ საქმის საზიანოდ, აგრე არ არის?

თავდაპირველად იმის თაობაზე, თუ რა სარგებლობა შეიძლება მომიტანოს ჩემმა სტატიამ. წელს ჩემი შვილი სწორედ თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ ფაკულტეტზე აპირებს მისაღები გამოცდების ჩაბარებას. ჩემს ადგილას ყველა ჭკუათმყოფელი, ნაცვლად იმისა, რომ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის, ქართულ ენასა და ლიტერატურაში საგამოცდო კომისიის უცვლელი თავმჯდომარის კ. დანელიას მოსაზრებები გაეკრიტიკებინა, იმას იზამდა, რომ არასგზით „საქმეს არ გაიფუჭებდა" ესოდენ საჭირო პიროვნებასთან, პირიქით, იმას შეეცდებოდა, კი არ მოემდურებინა ეს დიდად გავლენიანი პიროვნება, არამედ ნაცნობები მიეგზავნა მისთვის და დახმარება ეთხოვნა. ამგვარია, როგორც კარგად მოგეხსენებათ, აბიტურიენტის მშობლისა და საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის (თუ საგამოცდო კომიის რიგითი წევრის) ურთიერთობის დაკანონებული „მოდელი" ანუ, პროფ. კ. დანელიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეტასტაზური პროტექციონიზმი", რის ჩემი მხრივ უგულებელყოფამაც, როგორც ყველაფრიდან ჩანს, პატივცემული პროფესორის უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია.

გარდა ამისა, არ ვიცი, ღმერთმანი, რაღა დრამატიზაცია სჭირდება იმას, რაც ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებსა და, საერთოდ, ჩვენს საზოგადოებაში მისაღები გამოცდების წინ ან საკუთრივ გამოცდების დროს ხდება.

გავიხსენოთ ალბათ ყველასთვის ნაცნობი ძვირფასი სურათები:

მისაღები გამოცდების მოახლოებისთანავე ქალაქში ციებ-ცხელებაა. იწყება საგამოცდო კომისიების წევრთა (განსაკუთრებით — თავმჯდომარეთა და მოადგილეთა) სიების დაზუსტება. მათი ნაცნობის თუ ნაცნობის ნაცნობის (ნათესავის თუ ნათესავის ნათესავის...) თავგადაკლული ძიება, მათი ადგილსამყოფელის დეტექტივის სიმარჯვით დადგენა, ხშირად — წყნეთში, კოჯორსა თუ ტაბახმელაში კონსპირაციის მიზნით გახიზნულ გამომცდელთა მოჩხრეკა, ორივე მხარის დამამცირებელი და კაცური ღირსების შემლახველი ხვეწნა-ვედრება და ათასი სხვა უბედურება. შემდეგ — აგვისტოს თუ ივლისის გაუძლის ხვატში გათანგული მაღალი კორპუსი უნივერსიტეტისა; შიგნით — მართლაც „ინფარქტისწინა მდგომარეობამდე" მისული აბიტურიენტები; გარეთ — თაკარა მზის ქვეშ, უჩრდილო, უწყლო, ხრიოკ ფერდობზე მონღოლთა ურდოებივით შეფენილი მათი მშობლები, ნათესავები თუ ახლობლები, ლამის ტვინი რომ აუდუღდეთ მოცხიცხან; მოვლენათა ცენტრში — მრავალტანჯული გამომცდელნი — საგამოცდო კომისიის წევრები, რომელთაც გარესამყაროსთან და ვგონებ ერთიმეორესთანაც ყოველგვარი კავშირი კატეგორიულად აქვთ აკრძალული და ხშირად, რამდენადაც ვიცი, დღისით თუ ღამითაც კარგამოკეტილებს ამყოფებენ ტუსაღებივით...

დიახ, ნამდვილად არ ვიცი, რაღა დრამატიზაცია სჭირდება ამ საზარელ სურათს, ამ სამარცხვინო, თავისმომჭრელ სანახაობას, რომლის კიდევ უფრო დასამძიმებლად და გასართულებლად არის მოწოდებული პროფ. კ. დანელიას მიერ შემუშავებული მოდელი მისაღები გამოცდებისა. ამის თაობაზე ჩემს ხსენებულ სტატიაში უკვე ვწერდი და ცოტა რამეს ქვემოთაც ვიტყვი.

ჩემი დისკრედიტაციის მცდელობის სხვა მაგალითი: რ. თვარაძის მიერ გამოცემული „ქართული პროზის" ტექსტებში მცდარი ფორმები იხმარებაო. ესე იგი: რ. თვარაძემ გრამატიკა ასე ცუდად რომ იცის, მის სიტყვას რაღა ფასი აქვს, მკითხველნო, არაფერი დაუჯეროთო!

ჯერ ერთი: მცდარია თუ არა კ. დანელიას მიერ მითითებული რამდენიმე ფორმა, ეს ცალკე მსჯელობის საგანია და აქ განსახილველ საკითხებთან აბსოლუტურად არავითარი კავშირი არ აქვს.

მეორე: თუკი ჩემს მიერ გამოცემულ ტექსტებში არსებული ფორმები მართლაც უსწოროდ მიიჩნია პროფ. კ. დანელიამ, მაშინვე, ამ ტექსტების გამოცემისთანავე, სამოცდაათიან წლებში და ოთხმოციანის დამდეგს რატომ არ ატეხა განგაში?

მესამე: ჩავხედოთ პროფ. კ. დანელიას სტატიას, „ახალგაზრდა ივერიელში" დაბეჭდილს (25.X.90), სწორედ იმას, რომელშიც მისაღები გამოცდების ახალ მოდელს გვთავაზობდა. „ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲔᲑᲡ საწერად უნდა ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ხუთი საკითხი"; „ეს ბოლო საკითხი შეიძლება არ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲔᲑᲡ"; „რა სახითაც ისინი ᲔᲫᲚᲔᲕᲐ ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲔᲑᲡ". სამჯერ რომ არ იყოს ნახმარი ეს მცდარი ფორმა (რიცხვში შეუთანხმებლობა), კორექტურად მივიჩნევდი, იმდენად აშკარა დიალექტიზმებია. ამასთან, გავითვალისწინოთ, რომ პროფესორი გამოცდების სტრესულ ვითარებაში კი არ თხზავდა თავის სტატიას, არამედ შინ იჯდა არხეინად და როცა მოეგუნებებოდა და რამდენჯერაც მოესურვებოდა, იმდენჯერ შეეძლო ჩაესწორებინა საკუთარი ნაწერი.

აღარაფერს ვამბობ იმგვარ სტილისტურად შეუწყნარებელ ფორმებზე, როგორიცაა: „ტრაფარეტიზმი ᲪᲝᲓᲜᲐᲨᲘ", „როგორ? — ᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ" („ახალგაზრდა ივერიელი", მითითებული ნომერი); ან კიდევ: „ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ ცოდნის აუცილებლობის ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲐ", „დღემდე ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲛᲐ მოდელმა ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ დიდ მანძილზე მთლიანად გამოამჟღავნა ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ავ-კარგი" („ლ. ს.", 12.IV.91).

ახლა რა, მივდგე და მკითხველებს ვუმტკიცო — პროფესორმა კაცმა, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, ქართულ ენასა და ლიტერატურაში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ გრამატიკა არ იცის და სტილიც დაუხვეწავი აქვს-მეთქი? არა, ბატონებო, შეცდომებისგან არც ერთი ჩვენგანი არ გახლავთ დაზღვეული, გრამატიკული თუ სტილისტური შეცდომები უნდა მივუტევოთ ერთმანეთს (სხვათა შორის — აბიტურიენტებსაც!), მთავარია ეთიკური შეცდომები არ მოგვივიდეს ცხოვრებაში.

ეთიკური შეცდომის ნიმუშად მიმაჩნია პროფ. კ. დანელიას მცდელობა (სამგზის!) — დამაპირისპიროს და როგორმე გადამკიდოს განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა, ანდა უფრო მაღალი ინსტანციაც.

ასეთივე ეთიკური შეცდომაა სხვა მცდელობა კიდევ — დამაპირისპიროს და როგორმე გადამკიდოს ქალბატონი ნათელა ხოშტარია (ავტორს თამარ ხოშტარია უწერია, მაგრამ ესეც უნდა მივუტევოთ).

მომდევნო მაგალითს აღარც ვიცი, რა ვუწოდო: ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ჟამს რ. თვარაძე ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების წინააღმდეგ მიდისო, — ბრძანებს პროფესორი.

მსგავსი მაგალითები უხვად არის მიმობნეული კ. დანელიას წერილში. ყველას ვერ გამოვედევნები.

●

ახლა უმთავრესს მივხედოთ.

ჩემი წერილის არსებას სამი დებულება შეადგენდა:

1. პროფ. კ. დანელიამ და მისმა მომხრეებმა ვერ დაამტკიცეს არსებული, დღემდე მოქმედი საგამოცდო მოდელის უვარგისობა, მისი შეცვლის აუცილებლობა.

2. თვით კ. დანელიას მოდელი ყოვლად უვარგისია.

3. მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტებს მხოლოდ ის უნდა მოეთხოვოთ, რასაც ასწავლიდნენ და როგორც ასწავლიდნენ სკოლაში.

ამ სამი უმთავრესი დებულების დასამტკიცებლად მე საკმაოდ მრავლად მოვიხმე არგუმენტები. ვისაც წაკითხული აქვს ჩემი წერილი („ლ. ს.", 22.III.91), ალბათ დამეთანხმება. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ჩემი მოკამათეც სათანადო და მყარ საბუთებს მოიშველიებდა ჩემი მოსაზრებების საპირისპიროდ.

გულდასაწყვეტია, რომ ჩემი მოკამათე აგრე არ მოქცეულა.

ცალ-ცალკე მივხედოთ სამივე საკითხს.

●

1. დაინტერესებულ მკითხველს ემახსოვრება, რომ ჩემს წერილში საკმაოდ ცხადად გამოიკვეთა საქმის ვითარება: არსებული, დღემდე მოქმედი საგამოცდო მოდელის საწინააღმდეგოდ პროფ. კ. დანელიას ერთადერთი ის არგუმენტი აღმოაჩნდა, რომ მოქმედი მოდელი ლიბერალური არის და გზას უხსნისო „ტრაფარეტიზმს ცოდნაში", „შპარგალკომანიას" და „პროტექციონიზმს".

იმის დასაბუთებას, რომ ეს მოსაზრება მართებული არ არის, მე ჩემი საკმაოდ ვრცელი სტატიის ლამის მეოთხედი მივუძღვენი და, ვფიქრობ, ისიც ნათელვყავი, რომ კ. დანელიას თვალსაზრისი არამცთუ სათანადოდ, საერთოდაც არ იყო არგუმენტირებული.

ამის პასუხად კ. დანელიამ თავის წერილში (შეგახსენებთ: „ლ. ს.", 12.IV.91) ამგვარი რამ ბრძანა: „ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის არსებული მოდელის ნაკლი და მოძველებულობა, ბატონო რევაზ, თქვენი არ ვიცი და, სპეციალისტებისთვის კი საცილობელი არ გახლავთ". და ამ მომაკვდინებელ ირონიას მოაყოლა: არსებული მოდელი გზას უხსნისო — როგორ გგონიათ, რას? — „ტრაფარეტიზმს ცოდნაში", „შპარგალკომანიას" და „პროტექციონიზმს".

ახლა რა ვქნათ? ხელახლა გადმოვწერო იმ ჩემი ვრცელი სტატიის ლამის მეოთხედი, ხელახლა შევუდგე ერთხელ უკვე დასაბუთებულის დასაბუთებას, რათა შემდეგ პროფესორმა დანელიამ პასუხის პასუხის პასუხში კიდევ ერთხელ გაგვიმეოროს — არსებული მოდელი არ ვარგა, რამეთუ გზას უხსნისო „ტრაფარეტიზმს ცოდნაში", „შპარგალკომანიას" და „პროტექციონიზმს"?

ასე არაფერი გამოგვივა, ბატონებო!

კამათის ელემენტარული კულტურა თუ უგულებელვყავით, შესაძლოა დიდად კომიკურ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ და წადგომის ნაცვლად კიდევ უფრო წავახდინოთ ისედაც წამხდარი საქმე.

პროფ. კ. დანელიას განსახილველ სტატიაში ერთი ფრიად მოულოდნელი და, ამასთან, საგულისხმო აღმოჩენა გავაკეთე: თურმე პატივცემულ პროფესორს დღემდე არსებული საგამოცდო მოდელი — თემის, თხზულების წერა — უვარგისად და შესაცვლელად კი მიაჩნია, მაგრამ, ამასთან, სულაც არ მიაჩნია უვარგისად.

მოვუსმინოთ:

„ჩვენ, ცხადია, ᲕᲘᲬᲣᲜᲔᲑᲗ ᲐᲠᲐ ᲗᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠ ᲘᲓᲔᲐᲡ, არამედ ბოლო წლებში მის გაყალბებულად რეალიზაციას..."

„გაუკუღმართებულმა პრაქტიციზმმა ამ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲛᲝᲓᲔᲚᲡ შინაარსი გამოაცალა..." (ხაზგასმები ჩემია).

მაშასადამე, „თემებით წერის კლასიკური იდეა" წარმოადგენს „თავისთავად მშვენიერ მოდელს". „თემებით წერა" მთლად დაწყობილი გამოთქმა რომ ვერ არის, ამას ამჟამად ნუ მივაქცევთ ყურადღებას, სხვა რამ ვიკითხოთ: თუკი არსებული მოდელი თავისთავად მშვენიერია, რატომ უნდა შეიცვალოს? პასუხი:

„დღეს რომ შესაძლებელი იყოს წერითი გამოცდის დღემდე არსებული მოდელის ობიექტურად რეალიზაცია, მისი შეცვლის საჭიროების საკითხი მწვავედ არც დაისმებოდა. მაგრამ დღეს ეს არ ხერხდება".

„ჩვენ, ცხადია, ვიწუნებთ არა თემებით წერის კლასიკურ იდეას, არამედ ბოლო წლებში მის გაყალბებულად რეალიზაციას, რომლის გამოსწორებაც ვერაფრით ხერხდება, ვერც თემების საგანგებოდ გართულებით და ვერც წერაზე თავმდგომთა ყურადღების გაძლიერებით. და რადგანაც დღეს კლასიკური თემებით წერის იდეის ჯანსაღად, პატიოსნად განხორციელება გაძნელებულია, დროებით მაინც უნდა შეველიოთ თვით თემებით წერის იდეას და შევცვალოთ ის კონკრეტული საკითხებით წერის იდეით".

ვერც „წერაზე თავმდგომთა" და „კონკრეტული საკითხებით წერის იდეა" გახლავთ მწყობრი ქართულის ნიმუში, მაგრამ ამჯერად გამოთქმის ფორმა არ არის მთავარი. მთავარია პროფესორის გადასარევი ლოგიკა, რომელიც ამგვარი შედარებისკენ გვიბიძგებს: მშვენიერია ქრისტიანული მცნება „არა იპარო", მაგრამ რადგანაც დღეს ამ მცნების „ობიექტურად რეალიზაცია" არ ხერხდება, მისი „ჯანსაღად, პატიოსნად განხორციელება გაძნელებულია", „დროებით მაინც უნდა შეველიოთ" ამ მშვენიერ მცნებას და სხვა მცნებით შევცვალოთ!

მაინც რა ღმერთი უწყრება ამ თავისთავად მშვენიერ მოდელს, რატომ ვერ ხერხდება მისი ობიექტურად რეალიზაცია? პასუხი:

„ტრადიციული თემებით წერითი გამოცდა, როგორადაც იგი დღემდე ტარდება, ბევრ საზოგადოებრივ მანკიერებას აპირობებს: 1. „ტრაფარეტიზმს ცოდნაში". 2. „შპარგალკომანიას" და 3. „პროტექციონიზმს".

ჩემს მიერ გაკრიტიკებულ თავის პირველ სტატიაში კ. დანელიამ არსებული მოდელის ერთადერთი ნაკლის დასახელება მოახერხა — ლიბერალური არისო. ეს იყო მისი ძირითადი საბუთი. ამჯერად, ლიბერალურობის საკითხი საერთოდ აღარსად იხსენიება, ავტორმა ისე იოლად დაივიწყა ეს ლიბერალურობა არსებული მოდელისა, თითქოს ჩემი არგუმენტი ყოფილიყოს და არა მისი საკუთარი (ვისაც ჩემი სტატია წაკითხული აქვს, ადვილად მიხვდება ამ ერთი შეხედვით უცნაური საქციელის მიზეზს). ამჯერად მთელი ყურადღება გადატანილია იმ სამ მომენტზე, ზემოთაც რომ გვქონდა საუბარი: „ტრაფარეტიზმი ცოდნაში", „შპარგალკომანია", „პროტექციონიზმი".

ოღონდ ეს კითხვის პასუხი არ გახლავთ, ბატონო პროფესორო.

არსებულ რელიგიურ მცნებას, სახელმწიფო კანონს, საუკუნოვან ხალხურ ტრადიციას მავანი და მავანი არაკეთილსინდისიერად რომ იყენებს, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ეს მცნება, ეს კანონი, ეს ტრადიცია იწვევდეს არაკეთილსინდისიერ საქციელს და ამიტომ უნდა შეიცვალოს უეჭველად. ასევე, „ტრაფარეტიზმს ცოდნაში", „თემების ფაბრიკაციას", „თემების დაზეპირებას", „დაშპარგალკების საჭიროების მოთხოვნილებას", „ლიტერატურის შეგნებული ცოდნის ტრაფარეტული სუროგატით შეცვლას" (კ. დანელიას გამოთქმებია) წერითი გამოცდის არსებული მოდელი კი არ იწვევს, არამედ მავანისა და მავანის (თუგინდ ასეულებისა და ათასების) არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება საქმისადმი. და მათი არაკეთილსინდისიერება სულაც არ ქმნის საკმარის საფუძველს არსებული მოდელის შესაცვლელად.

ზუსტად იგივე ითქმის „შპარგალკომანიისა" და „პროტექციონიზმის" გამო. არც მათი არსებობა ქმნის საკმარის საფუძველს მოქმედი მოდელის შესაცვლელად.

ერთსაც, მეორესაც და მესამესაც სულ სხვა საშუალებებით უნდა ებრძოდნენ და არა მოდელის შეცვლით.

გარდა ამისა, არსებული მოდელით მკითხველთა დასაფრთხობად საზარელი სურათების დამხატველ კ. დანელიას დავუჯეროთ, თუ იმ კ. დანელიას, „ახალგაზრდა ივერიელში" (25.X.90) რომ გვაუწყებდა: აბიტურიენტთა მომზადების დონე ყოველწლიურად საერთოდ მაღლდებაო?

არსებული მოდელი სრულყოფილი ნამდვილად არ არის-მეთქი, — ჩემს წინა წერილშიც ვწერდი. ოღონდ ამ მოდელის ნაკლი იქ არ არის საძიებელი, სადაც პროფ. კ. დანელია ეძიებს თავგადაკლული. კ. დანელია იმის ცდაშია, როგორმე კიდევ უფრო არალიტერატურულად აქციოს ისედაც საკმაოდ არალიტერატურული მოდელი. ოღონდ ეს მოდელი თავისთავად კი არ არის საკმაოდ არალიტერატურული, არამედ მაშინ იქცევა ხოლმე ასეთად, როდესაც ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲓᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ (ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲗᲣᲠᲗ) ᲕᲔᲠ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲓᲔᲑᲐ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲐᲓ. კ. დანელიას მიერ შემუშავებულ მოდელს — ხუთ საკითხს — მეათეკლასელი ყმაწვილიც იოლად შეადგენს, თუკი მიეცა ამის უფლება და საშუალება, ხოლო არსებული, დღემდე მოქმედი მოდელის მარჯვედ გამოყენებას დიდი პედაგოგიური ალღო, ფართო თვალსაწიერო, დახვეწილი გემოვნება და სულიერი სიმაღლე სჭირდება, — ეს არის მისი უპირველესი „ნაკლი". არადა, ამგვარ თვისებათა მატარებლად ერთობ გაძნელდება იმ გამომცდელის მიჩნევა, რომელსაც აზრად მოუვა აბიტურიენტებს საწერად შესთავაზოს, ვთქვათ, ასეთი თემა: „მკვლელობები ვეფხისტყაოსანში".

და ერთი კიდევ. პროფესორის განსახილველი სტატია თავიდან ბოლომდე იმნაირად არის აგებული, თითქოს ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღები გამოცდები აბიტურიენტის წერითი ნამუშევრით ამოიწურებოდეს, ხოლო ზეპირი გამოცდა არც არსებობდეს ბუნებაში.

„თემებით წერამ გამოიწვია სწორედ „შპარგალკების“ ფაბრიკაცია, რაც ადასტურებს, რომ თემებით წერისას გამოურიცხავია „შპარგალკების“ გამოყენება“.

„ჩვენ ვიცით, გასულ წელს უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის წერითი გამოცდიდან ოთხასზე მეტი აბიტურიენტი მოიხსნა „შპარგალკების“ გამო, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, სხვა ათი ათასი კაციდან რამდენი დარჩა შეუმჩნეველი“.

ვერავინ დამაჯერებს, რომ გულისხმიერი, კარგი ლიტერატურული ალღოს მქონე გამომცდელი აბიტურიენტის ზეპირი გამოცდისას ვერ მიხვდეს, ვინ ზის მის წინაშე — ალალად მომზადებული აბიტურიენტი, თუ წერითს გამოცდაზე „შპარგალკით“ ფონს გასული თაღლითი. ამის ვერგამომცნობელს ალბათ არ ეთქმის რიგიანი გამომცდელი.

ჩემი წერილი რომ დაიბეჭდა, უნივერსიტეტის ერთმა პროფესორმა დამირეკა, ლიტერატორმა. ჯერ მადლობა მითხრა და შემდეგ ამგვარი რამ მამცნო: შარშანდელ გამოცდებზე უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო კომისია ისე დაკომპლექტდა, ლიტერატორები ამ კომისიის მხოლოდ ათ პროცენტს შეადგენდნენ, მეტს არა.

მე ის კაცი არ გახლავართ, ამგვარი ცნობების შემოწმებას შევუდგე. თუ უსწორო იყო მისი ცნობა, ღმერთმა მოჰკითხოს. ხოლო თუკი მართალი მითხრა, მაშინ მრავალი რამ ხდება საცნაური. უწინარეს ყოვლისა, ის, თუ რატომ ამხედრდა ჩემს წინააღმდეგ ზოგიერთი ენათმეცნიერი ესოდენ გაალმასებული. შემდგომ ამისა ის, თუ რატომ გაუძნელდება ამნაირად დაკომპლექტებულ კომისიას წმინდა ლიტერატურულ საკითხებში, ერთობ ფაქიზ საკითხებში გარკვევა.

ამის მიღმა რასაც ვგულისხმობ, „წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“.

●

2. პროფესორ კ. დანელიას მიერ შემუშავებული მოდელი ყოვლად უვარგისია.

ქალბატონი გულნარა კალანდარიშვილი სტატიაში „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“ („თბილისი“, 10. IV. 91) წერს:

„ეს მოდელი საფუძველშივე „არალიტერატურულია... ეს მოდელი ხუთ საკითხს შეიცავს და მასში გამომჟღავნებულია ხუთი ქრესტომათიული ჭეშმარიტების ისეთი არცოდნა, რომ გაოცების მეტი არაფერი დარჩენიათ არა მარტო პროფესიით ლიტერატორებს, არამედ მხატვრული ლიტერატურის მოყვარულებს, რიგით მკითხველებსაც“.

კაცმა რომ თქვას, ამ ლაკონური ფორმულითაც შეიძლებოდა ამოწურულიყო კ. დანელიას მოდელის შეფასება. მაგრამ საქმემ იმნაირი მსვლელობა მიიღო, ეტყობა, ცოტა რამის თქმა კიდევ არის საჭირო.

განსახილველ წერილში კ. დანელია ორიგინალურ დაკვირვებას გვიზიარებს: არსებულ მოდელს მე თურმე იმიტომ ვიცავ, რომ ამით მცირემცოდნეთ ვექომაგები. ეს კიდევ არაფერი, იმდენად გავკადნიერებულვარ, რომ „მეცნიერულ კამათში მიუღებელი ზერხებით“ უარვყოფ ახალ მოდელს, „როგორც საზოგადოებისათვის ინფარქტის დამმართებელს“ (ვისაც ჩემი წერილი წაკითხული აქვს, გაახსენდება, რა კონტექსტში იყო იქ ნახმარი „ინფარქტი“). მერე როგორ მოდელს! ისეთს, რომელიც „რეალურ, გააზრებულ ცოდნას“ მოითხოვს მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისაგან, „შეგნებული ცოდნისადმი მომთხოვნელობას“ ზრდის, „ძველი მოდელისაგან განსხვავებით, საპროგრამო საკითხების უფრო საფუძვლიან და შეგნებულ ცოდნას ითხოვს“.

ახლა დავუკვირდეთ: კ. დანელიას ხუთი საკითხი იმ პრინციპით არის შედგენილი, რომ აბიტურიენტს არავითარი არჩევანი არ ეძლევა, ამ ხუთი საკითხიდან ერთიც რომ არ იცოდეს, დიდი კონკურსის პირობებში უკვე განწირულია აბიტურიენტი. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მისაღები გამოცდებისათვის ახალგაზრდები იმგვარად უნდა მოემზადონ, ლიტერატურისა და გრამატიკის ყველა საპროგრამო საკითხი კარგად იცოდნენ.

მართალია, მე ამ საქმის სპეციალისტი არ გახლავართ, რამეთუ მისაღებ გამოცდებში არასოდეს მიმიღია მონაწილეობა ვითარცა გამომცდელს (რასაც დიდი სიამოვნებით და ერთგვარი ირონიითაც ხაზს უსვამს კ. დანელია). მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ არასპეციალისტსა და არაპროფესიონალსაც უფლება აქვს ვაცხადოს: ყველა საპროგრამო საკითხის კარგად მცოდნე აბიტურიენტი არ არსებობს. წინა წერილშიც ვწერდი: ვინც „ყველა საკითხი იცის“, ის საპროგრამო მასალის ზუთხვით ტვინგამოლაყებული თუთიყუშია და არა „რეალური, გააზრებული, შეგნებული ცოდნის“ მფლობელი.

მეტსაც ვიტყვი: ამ მოდელის მიხედვით მისაღები გამოცდის ჩატარებისას კ. დანელია რომ გამომცდელი იყოს და მე — გამოცდის ჩამბარებელი, შესაძლოა „სამზე“ მეტი ნიშანი ვერც დამემსახურებინა, ოღონდ მე რომ გამომცდელი ვიყო (ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ მაინც), ხოლო პროფესორი დანელია — გამოსაცდელი, ისე შევადგენდი იმ ხუთ საკითხს, შესაძლოა ჩამეჭრა კიდეც.

ხუმრობა იქით იყოს და კ. დანელიას მოდელი იმ პრინციპით არის შექმნილი, რომ ნამდვილი ლიტერატურული ნიჭისა და ალღოს მქონე, ფართო გონებრივი თვალსაწიერის მქონე აბიტურიენტები ყველაზე მეტად დაიჩაგრებიან, ხოლო ულმობლად, ტექსტებისა და შინაარსების მზუთხველი საშუალო ნიჭის აბიტურიენტები აყვავდებიან. ამიტომ ვწერდი წინა სტატიაში მომავალი ივანე ჯავახიშვილების, პავლე ინგოროყვების, დიმიტრი უზნაძეების შესახებ, რაც ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა ყოვლად უადგილო, თანაც უკბილო ირონიის საგნად აქცია და ამგვარი ღრმააზროვანი არგუმენტი დამიპირისპირა:

„გამოდის, რომ შეიძლება „ნიჭიერმა“ აბიტურიენტმა არც ტექსტი იცოდეს, არც მისი ანალიზი. არც წინადადების გარჩევა, მაგრამ ღირსი იყოს მაღალი შეფასების მიღებისა“.

ნიჭიერმა აბიტურიენტმა, ბატონო პროფესორო, ტექსტიც უნდა იცოდეს და ნაწარმოების ანალიზიც უნდა შეძლოს, ოღონდ ამ ნიჭიერ აბიტურიენტს არჩევანი თუ არ ექნა, „ყველა საკითხის მცოდნე“ თუთიყუშები აჯობებენ. ეს გახლავთ საკითხის არსება და არა ის, რომ მავანმა ნიჭიერმა აბიტურიენტმა შესაძლოა მართლაც არ იცოდეს ან კარგად არ იცოდეს ხუთი ქისის ამბავი თუ ამ ქისების სახელები.

კ. დანელიას მოდელი კიდევ იმ პრინციპით არის შექმნილი, რომ „შპარგალკომანიას“ გადაუკეტოს გზა. ამას დაუფარავი სიამაყით გვამცნობს მისი ავტორი: „ახობით კონკრეტული საკითხის „დაშპარგალკება“ თითქმის შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, კარგა ხანს ერთობ ძნელი იქნება“. სწორედ ამას ვუწოდე მე წინა წერილში აბიტურიენტისათვის ხაფანგის დაგება და მარჯვედ ჩასაფრება, ისიც ალვნიშნე, რომ ეს მოდელი ძირფესვიან მიზნად ისახავს უცოდინართა, თაღლითთა, ულირსთა მხილებას და არა უკეთესთაგან უკეთესთა, მჯობნის მჯობნთა გამოვლენას. ეს ჩემი სიტყვები შესაშური ოსტატობით შემომიტრიალა ბატონმა პროფესორმა. მერე როგორ შემომიტრიალა — ორი კი არა, ვგონებ ხუთი კურდღელი მოკლა ერთდროულად. ყური მივუგდოთ:

„...კონკრეტული საკითხები, ცხადია, იმისათვის როდია შედგენილი, რომ გამომცდელი „მარჯვედ ჩაუსაფრდეს აბიტურიენტს და იმნაირი ხაფანგები დაუგოს, ეშმაკმა ვერ მოახერხოს იქიდან თავის დაღწევა“. მართლაც, ეშმაკს წაულია ადამიანის ახირებულობა, თორემ, როგორ უნდა იფიქროს კაცმა: უმაღლესი განათლების სამინისტროს ხელმძღვანელები, უნივერსიტეტის რექტორატი, ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო და მისი დეკანი ერთმანეთთან ბოროტი განზრახვით შეკრულან, რომ მხტოვრულად ჩაუსაფრდნენ ახალგაზრდებს და გამოცდებზე კისერი მოატეხინონ. ვაიიჭერებს ვინმე ამას?!“ (ხაზი ჩემია).

არა, ეს უკვე ბლეფი აღარაა, ბლეფზე გაცილებით უარესი რამ არის, ისეთი რამ, სახელის სხენებაც არ მინდა ვიკადრო. თავად განსაჯოს გამჭრიახმა მკითხველმა...

კ. დანელიას ერთი ძვირფასი იდეა იპყრობს კიდევ ყურადღებას:

არსებული მოდელი ამჯერად ახალი მოდელით (ხუთი საკითხით) უნდა შეიცვალოსო, ოღონდ „როცა ახალი მოდელი ტრაფარეტულად გადაიქცევა, ისიც შეიცვლება სხვა მოდელით“.

ამ გენიალურ რეფორმასაც თქვენ მოახდენთ, ბატონო პროფესორო, თუ მომავალ დეკანს გადაულოცავთ მის განხორციელებას? ამ კითხვას იმიტომ ვსვამ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა დროულად დაიჭირონ თადარიგი.

რკინისებური ლოგიკის ერთ ნიმუშსაც გავეცნოთ:

„წერითი გამოცდის ახალი მოდელი არ ვარგა, ამიტომ ისევ ძველი დავტოვოთო, ბრძანებთ (მე მომმართავს. — რ. თ.), ე. ი. შეჩვეული ჭირი გვერჩივნოსო. ეს კი ვერაფერი წამალია საგამოცდო სენის განსაკურნავად“.

მაშასადამე, უვარგისი მოდელის დანერგვა ყოფილა „საგამოცდო სენის“ უებარი წამალი.

●

3. მისაღებ გამოცდაზე აბიტურიენტს მხოლოდ და მხოლოდ ის უნდა მოეთხოვოს, რასაც ასწავლიდნენ და როგორც ასწავლიდნენ სკოლაში. ამას ვწერდი ჩემს წინა სტატიაში და სავსებით გულდაჯერებული ვიყავი, სხვა თუ არაფერი, ამ აქსიომატურ დებულებას მაინც ვერავინ უარყოფდა, მით უმეტეს, — განათლების დარგის ესა თუ ის მსახური. თურმე ვცდებოდი. თურმე ზოგ-ზოგთათვის აქსიომატური დებულება სრულებით არაფერს ნიშნავს, ოღონდ კი თავისი გაიტანოს როგორმე. არც ელემენტარული ლოგიკის უგულებელყოფა ნიშნავს რასმე.

ჩემს დებულებას კ. დანელიამ ამგვარი მსჯელობა დაუპირისპირა: სკოლებში ცუდად ასწავლიან, უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდები ცუდად ტარდება, რის გამოც, მრავალი ულირსი აბიტურიენტი ირიცხება უმაღლეს სასწავლებლებში. „სად უნდა გაირღვეს ეს მოჯადოებული წრე? ბევრს ჰგონია, რომ ჯერ სკოლამ უნდა გარდაქმნას ისე მუშაობა, რომ მომავალ აბიტურიენტს მისცეს უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად საჭირო აუცილებელი ცოდნა, და შემდეგ ამის კვალობაზე ამაღლდეს მისაღებ გამოცდაზე მომთხოვნელობა. ეს თავისთავად სწორი აზრი კარგა ხანია ტრიალებს საზოგადოებაში, ათას ლონისძიებას ღებულობენ, მაგრამ საქმეს საშველი არ ადგას“. ამიტომო, ბრძანებს პროფესორი, უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა აამაღლოს მომთხოვნელობა და მაშინ სკოლაც იძულებული შეიქმნება, მომავალ აბიტურიენტებს სხვაგვარი ცოდნა მისცესო.

აქ, სულ ცოტა, სამი საკითხია გასარკვევი.

ერთი რომ, თუკი მოხსენიებული აზრი თავისთავად სწორი აზრია, რატომ ამხედრდა პროფესორი მაინცდამაინც სწორი აზრის წინააღმდეგ?

გარდა ამისა, რა ჰქნან იმ აბიტურიენტებმა, რომლებიც ვერ მოესწრნენ ან ვერ მოესწრებიან პროფესორ დანელიას მიერ დაწესებულ გაზრდილ მოთხოვნათა შესატყვისად ამუშავებულ სკოლებში დანერგილ სასიკეთო ძვრებს, იმ ახალგაზრდებმა, შარშან ან შარშანწინ რომ დაამთავრეს სკოლა, ან კიდევ წელს რომ ამთავრებენ, გაისად თუ გარდამეისად (იმერული სიტყვაა) რომ დაამთავრებენ? ეტყობა, ხელი უნდა აიღონ მისაღები გამოცდების ჩაბარებაზე და ფილოსოფიურად ინუგეშონ თავი დანტეს სიტყვებით: „ეს უნებურად დავაშავეთ, ადრე რომ გავჩნდით“.

ბოლოს: ვთქვათ, გაწყრა ღმერთი, ვერ გაამართლა პროფესორ დანელიას რეფორმატორულმა ღვაწლმა და რამდენიმე წლის შემდეგ, ძველი მოდელის აღდგენა ჩაითვალა მიზანშეწონილად. იმათ რაღა ჰქნან, მომავალმა „წელს, გაისად და გარდამეისად“ ჩამბარებელმა, დანელიას „ხუთ საკითხზე“ აღზრდილმა ბედუკუღმართმა აბიტურიენტებმა?

არადა, იოტისოდენა ეჭვის შეტანაც არ შეიძლება, რომ სწორედ ამგვარად წარიმართება საქმე, ამგვარი „ცეკვა“ მოუწევთ ისედაც დიდად დალხინებულ ყოფაში მოხვედრილ პედაგოგებს — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს.

ახლა სხვა საკითხი. წინა წერილში ვწერდი, რომ ბოლო წლებში ჩვენს სკოლებში გრამატიკა არ ისწავლება ან თითქმის აღარ ისწავლება, ამიტომ ამჟამინდელ აბიტურიენტებს გრამატიკაში წერითი გამოცდა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებს-მეთქი.

ამის პასუხად პროფესორმა დანელიამ მისთვის ჩვეული (ზემოთ უკვე ილუსტრირებული) ლოგიკით მომიგო: უმაღლეს სასწავლებელში წერითს გამოცდაზე გრამატიკის ჩართვა ამ საგანს სკოლებშიც პრესტიჟულად აქცევსო, უამისოდ ქართული ენის სწავლება ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დადგებაო, საგანი, რომელიც მისაღებ გამოცდაზე არ ბარდება, სერიოზული შესწავლის ობიექტი ვერ იქნებაო.

აქ უამრავმა გაუგებრობამ ერთად მოიყარა თავი.

ზემოთ დასმული კითხვა რომ გავიმეოროთ, რა ჰქნან იმ აბიტურიენტებმა, რომლებმაც შარშან ან შარშანწინ დაამთავრეს სკოლა, ან წელს, გაისად და გარდამეისად დაამთავრებენ? თავში ქვა იცენ და ისა ჰქნან? თუ ის ჰქნან, რის ჩემგან ხსენებამაც ასერიგად დააკარგვინა წონასწორობა და ესოდენ განარისხა პროფესორი დანელია — ენათმეცნიერ რეპეტიტორებს მიმართონ? ნუთუ ასე ძნელი შესაგნებია, რომ აბიტურიენტს მისაღებ გამოცდაზე არ უნდა მოეთხოვოს ის, რაც სკოლაში არ უსწავლია, ან ერთობ ცუდად უსწავლია? ნუთუ შეუძლებელია საქმე იმნაირად დაიგეგმოს, რომ ჯერ სკოლაში რიგიანად შეასწავლონ მოწაფეებს ესა თუ ის საგანი და უკვე ამის შემდეგ მოსთხოვონ ამ საგნის ცოდნა მისაღებ გამოცდებზე?

შემდეგ. პროფესორი ვერც კი ხვდება, რაოდენ სავალალო შედეგს იწვევს მისი ზედმეტი გულმოდგინება. მისი ნააზრევიდან ისე გამოდის, რომ წერითს გამოცდაზე გრამატიკის ჩართვა არის დასჯილი ლონისძიება, რომელმაც პედაგოგები უნდა აიძულოს, უკეთ ასწავლონ ეს საგანი და მოსწავლეები უნდა აიძულოს უკეთ ისწავლონ ეს საგანი. რა შეიძლება ეწოდოს ამას — გრამატიკის განდიდება თუ გრამატიკის დამცირება? მე მგონია — მეორე.

შემდეგ. პროფესორი ვერც კი ხვდება, რომ იძულებით, მარტოოდენ პრაგმატული მოსაზრებებით შესწავლილი საგანი საყვარელ საგნად ვერასოდეს იქცევა, რაგინდ „პრესტიჟულიც“ უნდა დაერქვას. ხოლო თუ საგანი საყვარელი არ არის, მოსწავლეები მის მიმართ ან ინდიფერენტულად არიან განწყობილნი, ან სძულთ ეს საგანი. ამას მე არ უნდა განვუმარტავდე გრამატიკოს პროფესორს.

შემდეგ. „გარწმუნებთ: საგანი, რომელიც მისაღებ გამოცდებზე არსად ბარდება... სერიოზული შესწავლის ობიექტი ვერ იქნება“, — ბრძანებს (გვარწმუნებს!) პროფესორი. ამ დიდებულ დებულებას მე არ შევაფასებ, პედაგოგიკის სპეციალისტებმა გამოუტანონ მსჯავრი.

შემდეგ. პროფესორი დანელია უკლებლივ ყველგან აიგივებს ცნებებს — „ქართული ენა“ და „ქართული გრამატიკა“ ან „გრამატიკა“. მოკრძალებით შევახსენებ, რომ ეს სწორი არ არის. და როდესაც საუბარია სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამაზე (რის თავგამოდებულ მოწინააღმდეგედაც მე მსახავს კ. დანელია), ამ პროგრამის ისე გაგება, თითქოს ეს მარტოოდენ გრამატიკის სწავლების გაუმჯობესებას გულისხმობდეს, აგრეთვე არ არის სწორი.

თუმცა ეს ცალკე საუბრის, ვრცელი საუბრის თემაა.

დასასრულ, ერთი პირადული ხასიათის შენიშვნა.

წინა წერილში ვწერდი: „ფილოლოგიის ფაკულტეტზე რომ შევედი, ჭირის დღესავით მძაგდა გრამატიკა“. ოღონდ, იქვე სხვა რამესაც ვწერდი: „მაგრამ, ჩემთვისვე მოულოდნელად, მალე ვიგრძენი და ვიაზრე კიდეც, თურმე რაოდენ საინტერესო და თვით პოეტურიც კი ყოფილა მრავალთაგან უსამართლოდ მოძულებული ეს საგანი. ისე რომ, როცა ჩვენი კურსი ლიტერატურის შემსწავლელთა და ენის შემსწავლელთა ჯგუფებად დაიყო, მე ენის სპეციალობა ვარჩიე და დღემდე ბედს ვუმადლი ამის გამო“.

მკითხველმა მომიტევოს საკუთარი ციტატის მოხმობა, მაგრამ ეს აუცილებელი იყო პროფესორ დანელიას ერთი „აბრუნდის“ სამხილებლად. თავის სტატიაში პროფესორი წერს:

„ბატონო რევაზ, არ გეკადრებათ... ნიჰილიზმი ქართული გრამატიკისადმი. ფილოლოგიის ფაკულტეტზე რომ შევედი, ჭირის დღესავით მძაგდა გრამატიკაო, — აცხადებთ ამაყად“.

ცოტათი ქვემოთ:

„ბატონო რევაზ, თქვენი ნებაა, გრამატიკა გიყვარდეთ ან გძულდეთ“ (იგულისხმება, რომ მძულს!).

ახლა მკითხველმა დაასკვნას, ვის რა ეკადრება და რა არ ეკადრება, აგრეთვე ისიც, მეამაყება თუ არა, მე გრამატიკის სიძულვილი და, საერთოდ, მძულს თუ მიყვარს გრამატიკა.

გრამატიკა ნამდვილად მიყვარს, ბატონო პროფესორო, და, მე მგონია, ვიცი კიდეც, ოღონდ ეგ არის, რომ ზოგიერთ გრამატიკოსს ვერ გავუგე ვერაფერი.

**რედაქციისაგან:** ვფიქრობთ, ეს პრობლემა კვლავაც დაფიქრებასა და გულდამჯდარ განსჯას მოითხოვს. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, უახლოეს ხანში მრგვალ მაგიდასთან მოვიწვიოთ მოკამათე მხარეები, ამ საკითხით დაინტერესებული სპეციალისტები.

## მერაბ აბაშიძე

მერაბ აბაშიძის ეს მოთხრობა თექვსმეტი წლის წინათ დაიბეჭდა ცნობილი დისიდენტური ჟურნალის „ოქროს საწმისის" ფურცლებზე.

ბევრი რამ ეცნობა მასში მოთხრობის მკითხველს. იგი იმდენად აქტუალურია, რომ თითქოს დღეს დაიწერაო. შეუძლებელია გაოცება არ გამოიწვიოს მკითხველში მოვლენათა წინასწარ განჭვრეტის მწერლისეულმა უნარმა.



# მონა ღვთისა და მამა ერისა

„იმ პირობით, რომ, როცა ხატრუ… საკუთარი ნებით დამორჩილდე…" — ამ ს… ტუვებზე შეჰყვება საუბარი მოხუცმა.

„მერე?!" — …

„დამორჩილებისთანავე … ქალი, თქ… მდინარეში … ში გააზვი…

„თანახ… გაოცდა… ლეში.

„მაშ … დაგელოდ…

…

19 აპრილი, 1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავა?!

თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზი ერთადერთი უნიკალური შენობაა საქართველოში, რომელიც 20 წლის წინათ აშენდა, როგორც ერთიანი დამოუკიდებელი კომპლექსი დიდი და მცირე კინო-საკონცერტო დარბაზებით, რესტორნითა და სხვა სათავსოებით. დღეს კი იგი ნაწილ-ნაწილაა დაშლილი, რაც ართულებს მის მოვლა-პატრონობას.

საკონცერტო დარბაზის მოძველებული და ამორტიზირებული ტექნიკური დანადგარები ელემენტარულადაც ვერ უპასუხებენ თანამედროვე მაყურებლის მოთხოვნებს. დარბაზი უკვე მორყეული სავარძლებით, მოუწყობელი ბუფეტებითა და გაშიშვლებული ფოიეებით სავალალო მდგომარეობაშია. თუ შემოთავაზებული კონცერტების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაღალპროფესიულ მუსიკალურ საღამოებს ენაცვლება იაფფასიანი, უგემოვნო კონცერტები. დახვეწილი, მაღალპროფესიული კონცერტები კი „მუსიკალურ ცენტრში" იმართება, სადაც არცერთ კონცერტზე ბილეთი არ იშოვება. დღეს „მუსიკალური ცენტრი" პრესტიჟული დარბაზია, რაც, რა თქმა უნდა, ძალზე სასიამოვნოა (დარბაზი დამოუკიდებელია და ქალაქის საბჭოს ექვემდებარება), მაგრამ დიდი საკონცერტო დარბაზის პრობლემები ისევ გადაუჭრელია. ამ ბოლო დროს ქართულ პრესაში გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის შესახებ, გავრცელდა ხმები, რომ ფილარმონიასა და საკონცერტო დარბაზს შორის წამოიჭრა კონფლიქტი: ვინ უნდა გაუფრთხილდეს შენობას, ვინ უნდა დაუბრუნოს დარბაზს თავდაპირველი სახე, ვინ უნდა აალორძინოს მის სცენაზე მაღალპროფესიული საკონცერტო და საზოგადოებრივი ცხოვრება? სწორედ ამ საკითხებზე ჩვენს კორესპონდენტს **ნათელა კობიაშვილს** ესაუბრება დიდი საკონცერტო დარბაზის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი **ალექსანდრე ბასილაია**.

●

— ბატონო ალექსანდრე, ბოლო ოცი წლის განმავლობაში დიდი საკონცერტო დარბაზის მაყურებელი არაერთი მუსიკალური დღესასწაულის მონაწილე გამხდარა. საკონცერტო დარბაზი მსმენელმა შეიყვარა და რაოდენ სამწუხაროა, რომ იგივე მაყურებელი მოწმე გახდა ამ დარბაზის დეგრადაციისა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს როგორც დარბაზის დღევანდელი ინტერიერი, ასევე ბოლო წლებში მოძალებული მუსიკალური საღამოები, ყოველივე ამის შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დარბაზის შემოქმედებითი ცხოვრება თვითდინებაზეა მიშვებული. ამას დაერთო ფილარმონიასა და საკონცერტო დარბაზს შორის წამოჭრილი დავა, ყოველივე ამის გამო კი ზარალდება მაყურებელი. თქვენ, ხუთიოდე თვეა, რაც დარბაზის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი ბრძანდებით. ქართველი და უცხოელი მუსიკის მოყვარულნი გიცნობენ, როგორც ანსამბლ „ივერიის" სამხატვრო ხელმძღვანელს. თქვენი ენთუზიაზმისა და გემოვნების ადამიანს, არ შეიძლება გული არ სტკიოდეს დარბაზის დღევანდელ მდგომარეობაზე. და ალბათ სამომავლო გეგმებიც გაქვთ დასახული დარბაზის პრესტიჟის ასამაღლებლად.

— დღესდღეობით, საბჭოთა კავშირში მხოლოდ 7 ქალაქშია ასეთი ტიპის დარბაზი. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ტექნიკური აღჭურვილობით, რადიოაპარატურისა და განათების სისტემის ხარისხით ჩვენი დარბაზი ყველაზე სავალალო მდგომარეობაშია.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამის მიზეზი ერთადერთია — დარბაზი ექვემდებარება ფილარმონიას და არ შეუძლია იცხოვროს დამოუკიდებელი შემოქმედებითი ცხოვრებით. ერთ მაგალითს მოგახსენებთ: ჩვენთან მოდის რომელიმე გაერთიანება და გვთხოვს მივაქირაოთ დარბაზი. გვთავაზობს არენდას, ვთქვათ, 3500 მანეთს. ფილარმონიას სურს ეს ორგანიზაცია მასთან გავაგზავნოთ, ის გაუფორმებს ხელშეკრულებას აღნიშნულ თანხაზე, მერე ჩვენს დარბაზს იქირავებს და გადაგვიხდის 2000 მანეთს, რაც დღევანდელი ინფლაციის პირობებში ზღვაში წვეთია. რა დავარქვათ ამას? რბილად რომ ვთქვათ, „უცნაური გარიგება". ამას ასაბუთებენ იმით, რომ საკონცერტო დარბაზი ფილარმონიის საკუთრებაა.

— დარბაზს ხომ მართლაც ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი ჰქვია?

— ესეც კურიოზია. ოცი წლის წინათ, როცა დარბაზი შევიდა ექსპლუატაციაში, დამტკიცდა წესდება, საკანცელარიო ტვიფრი და სახელმწიფო მრგვალი ბეჭედი, ყველა ამ დოკუმენტში მოხსენიებულია „საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი". დღემდე არ არსებობს ბრძანება, რომ დარბაზი ფილარმონიას ეკუთვნოდეს. როგორც მე ამიხსნეს, ამ ექსპერიმენტის ნათლია მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბრძანდებოდა. როდესაც ახლადგახსნილ დარბაზში ყრილობის ჩატარება გადაწყვიტა, ეტყობა არ მოეწონა დასახელება „დიდი საკონცერტო დარბაზი", არ ვიცი „ყრილობის" და „კონცერტის" დაკავშირების წინააღმდეგი იყო თუ სხვა რამ მიზეზი გახლდათ, მაგრამ ფაქტია, რომ საკუთარი ხელით დაწერა დარბაზის ახალი სახელი: „საქართველოს ფილარმონიის დიდი დარბაზი". ჩვენი გასაჭირიც იქიდან დაიწყო.

— როგორც ცნობილია, არც საბჭოთა კავშირში და მგონი არც მსოფლიოში ფილარმონიას არ გააჩნია ასეთი ტიპის დარბაზები. ფილარმონია კომერციული ორგანიზაციაა, მისი მოღვაწეობა უფრო ფართოპლანიანი და მრავალჟანრობრივი უნდა იყოს, იგი უნდა ქმნიდეს ახალ-ახალ ანსამბლებს, ეძებდეს ტალანტებს, ადგენდეს ახალ საკონცერტო პროგრამებს და აგვარებდეს კონცერტებთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს, უნდა დაიქირაოს ხან კონსერვატორიის დარბაზი, ხან თეატრის, ზოგჯერ შეიძლება სტადიონიც კი დასჭირდეს, ასეთია მისი სპეციფიკა ყველგან...

— ჩემი აზრით, ფილარმონია, რაც ეს დარბაზი დაიქვემდებარა, უფრო დაზარალდა. დაწვრილებით მოგახსენებთ, რათა მკითხველისთვის ნათელი გახდეს თუ რა მაქვს მხედველობაში.

ოცი წლის წინათ ფილარმონიას მრავალი შესანიშნავი კოლექტივი ჰყავდა, მხედველობაში მაქვს მცირერიცხოვანი ანსამბლები, სატირისა და იუმორის ჯგუფები და ცალკეული შემსრულებლები (დიდი ანსამბლები, საბედნიეროდ დღესაც განაგრძობენ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას, რადგანაც ისინი სახელმწიფო დოტაციაზე არიან). იმხანად, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ფილარმონიაში მხოლოდ ჭეშმარიტად ნიჭიერი მსახიობები და ანსამბლები ფუნქციონირებდნენ, ვინაიდან მათი, ისევე როგორც ფილარმონიის კეთილდღეობა მხოლოდ და მხოლოდ კონცერტების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული, ფილარმონიის საკონცერტო მოღვაწეობა გაშლილი იყო რესპუბლიკის ყველა რეგიონში — დაწყებული ყიზლარის საძოვრებიდან აჭარის მაღალმთიანი სოფლებით დამთავრებული. მსახიობებისა და ფილარმონიის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, უნდა ჩაეტარებინათ რაც შეიძლება მეტი მაღალპროფესიული კონცერტები, რათა ფილარმონიის ფინანსური გეგმა შესრულებულიყო. ამით მსახიობიც კარგ გასამრჯელოს იღებდა და ფილარმონიაც.

ახალი საკონცერტო დარბაზის აშენებით თითქოსდა საქმე სასიკეთოდ უნდა წარმართულიყო და წარიმართებოდა კიდეც. დარბაზისთვის დამოუკიდებელი შემოქმედებითი ცხოვრების უფლება რომ დაეტოვებინათ, გვექნებოდა ორი შემოქმედებითი ცენტრი ფილარმონიისა და დარბაზის სახით, რომელთა შორის კონკურენცია კიდევ უფრო აამაღლებდა პროფესიონალიზმის დონეს. მოხდა კი პირიქით, ფილარმონიამ დაიქვემდებარა დარბაზი. ერთი მეორის მიყოლებით დაიშალა ანსამბლები, ჩრდილში მოექცნენ, ზოგჯერ კი სულაც ჩამოსცილდნენ სცენას გუშინდელი პოპულარული შემოქმედნი. მიზეზი საკმაოდ პროზაულია. ჩვენი დარბაზი ორი ათას ხუთას მაყურებელს იტევს. აქ ჩატარებული კონცერტის შემოსავალი 5-7-ჯერ აღემატება საქართველოს ნებისმიერ რეგიონში არსებული კლუბების შემოსავალს. ბუნებრივია, რომ ფილარმონიამ თანდათანობით გაზარდა დარბაზში ჩატარებული კონცერტების რაოდენობა, ფილარმონიის ერთი და იგივე მსახიობები, წლების განმავლობაში, უმეტესად, უცვლელი რეპერტუარით გამოდიან საკონცერტო დარბაზის სცენაზე, რათა ფილარმონიის 200 კონცერტიანი გეგმა შესრულდეს. მაგალითისთვის შორს წასვლა არ მინდა, გაიხსენეთ, „ივერიის" 3, 4 და 5-თვიანი ანშლაგები ზედიზედ. თითქოს ცუდი არაფერია, მაყურებელი მოდის, ე. ი. მოსწონს. მაგრამ დამეთანხმებით, გაცილებით უკეთესი იქნება თუ „ივერია" 30 კონცერტს ჩაატარებს და არა 150-ს, ხოლო მის ნაცვლად მაყურებელი მოუსმენს სხვა, არანაკლებ საინტერესო ქართულსა თუ უცხოურ კოლექტივებს. გამოდის, რომ ფილარმონიის გეგმას ეწირება მსმენელის ინტერესი, — სურს თუ არა, უნდა მოუსმინოს ფილარმონიის 200 კონცერტს, თანაც ერთი და იგივე მსახიობების მონაწილეობით. ამასთანავე ზარალდებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნიც, ვინაიდან ფილარმონიას გასვლითი კონცერტები უკვე ნაკლებად აინტერესებს. ამგვარი ერთფეროვნებით ზარალდება მსახიობის შემოქმედებითი სახეც, ეს „ივერიის" მაგალითიდან შემიძლია ვთქვა და, რაც მთავარია, ზარალდება თვით ფილარმონიაც, რომელმაც დარბაზის სახით იშოვა დიდი საყრდენი და აღარ ზრუნავს ახალი ანსამბლების შექმნაზე, არც ახალ საკონცერტო პროგრამებზე, — იგი მინიმალური ენერგიის დანახარჯით ასრულებს ფინანსურ გეგმას.

საბჭოთა კავშირში არ არსებობს ფილარმონია, ან საკონცერტო ორგანიზაცია, რომელსაც საკუთარი საკონცერტო დარბაზი ჰქონდეს, ყველგან ქირაობენ დარბაზს, ზოგ ანსამბლს სამიათასადგილიანი დარბაზი სჭირდება, ზოგს ათასიანი, ზოგისთვის ხუთასიანიც კი დიდია.

გამოდის, რომ ქართველებმა მოვინდომეთ ველოსიპედის გამოგონება. ადრე თუ ამ ექსპერიმენტს როგორღაც მაინც შველოდნენ, ეს მხოლოდ ბატონ დორიან კიტიას დამსახურებაა. იგი ახერხებდა შეექმნა ისეთი პროგრამები, სადაც ფილარმონიის კოლექტივები თუ ცალკეული შემსრულებლები რამდენიმე საუკეთესო ნომრით მონაწილეობდნენ ხოლმე გალაკონცერტებში და მთლიანობაში მაყურებელზე ცუდ შთაბეჭდილებას არ ტოვებდნენ. ფაქტიურად, ფილარმონიის გენერალური დირექტორი მთლიანად იყო დაკავებული დარბაზის დატვირთვის პრობლემით, მაგრამ შეუძლებელს ვერავინ შეძლებს, ასეთ ინტენსიურ მუშაობას ძნელად თუ გაუძლებს რომელიმე კოლექტივი თუ ცალკეული შემსრულებელი. მოგეხსენებათ, რა ძნელია საკონცერტო პროგრამის მომზადება, მით უფრო მისი ყოველწლიური განახლება. უკვე ნელ-ნელა გამოაკლდა ქართულ ესტრადას „დიელო", „ციცინათელა", „75". თუ გავითვალისწინებთ, რომ „ივერია" 23 წლისაა, ისიც ვერ გამოეკერება ცას, დღეს თუ არა ხვალ ისიც დატოვებს ასპარეზს. ამ კოლექტივების შემცვლელები კი აშკარად არ ჩანან. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დარბაზი ერთადერთი მიზეზი არ გახლავთ საკადრო დეფიციტისა, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი კი ნამდვილად არის.

— თქვენ ბევრს მოგზაურობთ, თუ დაინტერესებულხართ მსოფლიოში ცნობილი საკონცერტო დარბაზების მუშაობის სპეციფიკით?

— მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ყოველთვის დიდი ინტერესით ვეცნობოდი მსგავს დარბაზებს. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ისეთი საკონცერტო დარბაზები, როგორიცაა „კარნეგი ჰოლი" ამერიკაში, „როიალ ალბერტ ჰოლი" ინგლისში, „ტერეზა კარინიო" ვენესუელაში თუ „კოლონი" კოლუმბიაში და მრავალი, მრავალი სხვა დარბაზი, სრულიად დამოუკიდებელია. მიუხედავად იმისა, რომ საკონცერტო შემოქმედებითი ცხოვრება ამ ქვეყნებში უმაღლეს დონეზეა, ყველა დარბაზი დამოუკიდებელია და მუნიციპალიტეტს ექვემდებარება. დამეთანხმებით, შოუ-ბიზნესის საქმე ამერიკელებსა და ინგლისელებს ჩვენგან არ ესწავლებათ. ასევე დამოუკიდებელია მოსკოვის საკონცერტო დარბაზი „როსია", ლენინგრადის „ოქტიაბრსკი" და ა. შ.

— დავუშვათ, დარბაზი ფილარმონიას გამოეყო, როგორი ურთიერთობის დამყარებას აპირებთ ფილარმონიასთან?

— დარბაზი არამარტო ითანამშრომლებს ფილარმონიასთან, არამედ შეღავათიან ფასებშიც კი მიაქირავებს დარბაზს. სხვათა შორის კურიოზია, მაგრამ ფაქტია, ფილარმონია ისევე იხდის დარბაზის არენდას, როგორც ნებისმიერი სხვა დამქირავებელი. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ საკონცერტო დარბაზი ფილარმონიისათვის ოფიციალურად არასდროს არავის არ გადაუცია. ჩვენს ურთიერთობაში კი სიახლე ის იქნება, რომ ფილარმონიის საუკეთესო ძალებს დაეთმობა დარბაზის სცენა და არა წინასწარ აკვიატებულ რაიმე გეგმის შესრულებას. დარბაზი არ უნდა გამოვიყენოთ ფილარმონიის მუშაობაში ნაკლოვანებათა დასაფარავად, პირიქით, მისმა გამოყოფამ სტიმული უნდა მისცეს ფილარმონიას, მხოლოდ ჭეშმარიტ ნიჭიერებას გაუხსნას გზა. ფილარმონიამ კი ის ფუნქცია უნდა შეასრულოს, რაც მას აკისრია: კოლექტივების შექმნა, პროგრამების მომზადება, ანსამბლების გაქირავება და მათ შორის საუკეთესოების გამოცდა სწორედ დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე უნდა მოხდეს. მსახიობებმა და რეჟისორებმა კი თავიანთი ძალა და ენერგია ფილარმონიის საუკეთესო ტრადიციების აღდგენას უნდა მოახმარონ და არა საჩივრების წერას, რათა როგორმე შეინარჩუნონ დარბაზიც და უზრუნველი ცხოვრებაც.

ფილარმონიისა და საკონცერტო დარბაზის ფუნქციების მკვეთრი გამიჯვნა საშუალებას მოგვცემს ზუსტად და უტყუარად შევაფასოთ, ვინ როგორ გაართმევს თავს თავის მოვალეობას და ვინ რაზე უნდა აგოს პასუხი!

— როგორი იქნება დამოუკიდებელი დიდი საკონცერტო დარბაზი?

— აქ არ არის ლაპარაკი აბსოლუტურ ავტონომიაზე, ვინაიდან დარბაზს თავისი ფინანსური შემოსავალი ვერ აცხოვრებს, დარბაზის შესანახი ყოველწლიური ხარჯების უდიდეს ნაწილს საქართველოს მთავრობა ფარავს (ასეა მთელს მსოფლიოში), დარბაზი უნდა იყოს საქართველოს კულტურის სამინისტროში შემავალი დამოუკიდებელი შემოქმედებითი ორგანიზმი, რომელსაც საშუალება ექნება შესთავაზოს მაყურებელს გაცილებით მრავალფეროვანი სანახაობები, როგორც ჩვენი, ასევე საზღვარგარეთული კოლექტივების მონაწილეობით. ითანამშრომლოს არა მხოლოდ ფილარმონიასთან, არამედ იმ მრავალრიცხოვან შემოქმედებით ორგანიზაციებთან, რომლებიც დღეს გვთავაზობენ საინტერესო პროგრამებსა და სანახაობებს, რაც ასე აკლია ჩვენს დღევანდელ საკონცერტო ცხოვრებას. შემოსავლის უდიდესი ნაწილი უნდა მოხმარდეს დარბაზის საერთაშორისო სტანდარტებამდე აყვანას, მის ტექნიკურ აღჭურვილობასა თუ მომსახურეობას; რაც მთავარია, შენობის სრული კომპლექსი ერთი მიზნისთვის უნდა გამოვიყენოთ, იგი დღეს უაზროდაა დანაწევრებული (მცირე დარბაზი კინო-თეატრად აქციეს, უდიდესი ფართობი ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბს უკავია და ა. შ.). დარბაზს სახელიც უნდა შევუცვალოთ. ჩვენ გვინდა მას „მუზა" დავარქვათ, მაგრამ თუ საზოგადოება უკეთეს ვარიანტს შემოგვთავაზებს, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ, დარბაზი უნდა გახდეს პრესტიჟული, ყველას არ ექნება აქ გამოსვლის უფლება ფულის საშოვნელად; მოვიწვევთ თეატრისა და კინოს პოპულარულ მსახიობებს და რეჟისორებს, შევქმნით მრავალფეროვან პროგრამებს, მუსიკალურ სპექტაკლებს, შოუ და შემეცნებით ლექცია-კონცერტებს. დღეს, განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის, აუცილებელია ლექციები საქართველოს ისტორიაზე, რომლებიც სლაიდების თანხლებით გვინდა ჩავატაროთ. ალბათ ბევრი რამ გამომრჩა... როგორც იტყვიან, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

**რედაქციისაგან:**

დღეს, როდესაც საქართველომ ეროვნული დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მსგავსი ექსპერიმენტების უფლება უკვე აღარა გვაქვს. არსებობს ცივილიზებული ქვეყნების პრაქტიკა ასეთი ტიპის დარბაზების ექსპლუატაციისა და დროა ჩვენც გავიზიაროთ არსებული გამოცდილება — საკონცერტო დარბაზი უნდა გახდეს დამოუკიდებელი შემოქმედებითი ცენტრი და დაექვემდებაროს კულტურის სამინისტროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მონა ღვთისა და მამა ერისა

(გაგრძელება)

— გამიშვით! — ყვირის ეშმაკი და ამაოდ ცდილობს პატარა, მაგრამ რკინასავით მძლავრი ხელებიდან გაუსხლტეს ბავშვს.

როცა ცემით მოიქანცა, ყურით აათრია ეშმაკი პატარამ, გამოქვაბულის კართან მიიყვანა, პირი აღმოსავლეთით უქნა და ისეთი წიხლი ამოჰკრა, რომ კარგა ხანი ფრენა-ფრენით წავიდა ცისკენ დაწიხლული, მერე ირაო გააკეთა ჰაერში და მოწყვეტით დაენარცხა მიწაზე.

— ეს ერთი და სხვა მრავალიო! — სიცილით გადმოსძახეს ზემოდან.

— მაშ კარგი! — ამოსძახა მშვიდად ეშმაკმა — სამაგიერო ჩემზე იყოსო...

როცა მოხუცი დაბრუნდა, ბალღმა უამბო, რაც თავს გარდახდა.

ოცდაცამეტჯერ გადასწერა პირჯვარი შემკრთალმა ბერიკაცმა.

— ეს შენი პირველი გამარჯვებაა — უთხრა აღსაზრდელს — ღმერთმა სულ ასე გამარჯვებით გატაროს!

●

ათი წლისა რომ გახდა, აღმზრდელმა ქრისტიანული წესით მონათლა მოსწავლე. სახელად მესხია უწოდა: „რაც არის, იგივ ერქვასო“, განუცხადა ამ სახელით უკმაყოფილო უფალს, რომელსაც სურდა, რომელიმე წმიდა მოწამის სახელი დაერქმიათ ბავშვისათვის.

ნათლობის პირველი დღიდანვე მახვილის ხმარების სწავლებას შეუდგნენ.

აქაც უჩვეულო ნიჭი გამოიჩინა მესხიამ... მხოლოდ ეს იყო — დიდხანს ვერ უძლებდა ხმალი... როცა შეცდომას დაუშვებდა და მასწავლებლის მიერ ყელზე მიბჯენილ წვეტიან რკინას იგრძნობდა, განრისხებით მოიქნევდა ხოლმე მახვილს და კლდის კედელს მიაფშვნიდა.

მოხუცს გულში ეცინებოდა ყრმის გულფიცხობაზე. „მეტად ჩქარობო“, — ეტყოდა ხოლმე და უმალვე ახალ ორლესულს მიაწვდიდა...

ისევ დაუშვებდა რაიმე შეცდომას მესხია, ისევ გაჯავრდებოდა და მიამსხვრევდა კლდეზე მახვილს.

●

ცამეტი წლის შესრულდა თუ არა, ოქროს ჯავშანი ჩააცვა ნათლიამ ნათლულს, ღვთის მიერ ნაკურთხი ხმალი მისცა, გამოქვაბულიდან გამოიყვანა და მშობლებთან წასვლის ნება დართო.

მივიდა მესხია სახლში.

სიხარულით ცას ეწიენ მშობლები ულამაზესი პირმშოს დანახვაზე. ოდნავ მომტყდარიყვნენ ისინი მის მოლოდინში, თმაშიც აქაიქ ჭაღარა გარეოდათ, თორემ სამივენი ისე ჰგავდნენ ერთმანეთს აღნაგობითა და სახით, რომ და-ძმა გეგონებოდა კაცს...

მოსაღამოვდა...

ის იყო, დასაწოლად მოემზადნენ, რომ ვიღაცამ მაგრად დააბრახუნა კარზე.

კარი გააღეს თუ არა, თორმეტი გოლიათი შემოვარდა ოთახში, მტრის სარდლის მიერ გამოგზავნილნი და შიშველი ხმლებით მიაშურეს მესხიას. „თავი დაიცავიო“ — დაჰკივლეს და მოუღერეს დაშნები.

წარბიც არ შეიხარა ყრმამ.

— გარეთ გავიდეთ და იქ შევებათ! — თქვა მან.

ვაჟკაცები იყვნენ გოლიათები; გადახედეს ერთმანეთს, უსიტყვოდ გავიდნენ ეზოში და ელოდებიან მტერს.

გამოვიდა მესხია, აღაპყრო მახვილი და თორმეტი წამის შემდეგ თორმეტი თავწასხეპილი ხხეული აფართხალდა მიწაზე...

შემობრუნდა შინ დაღვრემილი მესხია და ეუბნება დედ-მამას:

— აბჯარი ჩაიცვით, იარაღი აისხით! მტრის ლაშქრის შესამუსრად მივდივართ!

უმალვე აღიჭურვნენ მშობლები, გულზე ჯვრები ჩამოიკიდეს...

გარეთ გამოვიდნენ თუ არა, ერის სულმა მოუჭრა მათ გზა; თეთრ სუტანაში გამოწყობილიყო მესხიის ნათლია, ხელში ცეცხლისმფრქვევი მახვილი დაეჭირა...

პირჯვარი გადასახა სამივეს და წარუძღვა წინ.

●

გაიგო სატანამ მესხიის განზრახვა, ერთი ფეხით მიასწრო მტრის ლაშქარში. მონახა სარდალი და ყოველივე წვრილად მოუთხრო.

შიშისა და ბრაზისაგან აცახცახდა სარდალი, როცა თავისი თორმეტი გოლიათის სიკვდილი გაიგო.

— რას მირჩევ? — ეკითხება გაფითრებული ეშმაკს.

— პირისპირ შებმისას, არც შენ და არც შენს ჯარს, ხეირი არ დაგადგებათ, რადგან ერის სული მოუძღვით წინ, — პასუხობს სატანა, — ჯობია, დრო გამოთხოვო, ვითომცდა უხუცესებთან სათათბიროდ, ამ ხნის განმავლობაში კი რამეს მოვიფიქრებთ.

დაუჯერა სარდალმა მის რჩევას...

კარის წინ თვით შეეგება მესხიას და მის თანამებრძოლთ და ეშმაკის რჩევისამებრ მოიქცა:

— არ დაუჯეროო! — პირქუშად ეუბნება მოხუცი ნათლულს, ყური არ დაუგდო ცბიერ მტერს, ბარემ ახლავე შევუტიოთ!

მოიქნია მახვილი მესხიამ; შუაზე გააპო მტრის სარდალი, კვლავ მოიქნია და დაამსხვრია რკინით შეჭედილი კარი მუხისა...

შევარდნენ ციხეში ოთხნი...

ახლა თვით ეშმაკი გამოეგებათ.

მას ლამაზი ქალის სახე მიეღო...

გადაუდგა წინ მომავალთ.

— ვინა ხარ და რა გნებავს — ეკითხება მესხია.

— მე შენგან მოკლული სარდლის ქალიშვილი გახლავარ. მამა ხომ მომიკალ, ახლა ჩემი ტომის ხალხს მაინც ნუ ამოჟლეტ, სამი დღე მაცალე, მოვითათბირებ უხუცესებთან, იქნებ დავიყოლიო ისინი და ნებით დატოვონ შენი ერის მიწაო...

მოხუცს გადახედა მესხიამ.

დგას ბერიკაცი და მიწას ჩაშტერებია.

— კარგი! — ასწია ბოლოს თავი და მიაჩერდა სატანას: — მაგრამ თუ სამი დღის შემდეგ აქედან არ წასულხართ, თქვენს თავს დააბრალეთ, რაც მოგივიდეთო...

ესა თქვა და პირი იბრუნა...

მდუმარედ მიჰყვნენ სამთავენი...

●

დიდხანს იმტვრევდა სატანა თავს, როგორ მოქცეულიყო, ბოლოს ერთმა ცბიერმა აზრმა გაურბინა თავში. არც აცია, არც აცხელა, იმავე წამში მესხიის მამის დას მიაშურა, რომელიც ვიღაც ვაჭარს გაჰყოლოდა ცოლად. სიხარულით ათრთოლდა ოდესღაც თავისი ძმის თანამოსარეცლე, როცა გაიგო, რომ დაუდგა შურისძიების ჟამი.

ეშმაკის დარიგებისამებრ ეწვია ძმის სახლს...

დიდხანს ეალერსა ძმისშვილს...

სადილობის ჟამს კი, როცა სუფრაზე ხელადით ღვინო შემოდგეს, სხვათა შეუმჩნევლად ბანგი გაურია სასმელში.

რამდენიმე ხანში ყველას მაგიდასთან ჩაეძინა.

იმ წამსვე გავარდა ეშმაკთან ქალი, აუწყა ყოველივე.

სატანამ რამდენიმე კაცი წამოიყვანა, ფრთხილად მიეპარა სახლს და ყველანი შეიპყრო. წამოიყვანეს მძინარე ტყვეები ციხეში, ბორკილები დაადეს და ჯურღმულში შთაავდეს.

სატანა ნანობდა, რომ ერის სულის დატყვევება ვერ შეძლო, რომელიც იმ დროს ნათლულის სახლში არ იმყოფებოდა.

●

სისხლი წურწურით ჩამოსდის მესხიას...

უმზერს დატანჯულ დედ-მამას და ამბობს:

— დიდხანს არ გასტანს ჩვენი წამება!

— საიდან იცი?

— ჩვენი შეპყრობის ამბავი მალე მოხუცის ყურამდეც მიაღწევს, ის წამოუძღვება ერს და გაგვანთავისუფლებს!

— მესხია შეპყრობილია, ერის სულს რა შეუძლია უშენოდ?

— მარტო მესხია არ შეუპყრიათ! — ამბობს დედა — მტერმა პოეზია და სიწმინდეც ხელყო, გააუპატიურა და ჯურღმულში ჩაკეტა! ახლა იხლა დაგვრჩენია, დავდუმდეთ და მორჩილად ავიტანოთ ჩვენი ხვედრი...

— ავიტანოთ?! — შეჰყვირა მესხიამ: — განა არ გვეყო, რაც ავიტანეთ?

— მაშ რას გვირჩევ?

— უპირველეს ყოვლისა, — ძალების მოკრებას, მერმე — ბრძოლას და თუ გარდუვალი გახდა — სამაგალითო სიკვდილს!

ამის თქმა იყო და უეცრად განიხვნა უკუნი ბნელი და მათ წინ უფალი აღიმართა.

— მაშ შენ მოწამეთა ხვედრი არ მოგწონს? — ქირდვით ჰკითხა მესხიას ყოვლადძლიერმა.

— არა! — კუშტად უპასუხა ყმაწვილმა და თვალი თვალში გაუყარა.

— ღმერთს ასე არ უნდა შეხედო, თორემ დაბრმავდები! — ჩაესმა ყურში. მოიხედა და მოხუცი დაინახა.

თავი დახარა მესხიამ. თავის დახრა და ბორკილების ჩამოვარდნა ერთი იყო.

— ახლა კი! — მიმართა უფალმა ოთხივეს — თვით გაიკვლიეთ გზა.

●

გათენდა თუ არა, ჯალათები შემოვიდნენ საკანში. მესხიამ და ერის სულმა ბორკილებით მოაშთვეს ისინი, მათი მაშხლები აილეს და წარუძღვნენ წინ თანამოაზრეთ.

როგორც იქნა, ააღწიეს ზემოთ.

აქ მთელ რაზმთან მოუხდათ შეტაკება.

მტრისგანვე წართმეული მახვილებით ამოწყვიტეს მოწინააღმდეგენი, მაგრამ ეშმაკმა აქაც ფანდი იხმარა, მთავარ ციხე-სიმაგრეში გამოიკეტა ლაშქრით. სანამ მესხია ჯურღმულის დამცველ რაზმს მუსრავდა, ეშმაკმა ისევ ლამაზი ქალის სახე მიიღო, გარეთ გამოვიდა და დაუჩოქა ოთხივეს...

— აღარ მჯერა შენი! — დაუყვირა მესხიამ, — მაგრამ ისეთი საწყალობელი სახით უმზერდა ქალი, რომ მოქნეული მკლავი შეუჩერდა, მოწყვეტით ჩამოუვარდა.

— იკმარეთ სისხლი, ამ წუთასვე დავტოვებთ შენი ერის მიწასო! — ტირილით თქვა სატანამ.

მოხუცს სახე ღიმილმა გაუცისკროვნა, ხმალი ქარქაშში ჩააგო.

ოთხივე გარეთ გაცვივდნენ, რათა ერისთვის ეუწყებინათ სასიხარულო ამბავი.

●

— ზარები დაარისხეო! — ეუბნება სული ერისა დღეის მესხიას.

ფერდობზე წამოყუდებული სამრეკლოსკენ გასწია ვაჟმა; ავიდა ზედ და დაარისხა ზარები...

მალე მთელი ერი შეიკრიბა დიდ მოედანზე.

აუწყა სულმა ერისამ შეკრებილთ სასიხარულო ამბავი.

მდუმარედ უსმენდა ხალხი...

მერე ბრბოს ვიღაც ცალთვალა ჭაბუკი გამოეყო და „წყალს რად ამღვრევთო“, — ოთხივეს ეკითხება...

— როგორ თუ წყალს ვამღვრევთ?! — განცვიფრდა მესხია.

— შენგან არ მიკვირს, ჩემი ხნისა ხარ, ვნება და წერაატანილი, მაგრამ ამ თქვენს მხცოვან კაცს რად არ ესმის, რომ ერთი მტრის წასვლის შემდეგ, მეორე, უფრო მძვინვარე და საზარელი მტერი შემოგვიტევს?!

— იმათაც აღვგვით მიწის პირისგან!

— და მთელი ჩვენი სიცოცხლე ახალ-ახალი თავდასხმის შიშში ვატაროთ, არა?! გუთნები გადავადნოთ და მახვილები ვაწრთოთ, ყანასა და ვენახს მოვწყდეთ და მუზარადები დავიხუროთ, კერია ჩავაქროთ და საბრძოლო მაშხალები დავიჭიროთ ხელში?!

— მაშ, გამოდის რომ...

— არაფერიც არ გამოდის! — დაუკივლნეს ბრბოდან — ჩვენ თუ გავნადგურდით, რაღად გვინდა რამე!

— წყალს ამღვრევენ, წყალს, — დაიყვირეს აქეთ-იქიდან.

— ხალხო, გონს მოდით! — დასჭექა ერთიანად გადაფითრებულმა მესხიამ, — დღეს თქვენი ახლად დაბადების დღეა, პანაშვიდად ნუ აქცევთ მას...

— არა გვჯერა, თქვენი, არა! — იხუვლა ხალხმა და ყოველი მხრიდან შემოეხვივნენ ოთხივეს.

უეცრად ქვამ გაიზუზუნა, მესხიის ნათლიას შუბლში მოხვდა... სისხლმა იფეთქა გახეთქილი შუბლიდან.

— ქრისტიანებო! — შეჰღაღადა სულმა ერისამ და მუხლებზე დაემხო. — ჯერ არავის წინ არ მომიყრია მუხლი! — ესა თქვა თვალები დახარა და დადუმდა.

გაბოროტებული მესხია ეცა ქვის მსროლელს, მახვილი გაურჭო მკერდში...

უფრო და უფრო აზვავდა ამის დანახვაზე ხალხი...

— სიკვდილი მაგათ! — დაიძახეს და ახლა ყოველი მხრიდან დაუშინეს ლოდები...

უეცრად ციხის კარი გაიღო და სატანამ გამოიხედა...

გამოიხედა და ახარხარდა, როცა დაინახა, როგორ ქოლავდა ხალხი საკუთარ სულს, საკუთარ სიწმინდეს, პოეზიასა და მესხიას.

●

მოსაღამოვდა...

ბრბო თანდათან დაიშალა...

ხუთი გვამი დარჩა მიწაზე: — ერთი, მესხიის მიერ განგმირული, დანარჩენი კი იგივენი.

— მხოლოდ ხალხს შეუძლია საკუთარი სულის მოკვლა, — გაისმა ციდან — მხოლოდ ხალხს შეუძლია საკუთარი სიწმინდისა და პოეზიის ხელყოფა, მხოლოდ უფალს შეუძლია მათი მკვდრეთით აღდგენა! აღდგენილ იყავ მესხიავ, მკვდრეთით!!!

●

აღსდგა მესხია.

ჰმუნვით დახედა ძვირფას ცხედრებს, აიხედა ცისკენ და „ესენიც აღადგინე, ყოვლადძლიერო“ — შეჰღაღადა.

— მათ უკვე ყველაფერი გააკეთეს, რაც კი შეეძლოთ... — მოესმა ციდან: — შენ ნაყოფი ხარ სამად განტოტილ ხისა... ხე განადგურდა, ნაყოფი დარჩა! მაშ, ეცადე, პოხიერ ნიადაგში მოხვდე, რათა ამიერიდან თვით აღმოაცენო ახალი სული, სიწმინდე და პოეზია!

●

მიდის მესხია კლდისაკენ...

როგორც იქნა, ააღწია ძველ თავშესაფარში...

ლოდზე ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა...

„ამიერიდან შენ უნდა აღმოაცენო ახალი სული, ახალი სიწმინდე, ახალი პოეზია — ჩურჩულებდა სახეაღგზნებული: კარგი, პოეზიით დავიწყებ“.

●

მე, პირმშოს — დედით — წმიდა სიბრმავის,  
მამის მხრივ — მუნჯი პოეზიისას,  
მე, ერის სულის სინათლეში  
მდგარსა და აღზრდილს,  
მძიმე ხვედრი მარგუნა ღმერთმა...  
უნდა განვჭვრიტო აქამომდე განუჭვრეტელი,  
ვანათო თვითონ, და სხივებით, ჩემგან  
ნაწვიმით —  
დავწნა სიმები. —  
რომელთ ჟღერა განუწყვეტელი,  
შეარხევს სულებს ჩემი ერისას...  
მაგრამ არ ვიცი: შევძლებ იმას,  
რაც ვერვინ შეძლო?  
ვით ვუმეგობრო დილას,  
ღამეს კი — ვეძმო?!  
ან როგორ შევძლო მეომარმა ხორცით და  
სულით,  
რომ დავიოკო ვნებათაღელვა და იყოს  
სრული  
ლექსი, რომელიც დასაღუპად განწირულია,  
თუ შიგნით იქნა მეტი ვნება, ვიდრე  
სჭირდება?!  
ო, ვიცი, ვიცი, დახმარებას ღმერთი მპირდება  
და ჩემი სულიც ახლა ორად განზიდულია...

და მაინც... მიჭირს იმ დიადი კარის შეღება,  
რომელიც ბევრმა საკუთარი სისხლით შეღება

და ვერ შეაღო...

●

იმ კართან ვდგავარ.  
მათხოვარს ვგავარ.  
კარზე წერია:  
„რომელიც შევა  
ამ წიაღს შინა,  
რომელსაც ჰქვია —  
ნათელი წ მ ი დ ა —  
არ ეღირსება შინ დაბრუნება!“.  
უეცრად ჩემ წინ აჩრდილი აღჩნდა,  
სახეზე ჰმუნვა და დაღლა აჩნდა.  
მკერდზე ცრემლები მაფრქვია ნამად,  
დავაკვირდი და ვიცანი... მამა!

არ მახსოვს, რა თქვა,  
ლოცვას კი ჰგავდა,  
რასაც ამბობდა,  
მერე გადმომცა  
ხელში რაღაც და  
გაქრა... განქარდა!

(დასასრული მე-12 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

მე გასალები მეპირა ხელში...

●

ავდექი, კლიტეს შევახე ფრთხილად,
გაიღო კარი... შეველ ნ ა თ ე ლ შ ი,
ირგვლივ ცისფრობდა ლამაზი დილა.

„ხილვა პირველი“ — მესმა ზეციდან,
ავიხედე და... ჩემს წინ ხე იდგა.

მიწა ხელივით ამ ხელს მიწვდიდა
და მეც ამიტომ ვიწყებ მიწიდან.

●

მიწა, რომელიც აღმოაცენებს
სიცოცხლის ხეს და მის შავ ტოტებზე
დაჰკიდებს კაცთა ტანჯვა-წამებას —
უფლის ცრემლებით არის მორწყული.
რად იშვა ეს ხე? არავინ უწყის!
იქნებ მისთვის, რომ ავიდეთ მასზე
რომ ყოვლადძლიერს მივუახლოვდეთ
და კენწეროზე მოქცეულნი
მარად ვექანოთ
ს ა მ ო თ ხ ე ს ა და
ჯ ო ჯ ო ხ ე თ ს შუა?!

... იქნებ... არც ხეა და მეჩვენება,
იქნება არის ხვეწნა-ვედრება
იმა ლტოლვილთა,
იმა ცოდვილთა,
რომელთა სულიც გახეიბარდა
ამ ქვეყნიური ვნებების ცეცხლში
და რომელთ ერთი იმედი დარჩათ:
ი ხ ი ლ ო ნ ღ მ ე რ თ ი!

მივუახლოვდი ხეს მოკრძალებით
და უცებ მისი ჩურჩული მესმა:

„აქ ერთმანეთთან სული საუბრობს —
ჩემი და შენი
ვერვინ განჭვრიტოს ჩემი საუფლო —
ცრემლით ნაშენი,
ჩემს სამყაროში ზარ-ზეიმით ვერავინ შევა,
აქ ხავსის ტირილს იწვევს ხეზე ფოთლების
რწევა
და ზღვის ზვირთივით მფეთქი და მთრთოლი,
დაუვარსკვლავი ვერცხლით და ბროლით —
სხეული ხრწნადი
რაც ჟამი გადის,
მით უფრო მძაფრად ითანგება სითბოს
წყურვილით,
ჩრდილში მიგდებულ, უმზისსხივო
ყვავილწნულივით.
მაშ განმერიდე — სახეზე გატყობ —
ჩემ კენწეროზე ამოსვლას ლამობ“.

●

არ დაუჯერა მეხსიამ ხის ნაუბარს, ავიდა ხეზე...

უეცრად თვალისმომჭრელ სინათლეში აღმოჩნდა...

თვალები დახუჭა...

მერმე ფრთხილად გაალო უპეები და... შეძრწუნდა...

იგრძნო, რომ დაბრმავებულიყო.

„ახლიდან იშვა სიბრმავე წმიდა“ — გრგვინვასავით გაისმა საიდანღაც.

ძლივს ჩამოვიდა ხიდან დაბრმავებული მეხსია...

●

დაეხეტება ბრმა მეხსია საკუთარ სულში.

„წმიდა სიბრმავე... ეხეც შენი სიბრმავე წმიდა“ — ფიქრობს ნაღვლიანი და ხევდამორეული. უეცრად მკლავზე ხელის შეხება იგრძნო...

იმავე წამს თვალისჩინიც დაუბრუნდა...

მის წინ უფალი იდგა და კეთილად ულიმოდა.

— აწ წარუძეხ ერს —არქვა უფალმა — ერის სულის და პოეზიის წმიდა ნათელს ნაზიარებო!

●

აღდგომა იყო...

ზარების რეკვა მოისმოდა ყოველი მხრიდან... განცვიფრებული ხალხი გარსშემორტყმოდა შარავანდდადგმულ, ცისფერ ხუტანაში ჩაცმულ მეხსიას და არ უწყოდნენ, როგორ ეწამათ ეს ხანწაული.

— რადა ქრისტეს აღდგომის დღეს გამოცხადდა? — ღვარძლიანად ჩაილაპარაკეს ერთგან, — ან იქნებ, სულაც არ მომკვდარა?!

— მაგრამ შარავანდედი? — ჩურჩულით კითხულობდნენ მეორეგან.

მდუმარედ იდგა მეხსია. მერმე ხელი ახწია და

— ქრისტე აღსდგაო! — წარმოთქვა.

— ჭეშმარიტად! — იგრიალა ერმა.

— გვარქვი, ვინა ხარ? — შეეკითხნენ — იქნებ თვით ქრისტე?!

— არა, მაგრამ, მისი ახალი მოციქული კი გახლავართ, უფლის სურვილის აღმსრულებელი!

— და რომელ სურვილს აღასრულებ, წმიდაო, ღვთისასას?

— ურჯულოების განდევნას ჩვენი მიწიდან!

დადუმდა ხალხი...

თავი ჩაჰკიდეს უხუცესთა...

— მერე, მტერი რომ ერთიათად მძლავრია ჩვენზე?

— ღმერთი ჩვენთან არს!

— ეჰ, ეს მხოლოდ სიტყვებია, — მწარედ წარმოთქვა მეხსიასთან ახლო მდგომმა მოხუცმა — ძალა კი...

— არ არსებობს უძლური ერი, თუ მას კარგი მამა ჰყავს!

— ერის მამობას დღეს ჩვენში ბევრი იჩემებს, — დამცინავად წარმოთქვა ვიღაცამ, — იქნებ ახლა შენ გსურს მისი დაჩემება?

— არა, მე შვილი ვარ ერისა... მამად კი... მამად თქვენგან მოკლული ერის სული შევრაცხოთ.

— ის ხომ მკვდარია!

— მისი აჩრდილი წინ გაგვიძღვება!

— უხორცო არსი?!

ჩაფიქრდა მეხსია...

— მაშ, თვით გადაწყვიტეთ, ამოირჩიეთ...

დიდხანს თათბირობდნენ უხუცესნი.

ბოლოს ერთი მათგანი გამოეყო მოთათბირეთ, მიუახლოვდა მეხსიას, პირჯვარი გადასახა და ერის მამობა მიულოცა...

— ქრისტე აღსდგა! — დასჭექა ერის სულის ნათლულმა.

— ჭეშმარიტად! — დაიქუხეს ყოველი მხრიდან.

მიუძღვის მეხსია აბობოქრებულ ერს მტრის ბანაკისკენ...

ცალ ხელში ჯვარი უპყრავს, მეორეში მახვილი...

„ღმერთი სამებითაა“ — ჩურჩულებს ცრემლჩამომდინარი — „ეს უკვე მესამედ მივდივარ მტრის შესამუსრად, მფარველე, ღმერთო!“.

აი, მიადგნენ ალაყაფის კარს...

შეანგრიეს რკინის კარიბჭე...

სიმღერით მიაშურეს შუბმოღერებულ მტარვალთ...

ყოველი მხრიდან განგმირულთა გოდება ისმოდა. მოჩქეფდა სისხლი ვერცხლისფერ ქვიშაზე და წვეთნი მისნი უფლის ცრემლებივით ციალებდნენ ფერფლოვან ნიადაგზე...

ისმოდა კვნესა, შეძახილი, ტირილი, ბოდვა, ერთიმეორეს შერწყმოდნენ ხმები და ერთ უძლეველ ჰანგად ქცეული — ბრძოლის სიმღერა მრისხანედ ჟღერდა...

— უფლის სახელით! — იძახდა ყველა.

●

სამ დღეზე მეტხანს გასტანა ხოცვა-ჟლეტამ. მთელი ამ ხნის მანძილზე ხატანასთან პირისპირ შეყრას ნატრობდა მეხსია...

როცა ბრძოლის ბედი მისი ერის სასარგებლოდ გადაწყდა, ახლა დახოცილთა შორის დაუწყო ძებნა.

მალე მიხვდა, რომ უწმიდური გაპარულიყო...

იცოდა მეხსიამ, რომ მისი ერი მაშინ გაიმარჯვებდა საბოლოოდ, თუ თვით ხატანას იგდებდა ხელთ და იგივე ტანჯვა-წამებით სიკვდილს მიაგებდა, რაც მან მიაგო მრავალთ და მრავალთ... ყველა ზეიმობდა გამარჯვებას...

მხოლოდ მეხსია იყო დაღონებული; მაგრამ სხვათა გასამხნევებლად მანაც ღიმილი გადაიფინა პირზე და ისე დაენახა ხალხს...

ბრძოლა კი, ის-ის იყო, იწყებოდა...

პირველად დაიბეჭდა თვითგამოცემის ჟურნალ „ოქროს საწმისში“ (№ 3) 1975 წელს.

მხატვარი კარლო ფხალია

# მიეძღვნა ვაკო დვალიშვილის ხსოვნას



8 აპრილს ხსოვნის დღე გვქონდა საქართველოში. 9 და 10 აპრილს კი თბილისის მე-6 ქართულ გიმნაზიაში ჩატარდა მოსწავლეთა მეორე სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „XX საუკუნის გერმანული ნოველა“, რომელიც მიეძღვნა ვაკო დვალიშვილის — ნიჭიერი ახალგაზრდა კაცის ხსოვნას, ტრაგიკულმა შემთხვევითობამ რომ შეიწირა და მოუშუშებელ ტკივილად დარჩა ახლობლების, მეგობრების, აღმზდელებისა და აღსაზრდელების გულებში სამუდამოდ.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ გერმანიის ძალზე პრესტიჟული სკოლა-ინტერნატის მოწაფეები და პედაგოგები. შონდორფისა და ნოიბოიერნის (მიუნხენთან ახლოს) ორი სკოლიდან ჩამოვიდა 5 პედაგოგი და 9 მოწაფე.

„მისასალმებელია, რომ საქართველოსათვის მეტად დაძაბულ და მნიშვნელოვან დღეებშიც ჩვენი გიმნაზიის აღსაზრდელები ფიქრობენ და მსჯელობენ ისეთ უნივერსალურ პრობლემებზე, როგორიცაა, მაგალითად, გერმანული ნოველა“ — აღნიშნა თავის შესავალ სიტყვაში გიმნაზიის დამაარსებელმა პროფ. გურამ რამიშვილმა. ნოველის, როგორც ლიტერატურული ჟანრის მნიშვნელობასა და მისი განვითარების ისტორიის შესახებ, გოეთეს „ნოველიდან“ დღემდე, ისაუბრა გერმანელმა პედაგოგმა დრ. კლაუს რულერმა.

ჩვენი გიმნაზიის IX-X კლასიის მოსწავლეებმა გერმანულ ენაზე წაიკითხეს მოხსენებები თომას მანის, რობერტ მუზილის, ალფრედ დიობლინის, ფრანც კაფკას, არტურ შნიცლერის, სტეფან ცვაიგის, კარლ შტერნჰაიმის, ჰერმან ჰესეს ნოველების შესახებ. გერმანელმა მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილეს, უმეტესად, თანამედროვე გერმანულ ნოველაზე. მათი მოხსენებები შეეხებოდა გიუნტერ გრასის, ანა ზეგერსის, კრისტა ვოლფის, შტეფან ანდრესისა და მარტინ ვალზერის შემოქმედებას. ცალკე პრობლემად გამოიყო და დისკუსიის საგნად იქცა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთმიმართება (თომას მანთან, პერესთან), ბიბლიური და რელიგიური მოტივები (შტეფან ანდრესთან, ალფრედ დიობლინთან).

საინტერესო იყო ორი მოხსენება კაფკაზე (ოთარ ქლენტისა და ანდრეას ცაიზინგის), ომის თემას შეეხო რამდენიმე მოხსენება ჰაინრიხ ბიოლსა და გიუნტერ გრასზე.

გერმანელმა პედაგოგმა ქალბატონმა კრისტელ ვოლრატმა თბილისური შთაბეჭდილების გაზიარებისას აღნიშნა, რომ აღფრთოვანებულია ადამიანური სითბოთი, იმ ხიბლით, რაც ქართულ სტუმარ-მასპინძლობას ახასიათებს, ბედნიერად თვლის თავს, რომ საქართველოს გათავისუფლების დღეს თავადაც საქართველოში დაესწრო და გამოთქვა დიდი სურვილი მომავალში უფრო მჭიდრო ურთიერთობისა და მეგობრული კონტაქტებისა ქართველ და გერმანელ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.

კონფერენციის მონაწილეები მოამზადეს გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მაია ფანჯიკიძემ, ნინო ფირცხალავამ, მზია გალდავაძემ, დალი ნოზაძემ.

კონფერენციის სპონსორი იყო ბავშვთა ფონდთან არსებული საცმერნიერო-საწარმოო კოოპერატივი „მთიები“.



ვიწყებთ ახალ რუბრიკას, ნობელის პრემიის ლაურეატები ლიტერატურის დარგში. ჩვენი ეს წამოწყება იმითაცაა განპირობებული, რომ წელს სრულდება ამ პრემიის გაცემიდან 90 წელი.

ხშირად გაისმოდა და დღესაც გაისმის ნობელის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის მისამართით საყვედურები. მართლაც ნობელის პრემია ვერ მიიღეს იბსენმა, ჩეხოვმა, ტოლსტოიმ, პრუსტმა... მაგრამ იგი, მაინც ყველაზე პრესტიჟული პრემიაა მსოფლიოში. ჩვენი წამოწყების ერთი მიზანი ისიცაა, რომ ქართველ მკითხველს გარკვეული ინფორმაცია მივაწოდოთ ნობელის პრემიის ყველა ლაურეატზე. ჩვენ დავბეჭდავთ არამარტო ქართველი ავტორების წერილებს ნობელიანტებზე, არამედ უცხოელი კრიტიკოსების, ლიტერატურათმცოდნეთა, მწერლების წერილებსაც.

გარდა ამისა, მკითხველს გვინდა ვაუწყოთ, რომ განზრახული გვაქვს, დავაარსოთ „ლიტერატურული საქართველოს" ბიბლიოთეკა და ვთხოვთ ყველას, გამომცემლებსაც, წერილების ავტორებსაც და მთარგმნელებსაც რედაქციასთან შეუთანხმებლად აქ დაბეჭდილ მასალებს სხვა კრებულებსა თუ ცალკეულ გამოცემებში ნუ შეიტანენ.

# სიული—პრიუდომი

## ჟიულ ლემეტრი

საოცრად ფიქრიანი მზერა, მიბნედილი თვალები, რომლებიც, თითქოს, შინაგანი სამყაროს სიღრმეებს ჩასცქერიან — იფიქრებთ, პოეტი ეს-ეს არის „ბურუსით მოცული წიგნიერი ხილვებიდან" გამოერკვა ან ფიქრისა და განსჯის ლაბირინთს დააღწია თავი. მასში წამსვე ამოიცნობ საკუთარ არსებაში ჩაკეტილ, ძიებასა და ანალიზს ნაჩვევ კაცს. ფიქრებთან მარტოდ შთენილ, ხათუთ, ფაქიზ და კდემამოსილ პიროვნებას. მას არ ძალუძს საკუთარი გრძნობების გამომზეურება, — არც ცხოვრებას ენდობა ეგრე ადვილად, რამეთუ ძალიან ბევრს ფიქრობს მასზე. უეჭველია, მისი ტანჯვის სათავე ფიქრია და არა პირადი ბედი. ბავშვობაში მამა დაკარგა, ყმაწვილს სიყვარულში მოეცარა ხელი: მაგრამ ეს ჩვეულებრივი უბედურებებია და მის აზროვნებას ისინი ძალუმად არ დასტყობია, თუმცა სევდა უბედურებაგამოვლილი სულის ტკივილით იზომება. მერე მძიმე სენმა დარია ხელი — გონება და გული დაეძალა და მისავათდა: მუდმივი აღგზნებულობა, უტყვი, გამოუთქმელი ნაღველი და სრულყოფისაკენ ისოდენ მტკივნეული სწრაფვა, რაიც ყოველ ხელოვანს უნაყოფობით ემუქრება. მას სხვებზე მეტად უფლება ჰქონდა კალამი გვერდზე გადაედო, ამოესუნთქა; ვერ შეძლო, არ იცოდა რა იყო დასვენება. ხანგრძლივი და თავგადადებული ღვაწლის შედეგია ეს დიდი შემოქმედება, რომელმაც პოეტს „უხილავი მეგობრების" თაყვანისცემა მოუპოვა.

პოეტმა, რომელმაც საუკუნის სულისკვეთება გამოხატა, ჩვენდა გასაოცრად, მეცნიერული განათლება მიიღო. ჯერ პოლიტექნიკური სკოლა დაამთავრა, შემდეგ ხარისხიც მოიპოვა. როგორც წმინდა მათემატიკოსმა. მერე ლიტერატურას მიუბრუნდა, შეისისხლხორცა და სიტყვაში აამეტყველა საკუთარი განცდები. ამასთან ერთად, ფილოსოფიაც შეისწავლა. ამიერიდან სიული-პრიუდომის გონებას ძალა შესწევდა მთელი სამყარო მოეცვა.

ბუნდოვანი ელეგიები და შინაარსისგან დაცლილი სიმღერები არასდროს უწერია. მისი პირველი ნაწარმოებები ფილოსოფიური პოემებია, თუმცა, ისინი „სტანსებთან" ერთად გამოქვეყნდა. პოემები პოეტის ყველაზე ამაღლებული და კეთილშობილი ნაწარმოებებია. ყმაწვილური გზნებისა და ვნების შერწყმამ ზუსტ ცოდნასა და დახვეწილ გემოვნებასთან სასიკეთო შედეგი გამოიღო. ჩანს, რომ ხელოვანს იმთავითვე ზუსტად დაუსახავს მოქმედების პროგრამა, პოეტური მცდელობის მიზანი და მისკენ სავალი გზებიც წინასწარ განუჭვრეტია.

„თქვენ ვერ ჩასწვდით სულის ოკეანის ფსკერს, ან კი ვინ შეძლო მიახლოებოდა მის უძირო უფსკრულებს, რათა ამაყად ეთქვა: „კმარა, ჩვენ ავხსენით ადამიანის იდუმალება. თავს ნუ შეიქებთ! ადამიანს ჯერ კიდევ ძალუძს თქვენი გაოცება". აქ უკვე იგრძნობა მომავალი პოეტური კრებულების ხმიანება, ფსიქოლოგიის საიდუმლოთა წვდომის შესაშური უნარი, რომელსაც სრულიად არ ელი პოეზიისაგან. დახვეწილი მეცნიერული ანალიზის წილიც ერთობ უმნიშვნელო იყო აქამდე პოეტურ ნაწარმოებებში.

პოეტი მედიდურ, ამაყ მზერას


1901

ესვრის სამყაროს. იგი გრძნობს, რომ ჭეშმარიტი შემოქმედია. ელტვის დიდებას და არც ფარავს საკუთარ სწრაფვას — ეს პატიოსანი, ღირსეული და ფაქიზი ადამიანის აღსარებაა. ერთ ლექსში სიული-პრიუდომი ალფრედ დე მიუსეს უკიდეგანო კაეშანს ემიჯნება, არ იზიარებს მის სიძულვილს საერთო საქმისადმი. იგი ალამაღლებს ადამიანის შრომას და ღვაწლს, ითხოვს, რომ პოეზიაში იჟამოს ადამიანის სიდიადე, იყოს მისი შემწე და ყოველივე ილონოს, რათა წყლულები დაუამოს მაშვრალს. „საქმე საქმეს" — აი ეს კიჟინა ისმის რელიგიური პოზიტივობით დაღდასმულ ლექსებში.

ნუთუ ღირდა ალფრედ დე მიუსეს გაკიცხვა? ამდენი რა სიხარული და სილაღეა თვით სიული-პრიუდომის ლექსებში? მთავარი ის არის, რომ სიული-პრიუდომმა მიუსესგან განსხვავებული გზა ირჩია. მისი მელანქოლია ზღვაგვარია, ნაკლებ დანისლულია და არც უსუსური, როგორც მიუსესი. შეიძლება ითქვას, იგი უფრო მეტად ესადაგება ადამიანის ღირსებას.

საუკუნის მიმწუხრის პოეტები პარნასული სკოლის მიმდევრები არიან. ეს სკოლა კი, თავის მხრივ, რომანტიზმს ენათესავება. სიული-პრიუდომი, თავისი პოეზიით, ახალ ეპოქას იწყებს. იგი უფრო ხენტ ბოკის ფილოსოფიური პოეზიისა და ალფრედ დე ვინის გვიანდელ ნაწარმოებების კვალს მიჰყვება. მაგრამ, იმის თქმაც შეიძლება, რომ მას არავისგან არაფერი უსესხებია. არ ვიცი სხვა პოეტი, რომელსაც ესოდენ იტაცებდეს ანალიზი, განსჯა და ფიქრი ან ასე შეეძლოს გადმოსცეს საკუთარი სულისა და გულის უმცირესი რხევაც კი, ან ასეთი სრულქმნილი სახე შესძინოს მთელი თაობის გულისნადებს ამისთვის საჭირო იყო ზუსტი ენა, პრიუდომის პოეტური მეტყველება გასაოცარია — იგი თითქოს კლასიკური ხანიდან იღებს სათავეს. მის ლექსებს ახასიათებს მაღალი შთაგონება და მჭევრმეტყველური სახეები.

პარნასელთა პოეზია მაინც იჭრება მის შემოქმედებაში. ახალგაზრდა პოეტი პარნასელთა წრის წევრი იყო, აქ შეიცნო მან პლასტიკური ლექსის ხიბლი, ეპითეტებისა და დახვეწილი რითმის ძალა და გემო. მოკლედ, თუკი პოეტის იდეები პარნასელთა გეზს ასცდა, მისი ლექსების ფორმა ბევრადაა დავალებული ლეკონტ დე ლილის ადეპტებისაგან. მათგან ისწავლა სიული-პრიუდომმა ესოდენ იშვიათი პოეტური ზომიერებისა და სიზუსტის სიყვარული. მაგრამ მან არ მიიღო პარნასელთა „ობიექტურობა", მათი სულიერი უშფოთველობა ვერ ეთანხმებოდა მის პოეტურ კრედოს. იგი თვლის, რომ ადამიანის სული ღირსია იმისა, რომ პოეტურ ფიგურებში გამობრწყინდეს და რომ ადამიანის შინაგანი სამყარო სრულად უნდა წარმოჩნდეს პოეტურ ქმნილებაში. ფსიქოლოგიური სიღრმე და მკაცრი, დახვეწილი სტილი ახასიათებს მის ბრწყინვალე შედევრს „შინაგანი ცხოვრება". ამ კრებულით იწყება პოეტის ამაღლება. მასში ჯერ კიდევ ნორჩი, მაგრამ უკვე საკმაოდ გატანჯული სული ბოგინობს. ენით უთქმელი სიფაქიზე და სინაზე ახლავს კრებულის ლექსებს, რომლებიც საკუთარ ტონალობას პოეტის მომდევნო ქმნილებებს გადასცემენ. მე სიული-პრიუდომს ლამარტინის გვერდით დავაყენებდი: დიად პოეტს, რომელმაც საუკუნის დასაწყისის მელანქოლიას უმღერა, ახლა, საუკუნის მიწურულს, ახალი პოეტური ხმა ეპასუხება, კიდევ უფრო ჰარმონიული, აზრით სავსე, სულის შემძვრელი. სიული-პრიუდომის პოეზიაში ადამიანური განცდა უფრო მეტად გაფაქიზებულია და მისი პოეტური ენა უფრო დახვეწილი. რომანტიკული ჩანგი ოთხ თუ ხუთ გრძნობას უმღერის. მარადისობისკენ სულის ლტოლვა, ადამიანის საზღვრულობისა და სიმცირის შეცნობა ბუნებისა და სამყაროს უსასრულობასთან მიმართებაში, ეჭვებით გამოწვეული კაეშანი, სულის ზიარება ბუნებასთან და მის წიაღში მშვიდი თავშესაფრის ძიება, აი, ეს მარადიული თემები, რომლებიც უთავბოლოდ მეორდება რომანტიკოსთა შემოქმედებაში. სიული-პრიუდომი ახალ თემებს არ ეძებს, უბრალოდ, იგი მეტ სიღრმეს და დაძაბულობას შესძენს ძველ მელოდიკო-ხორეამდე შესძრავს მკითხველს, მით უფრო, რომ პოეტი ადამიანისთვის ყველაზე უფრო სანუკვარ სიღრმეებს წვდება. ჩვენს თვალწინ ჩვენივე საკუთარი სულის პეიზაჟები გადაიშლება და ვერც ერთი პოეტი ვერ აღწევს სიული-პრიუდომის სიმაღლეს, როცა იგი ჩვენი შინაგანი არსის იდუმალებას გვიხსნის. ყოველივე ეს, ამ წუთამდე, ჩვენთვისაც მოუხელთებელი და ამოუცნობი იყო. იგი, სინათლეს მოჰფენს მიბნედილ რომანტიკულ მელანქოლიას, უმცირეს ნაწილებად შლის იმ სინაზეს, ყველა ჩვენთაგანის სულში რომ ჩაბუდებულა. აქ იღებს სათავეს მისი პოეზიის ესოდენ ძალუმი ხიბლი, მისი სისადავე და თავშეკავებულობა. თითოეული ლექსი აღმოჩენაა საკუთარი თავისა და თითოეული მაჯისცემა რაღაც ახალს გვამცნობს ადამიანის გულზე. პოეზიას აროდეს უფიქრია ამდენი და აროდეს ყოფილა ასეთი ნაზი: აზრის დაძაბულობა კიდევ უფრო მეტად ამახვილებს გრძნობას. პასკალი გახსენდება: „გონების ამაღლება ვნებებსაც ალამაღლებს... გონების სიმჭვირვალე გრძნობათა სიმჭვირვალეს ბადებს". ყოველივე ამას მიუმატეთ უკიდურესად დახვეწილი ფორმის სილამაზე, მისი ნიანკარე, პოეტურ სახეთა ელვარება, რომელიც გვხიბლავს თავისი სიზუსტით და ზომიერებით. ლექსის კითხვის ტემპს ვანელებ თუ არა, ფარული აზრის ძიება შორს გამიტაცებს, მორევივით ჩამითრევს.

სიული-პრიუდომმა სხვა პოეტური განცდების მსგავსად, სიყვარულსაც ახალი გამოხატულება მოუძებნა. ლამარტინის ელვირა, შესაძლოა, სინამდვილეში არსებული ქალი ყოფილიყო. მაგრამ „მედიტაციებში" იგი იდეალიზირებული ზმანებაა. ლაურას და ბეატრიჩეს მსგავსი ჰაეროვანი და ამაღლებული არსებაა. იგი „დედამიწისთვის უცნობი ბგერებით" დიას. „შინაგანი ცხოვრება" ადამიანის ჭმუნვისა და სევდის უკვე საკმაოდ გაცვეთილ შტამპებს არ იმეორებს. ეს არის განდეგილის, უდაბნოსა შინა დაყუდებული კაცის წიგნი. მეუდაბნოე საკუთარ სულს ჭვრეტს, ყველაზე ძვირფასს და სიღრმისეულს ეძიებს მასში. მისი მელანქოლია კრიტიკულ აზრთანაა წილნაყარი, რამეთუ სულის წამება მთლიანად ცნობიერების წიაღიდან ამოიზრდება. „რატომ ველარ ვუმღერი გაზაფხულს? მხურდა ყველაფერი მყვარებოდა და უბედობამ დამრია ხელი... მცირე ნაკაწრი და გული იმსხვრევა... ხშირად, ალერსი ცრემლს მადვრევინებს, რატომ? ჩვილი ვიყავი, რაღაცას ვლოცულობდი, ხელებს ვათამაშებდი... ახლაც ვლოცულობ, მაგრამ სულ სხვაგვარად" — აი, სიუჟეტები მისი ლექსებისა. ლამარტინი ვარსკვლავებს უმღერის, მათ შორის უახლოესს შესთხოვს მიწაზე დაეშვას და გაწამებული გენიის სულს მალამოდ დაედოს. სიული-პრიუდომიც ესაუბრება ვარსკვლავთა გუნდს, მაგრამ, ლამარტინისგან განსხვავებით, შორეულ, უხილავ მნათობს ეძებს, იმას, რომლის სხივს დედამიწამდე ვერ მიუღწევია. ლექსის სათაური „იდეალი" სიმბოლურ შინაარსს შესძენს პოეტის ძიებას. სიული-პრიუდომის გრძნობა უფრო დახვეწილია, შინაგანად უფრო დამუხტულია.

თანდათანობით ნელდება პირველი პოეტური ცდებისათვის დამახასიათებელი რწმენა და შთაგონება. ახალი ლექსები მეტ სევდას იტევს და ეს ნაღველი სუ-მეტყველებს. [illegible] ნაპირების ზინადარმა. სიული-პრიუდომის (პოეტური კრებულების „ყმაწვილი ქალები", „ქალები") ლირიკული შეფერილობა ახალგაზრდა კაცის პირველი სიყვარულის გამოძახილია. — ამ განცდის წყალობით ელეგიების ფაქიზი ლირიკული გმირი ზორცს ისხამს და მოეჩვენება, რომ იგი არსებობდა, აქ იყო, შეიძლება, ახლაც არსებობს და აქ არის. სიყვარულის ანალიზი ღრმაა და ყოვლისმომცველი. არავის ასეთი ძალით არ გადმოუცია ყმაწვილური სულის კვნესა, ტრფობის პირველი გაელვება, პირველი ვნება, პირველი კოცნის სიტკბო და სიმწირე, უბიწოება და მშვენიერება და ბოლოს, მიტოვებული, უარყოფილი გულის გოდება.

და მე მას ვკარგავ მთელი
ცხოვრება,
და უსასრულოდ შევუნდობ
ცოდვას,
ო, ვერ დაგმარხეს შენ
საბოლოოდ...
შენ გახელილი დაგრჩა
თვალები...

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რადგანაც, ის, რაც ადრე ვთქვი, სიული-პრიუდომის გვიანდელ ნაწარმოებებსაც ეხება. სიული-პრიუდომი აქამდე უცნობ განზომილებას შესძენს პოეზიას: ყველასთვის ცნობილი პოეტური ფონდი უფრო ზუსტ ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ შეფერილობას იღებს, ამასთან ერთად, ბუნებრივია, ფართოვდება განსჯისა და ანალიზის არე. კრებული „ეჭვი" ფილოსოფიური პოეზიის გზაზი გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. პოეტი გვიმხელს საკუთარ ეჭვებს, გველაპარაკება დაკარგულ რწმენაზე და მისგან დატოვებულ დიდ სიცარიელეზე, მარტოსულ კაცზე, რომელმაც ცოდვების განსახჯელად საკუთარ სინდისს უნდა მოუხმოს („აღსარება"). ადრინდელი რწმენა დაიკარგა, მას ვეღარ მიუბრუნდები, თუმცა, კი გული ესწრაფვის რწმენის განახლებას, პოეტის სული შენდობას არ ითხოვს, მას სამართლიანობის აღდგენა სწადია. პოეტის ყურს სწვდება ეგვიპტური მონის ძახილი, რომელიც სულ უფრო მაღლა იწევს და ვარსკვლავებს უსწორდება. მონა ეძიებს ღმერთებს და სიმართლეს. სიული-პრიუდომის ლექსი ეგვიპტელი მონის კითხვაზე პასუხის პოვნის ცდაა („დაკარგული ძახილი").

ბევრისთვის სიული-პრიუდომი ერთი ლექსის პოეტია. ეს ლექსი საყოველთაოდ ცნობილი „გაბზარული ლარნაკი" გახლავთ. და მართლაც, მთელი მისი სულიერი ცხოვრება აისახა ამ „გაბზარულ ლარნაკში". ისე, როგორც ხელის ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა ბზარს აჩნევს ლარნაკს და ეს ბზარი თანდათანობით ნაპრალად იქცევა, პოეტის გულსაც ღრმა ჭრილობად ემჩნევა ყოველი მხუბუქი ნაკაწრი — ავი სიტყვა თუ ბოროტი მზერა. ასეთი პოეზია ლიტერატურის ბოლო პროდუქტად შეიძლება ჩაითვალოს — მას წინ უნდა უსწრებდეს ხანგრძლივი წარსული, ლიტერატურულიც და გრძნობადიც.

წარმოიდგინეთ სული, რომელმაც შეიცნო და გაითავისა რომანტიზმი, მისი ვნებათა მგზნებარება და ოცნებათა სიტკბოება. შემდეგ პარნასულ მელოდიას შეუერთა ხმა და ბოლოს, განსჯისა და ცოდნის მეშვეობით, კიდევ მეტად გააფართოვა საკუთარი მგრძნობელობის სფერო — ყოველივე ეს კლასიკური ფორმის მკაცრ საზღვრებში მოექცა.

რაზე გვესაუბრება სიული-პრიუდომის პოეზია? მე ვხედავ განშორებით გამოწვეულ ტკივილს, ფიქრთა სევდიან სიმშვიდეს, წამწამებზე ყინულივით მიყინულ ცრემლს „უმიზეზო სიხარულს", რომელსაც გზა აბნევია და დროებით, პოეტის სულში დაუდევს ბინა. აი, გასული საუკუნის ვერსვის სეივანი, რომლის სიმწვანიდან ამური იმზირება, ეშმაკური ღიმილით, მე მესმის მარტოსული ცისური ვარსკვლავის და ყველასგან მიტოვებული მიწის ბინადრის

(დასასრული მე-14 გვ.).

*სიული-პრიუდომის (რენე ფრანსუა არმან პრუდომი) პოეტური კრებულები: „სტანსები და პოემები" (1865); „სიმარტოვენი" (1869); „ამაო სინაზე" (1875); ფილოსოფიური პოემები „სამართალი" (1878): „ბედნიერება" (1888).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ქვენისა. მე შევინდობ თვით ხელოვანის სიმარტოვეს — აქტიორისა, რომელიც ცარიელ სცენაზე, უკაცრიელი დარბაზის ბნელ სიღრმეს გასცქერის. მე ვგრძნობ, რაოდენ მძიმეა, როს ვერვის გაუუ[illegible] ფიქრს, ვხვდები ტრფობის ამაოებას, როს ამბორი მხოლოდ სხეულებს აახლოებს. ყოველ ნაბიჯზე ვხვდები სიმარტოვეს, უამრავ სიმარტოვეს, უსასრულო სიმარტოვეს, მრავალსახას, ყოვლისმომცველს, რომლის ძირში სიმარტოვის მძაფრი განცდა ძევს. ადამიანი მარტოა, იგი დაშორდა სამყაროს, მოყვასთ და ბუნებას. იგი გაძევებულია, მაგრამ ამ მარადიული სიმარტოვის შუაგულში ფეთქავს დაუოკებელი და განუხორციელებელი წადილი სიყვარულისა. ადამიანის ხათუთი, ესოდენ ადვილად დასაკოდი გულის ერთადერთი სიმდიდრე.

სიულ-პრიუდომის პოეზია ისეთსავე ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, როგორც მუსიკალური ნაწარმოები. მხოლოდ მუსიკას შეეძლო იმ გრძნობების შექმნა და გადმოცემა, რომელთაც სიტყვიერი ფორმა შესძინა პრიუდომის ლექსმა. სიულ-პრიუდომმა უკიდურესობამდე განავრცო პოეზიის საზღვრები, პოეზიის არეალში შემოიყვანა მუსიკა, პროზა, და მეცნიერება. მეცნიერება რომ უცხო არ არის პოეზიისათვის ეს ადრეც იცოდნენ, ამისთვის ანდრე შენიესა და ალფრედ დე მიუსეს მაგალითიც კმარა. ისიც აშკარაა, რომ ზეცა ერთნაირად მშვენიერია ასტრონომისათვის და პოეტისთვისაც. მეცნიერება ქმნის უამრავ მანქანას, მექანიზმს და ადამიანი ეუფლება ბუნებას, სახეს უცვლის მას. აქედან იღებს სათავეს მისი დიდებული სიამაყე, ბუნებრივიც და პოეტურიც ერთდროულად. მეცნიერება ბადებს გარკვეული სახის გმირობასაც; ეს თანამედროვე გმირობაა, რომელიც უკავშირდება ადამიანის სწრაფვას ამოხსნას სამყაროს და ბუნების საიდუმლოებანი. ეს ყველაზე ამაღლებული და უანგარო გმირობაა. პოეტი, რომელიც დუმილით აუვლის გვერდს ყოველივე ამას, თანამედროვედ ვერ ჩაითვლება. სიულ-პრიუდომი კი მთლიანად თანადროულობაში ჩართული ხელოვანია: მისი „ზენიტი“ დიდებული ჰიმნია, რომელიც მან მეცნიერების სიდიადეს უმღერა. ეს პოემა აერთიანებს განსჯას, ზუსტ აღწერებს და ლირიკულ მოძრაობას — ჩვენს თვალწინ ჰაერნაოსანთა თავგადასავალი სიმბოლური დრამის განზომილებებს იღებს. მათი ზეაღსვლა სულის ამაღლების ნიშანია, რომელიც აქამდე უცნობის შეცნობას ესწრაფვის. მამაცი ნაოსნები იღუპებიან, მათ სხეულს მიწას მიაბარებენ, მაგრამ მათი სულები განახლებული ძალით ისევ იმ სიმაღლეებისკენ ილტვიან. პოეტი თავის გმირებს პოზიტივისტურ მარადისობას ანიჭებს — ცხოვრება გრძელდება შემოქმედებაში და ადამიანთა მახსოვრობაში. ამრიგად, მხოლოდ სიცოცხლეში შეგიძლია დასტკბე მომავალი სიდიადით და რჩეულნი ამა ქვეყნისანი, გმირები ან ხათნოების სიკეთის გზით მავალნი სიკვდილზე ადრე შეიცნობენ საკუთარ უკვდავებას. ეს ოცნებაა, რომელსაც ეგოიზმის ნასახი არ ურევია, ილუზიაა, რომელსაც ძალუძს რეალური კონტურები შეიძინოს და ადამიანის მცდელობას ძალუმი ხუნთქვა შთაბეროს. ერთი დიდი თემა სიულ-პრიუდომის პოეზიისა სამართალი და სიმართლეა. სიმართლის იდეა სიმართლის ძიებას უკავშირდება, მაგრამ პოეტი ვერც მყოფადში და ვერც აწმყოში ვერ პოულობს მას, თუმცა ეს ხელს არ უშლის შეიცნოს საკუთარი პასუხისმგებლობა ზნეობრივი კოდექსის წინაშე. საიდან გაჩნდა ეს იდეა მის შემოქმედებაში? იდეა განუხორციელებელი, რომელსაც ესოდენ სიჯიუტით ესწრაფვის პოეტი? მისი რწმენით, სიმართლე ადამიანთა თანაარსებობაში მოიპოვება, იგი ადამიანთა გარეშე არ არსებობს და მათი ღვაწლით იქცევა საჩინო რეალობად. უამრავი თაობის ღვაწლია საჭირო იმისთვის, „რომ ატომსა და ადამიანს შორის კავშირი გაიბას“. ადამიანს სურს, რომ წინამავალ თაობათა ღვაწლი და ქმედება ღირსეულად დააფასოს თანამედროვეობამ. სამართლიანობა ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეზღოს. ასეთი სამართლიანობა ჯერ არ არსებობს, მაგრამ იგი ადამიანთა მცდელობით იშვება და მომავალში უცილობლად განხორციელდება. პოეტს სწამს, რომ სიმართლის სამეუფო დამკვიდრდება ადამიანთა მიწაზე და მხოლოდ ეს იმედი აძლევს ნებას შეურიგდეს ადამიანის მიერ წარსულში ჩადენილ უამრავ ბოროტებას. ვრცელი პოემა „სამართალი“ სწორედ ამ პათოსით შეიქმნა. მე მიყვარს ეს პოემა და მისი დიდებული სიმეტრია. სიულ-პრიუდომს სიძნელეთა სიმრავლეს უკიჟინებენ, მაგრამ პოეტი თვით ეძიებს ამ სიძნელეებს, რათა თავისი გენიით გადალახოს ისინი.

ყოველივე ფილოსოფიური სპეკულაცია საკუთარ თავში შინაგან დრამას შეიცავს: აქედან მომდინარეობს ფილოსოფიური პოეზიის არსებობის გამართლება. მე არ მესმის, რატომ საყვედურობენ პოეტს, რომ მან თითქოს თვითნებურად გადალახა პოეზიის საზღვრები. ძნელია სპინოზას ეთიკის გალექსვა, მაგრამ სამყაროს ეთიკური იდეა და ის ზნეობრივი განწყობა, რომელსაც ეს იდეა შეგვძენს, შეიძლება იქცეს პოეტურ მასალად. იდეა ლექსის წყალობით კიდევ უფრო იკვეთება, რელიეფური ხდება. „სამართლიანობა“ ამის თვალსაჩინო დასტურია. „ლექსი წარმოადგენს ფორმას, რომელსაც შეუძლია მთელი სისავსით წარმოაჩინოს ყოველივე, რასაც პოეტი მას გაანდობს — გრძნობა იქნება ის თუ იდეა“ — წერს სიულ-პრიუდომი. რა წამს განყენებული მეტაფიზიკა ადამიანურ პრობლემებს ეხება ან გულის თანალმობას ესწრაფვის, იგი პოეტური ასახვის საგანი ხდება. პოეზია დასაბამიდანვე, დიდაქტიკასთან ერთად, ადამიანურ ცოდნას კრებდა და მის სამზეოზე გამოტანას ემსახურებოდა. ამ მიზნისთვის მას დღესაც არ უღალატია.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა სიულ-პრიუდომზე, განსაკუთრებით მის სტილზე, მისი ლექსების ფორმაზე. იგი მუდამ კრძალვით ძერწავდა თავისი ნაწარმოებების სტილს, ამიტომაა, რომ მისი ლექსი გამოირჩევა განსაზღვრულობით, მასში ვერ იპოვით ბუნდოვანებას, იგი ნათელია და ბევრის დამტევი. რაც დრო გადის, მით უფრო მაღლდება სტილისტური ხელოვნება პოეტისა, უფრო მეტად გაწონასწორებული, სიმეტრიული და ჰარმონიული ხდება იგი. მან უამრავი სონეტი შექმნა, შეიძლება, ეს სონეტები ყველაზე ღირებულია, რაც ამ ჟანრში ფრანგულ ენას შეუქმნია. სიულ-პრიუდომი უფრო პლასტიკას აქცევს ყურადღებას, ვინემ კოლორიტს, ფერადოვნებას. იტალიაში მის ყურადღებას ქანდაკებები იპყრობენ, პეიზაჟში — ხაზები. როცა იგი აღწერს, მისი სიზუსტე მიუწვდომელია. მის შთაგონებას მუდამ თან ახლავს აზრი, ამიტომაცაა იგი ესოდენ ზუსტი და ნათელი: წარმოსახვა განსჯის კონტროლს ემორჩილება. თუკი მართალია, რომ დიდი პოეტი ის არის, ვისაც ძალუძს, რაც შეიძლება მეტი თანხვდომა აღმოაჩინოს ზნეობრივ და ნივთიერ სამყაროს შორის, მაშინ, სიულ-პრიუდომი ერთ-ერთი პირველთაგანი ყოფილა. იმასაც დავძენ, რომ ვიქტორ ჰიუგოსთან ერთად, სიულ-პრიუდომი სიმბოლოების უდიდესი შემოქმედია.

სიულ-პრიუდომმა მშვენიერი პოეზიის თაყვანისმცემელთა გულში მისთვის კუთვნილი, ყველაზე ღრმა და თბილი ადგილი დაისაკუთრა. არცერთი სხვა პოეტი არ იკითხება ასეთი სინაზით. ეს იმიტომ ხდება, რომ მისი წყალობით, ჩვენ ჩვენივე საკუთარი არსის სიღრმეში ვიძირებით. თავისი მგრძნობელობით, თავისი აზრით, ცოდნით და ლექსის გულწრფელი ფორმით, სიულ-პრიუდომი, შეიძლება, ყველაზე დიდი პოეტია თანამედროვეთა შორის.

ფრანგულიდან თარგმნა
**გიორგი ეკიზაშვილმა.**

# გალაკტიონის ერთი ჩანაწერი

გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება და ბიოგრაფია ისევე რთული, მრავალმხრივი და საინტერესოა, როგორც მისი შემოქმედება. ამის უტყუარი დასტურია თვით პოეტის ჩანაწერები, შენიშვნები, დღიურები, რომლებიც არის და კვლავაც იქნება სპეციალური კვლევის, ცხოველი ინტერესის უშრეტი წყარო.

გალაკტიონის ცხოვრების, მისი სულიერი განწყობილებების ამსახველ მასალებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოეტის ერთი ჩანაწერი, რომელიც ხელნაწერის სახით ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (იხ. გალაკტიონ ტაბიძის ფონდი 24549).

სრული წარმოდგენის შესაქმნელად მოგვაქვს იგი მთლიანად: „მაგიურმა ხოჭომ გაიარა ჩემს სიტყვებზე **Черноклен** (იელი), **Черномазый** (ყარაჩი, შავტუხა, ზანგელა), **Черната** (სიშავე). ეს მაგიური ხოჭო აღმოჩნდა რუსულ-ქართული ლექსიკონის 1118 გვერდზე. მისი ამ გვერდზე მოგზაურობის შემდეგ მე იგი ჩავსვი ასანთის კოლოფში, თუმცა, ალბათ, ეს მას არ სიამოვნებს, მხოლოდ ეს უფრო პატარა, ერთი ნამცეცა ბუზანკალია, ვინემ ხოჭო. იელი, რომელიც მან აღმოაჩინა, ბოტანიკური მცენარეა ყვითელი ყვავილებით. მითი გადაფარული იყო, მახლობლად ქუთაისის მიდამოები. ყარაჩი, შავტუხა, ზანგელა: ეს ხომ ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი მე-ა! სიშავე კი — აქ წერტილის დასმა შეიძლება... მაგრამ... შავებით მოსილი ქალები მთაწმინდაზე. ყველგან? ო! სიშავე თვალთა. სიშავე ღამის, სიშავე ყორნის ფრთების! შავი ზღვა, შავი დღე, შავი ბერი, შავი ღრუბელი, შავი ფიქრები!“.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ რევაზ თვარაძე წიგნში „გალაკტიონი“, სადაც უდიდესი პროფესიონალიზმითა და პოეტისადმი უსაზღვრო სიყვარულით არის დახატული გალაკტიონის შემოქმედებისა და ცხოვრების, მისი სულიერი სამყაროს სიღრმისეული შრეები, ყურადღებას ამ ჩანაწერზე ამახვილებს. იგი 80-იანი წლების „უმეგობრო“, „მარტოსული“, „ავადმყოფი“, პოეტის პორტრეტის დასახატავად მრავალ სხვა გამოუქვეყნებელ მასალასთან ერთად, ამ ხელნაწერსაც იშველიებს.

ამავე ხელნაწერს გვერდს არ უვლის მიხეილ კვესელავა წიგნში „პოეტური ინტეგრალები“. გალაკტიონის უჩვეულო განცდების, „სულიერი შეჭირვების“ მიმნიშნებელი ციტატების მოტანისას, მიხეილ კვესელავა ამ ჩანაწერს „გაუცნობიერებელი შიშით გამოწვეულ კოშმარულ ჰალუცინაციებად“ მიიჩნევს. ამ ჩანაწერის მოტანამდე მიხეილ კვესელავა პირდაპირ აცხადებს: „დაბოლოს, რაღაც ბოდვის მსგავსი“, თუმცა, იმავდროულად, პოეტის ჩანაწერი მასში, როგორც ჩანს, ედგარ პოს „ოქროს ხოჭოს“ ასოციაციასაც იწვევს. ჩანაწერის ციტირებისას, „პოეტური ინტეგრალების“ ავტორი პირველივე სტრიქონთან, სიტყვასთან „ხოჭო“ შენიშნავს: „გახსოვთ ედგარ პოს ხოჭო?“.

ერთი შეხედვით, გალაკტიონის ჩანაწერი, მართლაც ავადმყოფი ადამიანის ბოდვას უფრო წააგავს, ვიდრე რაიმე ასოციაციებით შექმნილ, შინაარსის მომცველ სტრიქონებს, მაგრამ, თუკი მის გაშიფვრას შევეცდებით, მაშინ ამ აფორიაქებული ადამიანის სულში ადვილად შევამჩნევთ ედგარ პოს დეტექტიური ჟანრის მოთხრობის „ოქროს ხოჭოს“ კვალს.

გალაკტიონი, თავის ჩანაწერში მომავალი ცხოვრების განსაჭვრეტად ედგარ პოს „ოქროს ხოჭოს“ „მათემატიკურ მეთოდს“ მიმართავს. გალაკტიონის ხოჭო, ედგარ პოს მაგიური ხოჭოს მსგავსად, შეუცნობლის ამოხსნას, ფარული აზრების გაშიფვრას ემსახურება. საიდუმლოს ამოხსნა გალაკტიონის ჩანაწერში, ისევე, როგორც ედგარ პოს აღნიშნულ მოთხრობაში, ლოგიკურ მსჯელობებსა და სხვადასხვა მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის აღმოჩენას ემყარება, რასაც, თავის მხრივ, ხოჭოს მაგიურობა განაპირობებს.

გალაკტიონის ჩანაწერში ხოჭოს მიერ „აღმოჩენილი“ სიტყვა „ყარაჩი“, „შავტუხა“, „ზანგელა“, „ოქროს ხოჭოს“ „მათემატიკურ მეთოდზე“ დაყრდნობით, თუ მის წარსულს, ახალგაზრდობას უკავშირდება, მაშინ „სიშავე“ ქართველი პოეტისთვის, უდავოდ, მომავალს განსაზღვრავს. ამდენად, ჩანაწერი, ედგარ პოს „მათემატიკურ მეთოდზე“ დამყარებული ლოგიკური დასკვნების მიხედვით, პოეტის მიერ წარსულის მოგონება და უიმედო მომავლის წინასწარმეტყველებაა, მასში გადმოცემული განცდები ავისმომასწავებელი წინათგრძნობის შიშით გამოწვეული განცდებია და არა ავადმყოფური ბოდვა, „კოშმარული ჰალუცინაციები“.

აქვე უნდა ითქვას, ისიც, რომ წარსულის სევდიანი მოგონებანი და უიმედო მომავლის განჭვრეტა, საგნობრივ სამყაროსა და ცოცხალ არსებას შორის ურთიერთკავშირების ძებნა, რაც განსაკუთრებული მგრძნობელობით არის ნასაზრდოები, ნიშანდობლივია გალაკტიონის შემოქმედებისთვისაც. ამის ერთ-ერთი მაგალითია ლექსი „კოშკი“, სადაც ლირიკული გმირის ღრმა რწმენით, საგვარეულო სახლსა და მის მობინადრეს შორის არსებობს დიდი მსგავსება, ურთიერთკავშირი. საგნობრივ სამყაროს — სახლს და ცოცხალ არსებას — ადამიანს შორის მსგავსების, ფარული კავშირების დაძებნის შედეგია ის, რომ კოშკის სარკმელთა ცვენა, ლირიკული გმირის მოახლოებულ უბედურებას, პიროვნულ დაღუპვას მოასწავებს. ავბედობის წინათგრძნობის, პიროვნული დაღუპვის ეს შემაძრწუნებელი შიში, მსგავსად პოეტის ჩანაწერში გამეფებული განწყობილებისა, გასდევს მთელ ამ ლექსს ლაიტმოტივად.

ამგვარად, ზემოთ განხილული ჩანაწერი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ გალაკტიონის მიერ დატოვებული მდიდარი მემკვიდრეობის ერთგვაროვანი გაგება, ხშირ შემთხვევაში, გამორიცხულია, რადგან, როგორც ამას სავსებით სამართლიანად შენიშნავს რევაზ თვარაძე „რაკი გალაკტიონ ტაბიძის სათქმელი უაღრესად რთულიც არის და მარტივიც ერთსა და იმავე დროს, ამგვარივეა მისი გამოსახვის საშუალებები: ერთი შეხედვით, მარტივი, ჩვეულებრივი ფრაზა მოულოდნელი სირთულის შემცველი აღმოჩნდება ხოლმე და ერთი შეხედვით რთული სახე—საგანთა, მოვლენათა, სულიერ რეალობათა, მიმართებათა უპირველესი, უარსებითესი ნიშნის წარმომჩენი და, ამდენად, სავსებით გასაგები“.

**ეთერ მგალობლიშვილი**

# მეტრის გარდაცვალება

ახლახანს კანადაში გარდაიცვალა ინგლისურენოვანი ლიტერატურათმცოდნეობის პატრიარქი — მწერალი, ლიტერატურის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი ნორთროპ ფრაი.

შემოქმედი პიროვნების ღვაწლი ალბათ, იმითაც განისაზღვრება, თუ რამდენად ძნელია რაიმეს შექმნა იმის გაუთვალისწინებლად, რაც ამ პიროვნებას მანამდე შეუქმნია. ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ბევრ, ძალიან ბევრ თეორიულსა თუ პრაქტიკულ პრობლემაზე შეუძლებელია წერა ნორთროპ ფრაის ძირითად ნაშრომთა გაუთვალისწინებლად. ფრაი მოჰიკანთაგან უკანასკნელი იყო. ის იმ დიდ ინგლისელ და ამერიკელ კრიტიკოსთაგან უკანასკნელი იყო, ვისაც ლიტერატურის საკუთარი, ღრმად ორიგინალური კონცეფცია გააჩნდა. ის მემკვიდრე იყო იმ დიდი ჰუმანიტარული ტრადიციისა, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ მეთიუ არნოლდის კრიტიკულ აზროვნებაში იღებს და შემდეგ უსაზღვროდ მდიდრდება. ტომას ელიოტის, აიზეკ აიფორ რიჩარდზის, ფრენკ რაიმონდ ლივისის, ჰერბერტ რიდის, რიჩარდ ჩეიზის, კლეანთ ბრუკსის და სხვათა ფასდაუდებელი ღვაწლით. მის გარდაცვალებასთან ერთად, აწ უკვე საბოლოოდ, ჩაბარდა წარსულს ის ხაოცარი ლიტერატურული ეპოქა, რომელსაც, ფართო გაგებით, „მოდერნისტულს“ ვუწოდებთ და რომლის წყალობითაც მეოცე საუკუნის დასავლური მწერლობა მხატვრული აზროვნების ისტორიაში შევა.

„კარგად ტემპერირებული კრიტიკის“ ავტორს ცხოვრებაშივე დიდი აღიარება ხვდა წილად. ჯერ კიდევ სამოციანი წლების დასაწყისიდან იბეჭდებოდა და დღესაც იბეჭდება სტატიები და მონოგრაფიები, სადაც შესწავლის საგნად სწორედ მისი ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდია არჩეული. ფრაის ისეთი ფუნდამენტური ნაშრომები, როგორიცაა „კრიტიკის ანატომია“, „იდენტურობის იგავები“, „შემაძრწუნებელი სიმეტრია“, „საერო წერილი“, „ედემის დაბრუნება“ და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი წიგნი თუ ესეი საფუძვლად დაედო სპეციალისტთა შემდგომი თაობების საქმიანობას და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თანამედროვე ინგლისურენოვანი სამყაროს ლიტერატურულ-კრიტიკულ აზროვნებაზე. ფრაის თეორიული მოძღვრება ერთ-ერთი ქვაკუთხედია მითოსისადმი იმ დიდ ინტერესისა, რომელმაც ჯერ კიდევ ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში მთელი ევროპული და ამერიკული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნება მოიცვა. ჩვენში დღესაც იბეჭდება გამოკვლევები და იწერება დისერტაციები მითოსსა და მის როლზე თანამედროვეობისა თუ წარსულის ლიტერატურულ აზროვნებაში, მაგრამ იშვიათად თუ იცის ვინმემ, რომ დასავლეთში ამ თეორიული ინტერესის გაღვივებას სწორედ ფრაის „კრიტიკის ანატომიამ“ მისცა მძლავრი სტიმული. ინგლისურენოვანი ლიტერატურული კრიტიკისათვის ამ ნაშრომის მნიშვნელობის გაზვიადება დღესაც, პრაქტიკულად შეუძლებელია. საერთოდ, ნორთროპ ფრაის მთელი მოღვაწეობა — მისი წიგნები ლიტერატურულ და მითოსურ აზროვნებაზე, დიდი ჰუმანიტარული კულტურით, იშვიათი ესთეტიკური ალღოთი აღბეჭდილი გამოკვლევები შექსპირზე, მილტონზე, უილიამ ბლეიკზე; ინგლისურ რომანტიკულ მწერლობასა თუ ტომას სტერნზ ელიოტზე ჩვენი დროის დასავლური სულიერების განუყრელ ნაწილს შეადგენს. არსებითად, ეს სამაგიდო წიგნებია ყველა იმათთვის, ვინც თანამედროვე ევროპული და ამერიკული ლიტერატურის სამყაროსთან, მისი მაცოცხლებელი ტრადიციის ფესვებთან, მის მითოსურ საწყისებთან ზიარებას ისახავს მიზნად.

როდესაც ნაწილობრივ მაინც ხარ დაინტერესებული იმ პრობლემატიკით, რასაც ფრაი იკვლევდა, შეიძლება ბევრ რამეში მას არც დაეთანხმო. შესაძლოა პირიქითაც მოხდეს და მთლიანად გაიზიარო მისი შეხედულებანი. ერთადერთი, რაც შეუძლებელია — წერო და იფიქრო მითოსსა და დასავლურ ლიტერატურაზე ისე, თითქოს ნორთროპ ფრაის ამ თემაზე არაფერი დაუწერია. „ის დიდი კაცი იყო და ჩვენი აკადემიური წრეები, ისევე, როგორც თანამოკალმე ლიტერატორთა საძმო მთელ მსოფლიოში, დიდად არიან დამწუხრებული ამ დანაკლისით“, — ნათქვამია ერთი კანადელი სწავლულის წერილში, რომელმაც მეტრის გარდაცვალება შემატყობინა.

**თემურ კობახიძე**

# 33 ბრალდებული

მე დამაპატიმრეს 1942 წლის 2 აპრილს, ნაშუაღამევს. მეზობლის თანდასწრებით გაჩხრიკეს ჩვენი ბინა, გახიჩქეს ჩემი წიგნები, ზოგი რამ თან წაიღეს. წამიყვანეს შავი მსუბუქი მანქანით. კომენდატურაში გულდასმით გამჩხრიკეს, ჩამომართვეს თმის დასამაგრებლები, ამაჭრეს ღილები, მომხსნეს ქამრის ბალთა და ადამიანის ღირსების შეურაცხმყოფელი მოპყრობით მაგრძნობინეს იქ მოხვედრილი ადამიანის სრული უმწეობა, დამცირება, აბუჩად აგდება, რომ მან წინასწარვე ხელი ჩაიქნიოს ყველაფერზე. კომენდატურიდან მაშინვე ამიყვანეს დაკითხვაზე მინისტრის მოადგილესთან — ირაკლი ნიბლაძესთან. პასუხისგებაში ვიყავი მიცემული იმ ახალგაზრდების საქმესთან დაკავშირებით, რომლებთანაც ერთად მე ვსწავლობდი უნივერსიტეტში 1934-1939 წლებში. ეს სტუდენტები შემდეგ გახდნენ უნივერსიტეტის ასპირანტები და 1942 წელს გაწვეული იყვნენ ჯარში (მცხეთაში, ვაზიანსა და ავჭალაში) და ელოდებოდნენ ფრონტზე გაგზავნას.

ირ. ნიბლაძემ რამდენჯერმე დამკითხა. იგი მოითხოვდა დამესახელებინა ჩემი ამხანაგები და ის, თუ ვისგან გავიგე მე მათი დაპატიმრება. მე ვუპასუხებდი, რომ მათი დაპატიმრების ამბავი ყველასათვის იყო ცნობილი და კონკრეტულად ვისგან მქონდა გაგონილი, მე არ მახსოვდა. დამემუქრა: ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ სხვა საშუალებებს, რომლებიც გაგებული გექნებათ პატიმრებისაგანო. მე ვუპასუხე, რომ ამის შესახებ საკანში არ ვლაპარაკობდით.

შემდეგში გამომძიებელი იყო უაღრესად უსიამოვნო გარეგნობის პიროვნება, ვინმე მარქაროვი. ბრალი მედებოდა იმაში, რომ ვიცოდი ჩემი ამხანაგების ანტისაბჭოური განწყობილება და მათი შეთქმულების ამბავი. ძიების პროცესში მე მტკიცედ უარვყოფდი ორივე ბრალდებას.

პატიმართა დაკითხვა ყოველთვის ღამით ტარდებოდა. გვიან ღამით გაისმოდა რკინის კარების გაღების ხმა და ყოველი პატიმარი გულის ფანცქალით ელოდებოდა გამოძახებას. სარდაფის სართულიდან საკანში თითქმის ყოველ ღამე ისმოდა ძაღლის ყეფა და ქალის კივილი. დიდი ნებისყოფა იყო საჭირო, რომ ასეთ პირობებში პატიმრებს დაეძინათ, დღისით კი გამოძინების საშუალებას არ იძლეოდნენ. დაწესებული იყო: დილით ადგომა — 6 საათზე, დაძინება — ღამის 10 საათზე. ამ დროის განმავლობაში ლოგინი აკეცილი უნდა ყოფილიყო.

1942 წლის აგვისტოში გამოძიება დამთავრდა. გამომძიებელმა მარქაროვმა დამანახა ჩვენი საქმის რამდენიმე სქელი ტომი.

გამოძიების დამთავრების შემდეგ შავი დახურული მანქანით „ჩორნი ვორონით“ გადამიყვანეს ციხეში, სადაც კარანტინში შევხვდი მანამდე ჩემთვის უცნობ თინათინ გონიაშვილს. საუბარში გაირკვა, რომ ჩვენ ერთ საქმეზე ვიყავით დაპატიმრებული. კარანტინის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს დაგვაშორეს. საკანში, რომელშიც მე შემიყვანეს, 80 პატიმარი ქალი იყო როგორც პოლიტიკური, ისე სისხლის სამართლის დამნაშავენი. ყოველ ერთმანეთზე მიდგმულ ჟრ საწოლზე ხუთი ქალი იძინებდა, საწოლის ქვეშაც თითო ქალი იწვა..

რამდენიმე დღის შემდეგ ციხის უფროსმა გამომიძახა და საბრალდებო დასკვნა წამიკითხა.

სასამართლო პროცესი დაიწყო 9 სექტემბერს და გაგრძელდა 20 სექტემბრამდე. თ. გონიაშვილს და მე ციხიდან გვატარებდნენ შავი დახურული მანქანით რუს მესაზღვრე ჯარისკაცთა ბადრაგის თანხლებით. მანქანიდან სასამართლოს ეზოსთან გადაყვანის დროს გაიცემოდა ბრძანება — —сесть— ჩვენც დანარჩენ პატიმრებთან ერთად უნდა ჩავცუცქულიყავით, ხელები ზურგზე დაგვეწყო, შემდეგ გაიცემოდა ბრძანება და სასამართლოს შენობაში შევყავდით სარდაფის სართულიდან.

ბრალდებულთა უმეტესობა ერთმანეთს საერთოდ არ იცნობდა. სასამართლო პროცესმა ჩემთვის აშკარა გახადა, რომ დაპატიმრებამდე პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდების „საქმიანობა“ ლაპარაკს არ გასცილებია. მათი ფიქრისა და განსჯის საგანი სამშობლოს ბედ-იღბალი იყო: თუ გერმანელთა ჯარები საქართველოს მოადგებოდა, ყველაფერი უნდა ეღონათ იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლის ღვრა, საქართველოს მოეპოვებინა თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მაგრამ, რადგანაც საბჭოთა ჯარების მკვეთრი შეტევის გამო გერმანელთა ჯარები უკან იხევდნენ, ახალგაზრდებმა რაიმე აქტიურობის გამოჩენა ზედმეტად მიიჩნიეს. მიუხედავად ამისა, გამოძიებამ და სამხედრო ტრიბუნალმა მათი დანაშაული გააფორმა, როგორც შეიარაღებული აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ბრალდებულებში გამოავლინეს სამი ჯგუფი, რომელთაც თავ-თავისი მეთაური ჰყავდათ და თითო თუ ორი პიროვნების საშუალებით იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან.

ახალგაზრდები გადაჭარბებული გულახდილობით გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებს, რაც იმ დროისათვის წარმოუდგენელი და მათთვის დამღუპველი იყო. ეს ფაქტი დიდად მაოცებდა. უნებურად ჩნდებოდა კითხვა: რამ მიიყვანა ისინი ასეთ გადაჭარბებულ გულახდილობამდე? ჩვენთვის საიდუმლოდ დარჩა ჯარში მყოფი ახალგაზრდების დამბეზღებელი. ეს ბოროტი გამცემი რომ არა, ჩვენი ღრმა რწმენით, ახალგაზრდების ჩანაფიქრი ჩანაფიქრად დარჩებოდა, ხოლო ვინც ომის ქარცეცხლს გადაურჩებოდა, ჩვენი ერის სახელოვანი და დამამშვენებელი მოქალაქე გახდებოდა.

იმის შესახებ, თუ რა პირობებში გამოგვიცხადეს სატანური განაჩენი და ვის რა მიესაჯა, დაწვრილებით არის ნათქვამი პროფესორ ლეო კვაჭაძის წერილში და აქ აღარ გავიმეორებთ. ხსენებულ წერილში რამდენიმე მსჯავრდადებულის შესახებ საყურადღებო ცნობებია წარმოდგენილი. ბრალდებულთაგან უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დასავლეთ ევროპის განყოფილებაზე ჩემთან ერთად კურსზე სწავლობდნენ მიხეილ კაციტაძე, თურმან შანშიაშვილი, გიორგი ახობაძე. კავკასიურ ენათა განყოფილებაზე იყვნენ გივი თარგამაძე და აბო ფარესიშვილი, რომლებსაც ლექციები ზოგიერთ საგნებში ეკითხებოდათ ჩვენს ჯგუფთან ერთად.

მე ვალდებულად ვთვლი თავს საზოგადოებრიობას გავაცნო ის, რაც მე ვიცი უსამართლოდ დაღუპული ჩემი ამხანაგების შესახებ.

**მიხეილ კაციტაძე** (1912-1942), უნივერსიტეტში შესვლამდე დამთავრებული ჰქონდა ჰიდრო-სამშენებლო ტექნიკუმი. 1934 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1939 წელს. როგორც ფაკულტეტის, აგრეთვე, საერთოდ იმ დროის სტუდენტებს შორის სარგებლობდა დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით. ანგარიშს უწევდნენ მის აზრს. იყო მშობლების უსაზღვროდ მოსიყვარულე და მზრუნველი შვილი, შინაურობაში ხუმარა, და-ძმის გულითადი მეგობარი და მრჩეველი ყოველ საქმეში. წიგნების დიდად მოყვარულს ბუკინისტები ყოველთვის უნახავდნენ იშვიათ ქართულ, რუსულ და ინგლისურ წიგნებს. სტუდენტობის დროს გამოაქვეყნა წერილი ინგლისურიდან ქართულად ნათარგმნი მხატვრული ნაწარმოების შესახებ. კარგად ფლობდა ქართულ სალიტერატურო ენას და მკაცრ მოთხოვნილებებს უყენებდა მთარგმნელებს. მიხეილ კაციტაძე იყო კ. კაპანელის ასპირანტი დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში.

**თურმან შანშიაშვილი** (1917-1942). დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტის გერმანული ენისა და ლიტერატურის განყოფილება 1939 წელს. ჩამოსული იყო რაიონიდან, რის გამო ჯერ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ ნაქირავებ ოთახში. იყო ყოველთვის სუფთად და წესიერად ჩაცმული. იყო ძალიან ნიჭიერი, ამასთანავე ბეჯითი, დიდად ნაკითხი და განვითარებული, თავისი სპეციალობით უაღრესად დაინტერესებული, ხასიათით დინჯი, წყნარი, ვაჟკაცური, გულისხმიერი, ხუმარა, ენამოსწრებული და ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი. უნივერსიტეტის დამთავრებამდე მუშაობდა საბავშვო ჟურნალ „ოქტომბრელის“ რედაქციის მდივნად. თურმან შანშიაშვილი იყო კ. კაპანელის ასპირანტი დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში.

**გიორგი ახობაძე** (1916-1942). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის გერმანული ენისა და ლიტერატურის განყოფილება 1939 წელს. გატაცებული იყო ფილოსოფიით, განსაკუთრებით ნიცშეთი და შოპენჰაუერით. სტუდენტები მას ფილოსოფოსად თვლიდნენ. ამხანაგებთან იყო მხიარული, ენამოსწრებული, ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა.

**აბო ფარესიშვილი** (1916-1942). 1939 წელს წარჩინებით დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილება. გამოირჩეოდა ნიჭითა და შრომისმოყვარეობით. მეგობრობდა გივი თარგამაძესთან. იყო მოხდენილი გარეგნობის, ზრდილი და წყნარი ხასიათის ახალგაზრდა. აბომ და გივიმ სტუდენტობის დროს მიიქციეს პროფესორების ყურადღება და ორივე ჩარიცხეს ასპირანტურაში. აბო იყო აკადემიკოს გ. ახვლედიანის ასპირანტი.

**გივი თარგამაძე** (1915-1942). 1939 წელს წარჩინებით დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილება. იყო ნიჭიერი, მშრომელი, თავისი სპეციალობით დიდად დაინტერესებული ახალგაზრდა. უყვარდა კითხვა, განსაკუთრებით უყვარდა ი. ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“ და სახარება. კარგად იცოდა საქართველოს ისტორია. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე რეკომენდირებული იყო ასპირანტად. იყო აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ასპირანტი.

**ვახტანგ შიხაშვილი** დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ამხანაგებისაგან ვიცი, რომ იყო ფილოსოფიით გატაცებული. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ჰქონდა იშვიათი ბიბლიოთეკა. იყო ოპტიმისტურად განწყობილი ახალგაზრდა. ენამოსწრებული, საღად მოაზროვნე, იუმორის გრძნობით ალსავსე. სასამართლო პროცესის დროს, როდესაც ამდენ ფილოლოგს შეიარაღებული აჯანყება დააბრალეს, მან სიცილით აღნიშნა: კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, რომ პოეტებს და მეცნიერებს სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინოთო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. გადასახლებიდან დაბრუნდა გვიან, 1956 წელს. უნივერსიტეტში ასწავლიდა, მაგრამ მძიმედ იყო დაავადებული და მალე გარდაიცვალა.

1942 წელს დაღუპულ სტუდენტსა და ასპირანტებს შორის ბატონ ა. სურგულაძის წერილში (გაზ. „კომუნისტი“, 2.IX. 1990) დასახელებულია ანტონ ყურუა, რომელიც 1942 წლის პროცესის მონაწილე არ ყოფილა; იგი დააპატიმრეს 1937 წელს, მაგრამ რადგან ჩემი თანაკურსელი იყო, საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვა მასზე.

ანტონ ყურუა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე ჩაირიცხა 1934 წელს. იყო მეტად გამორჩეული სტუდენტი, ძალიან ნიჭიერი, შრომისმოყვარე და პერსპექტიული ახალგაზრდა. ნათქვამის დასადასტურებლად შემიძლია დავასახელო სტატია „კონფერენცია საინტერესო იყო“, რომელიც დაიბეჭდა უნივერსიტეტის გაზეთ „ბოლშევიკური კადრების“ 1936 წლის 1 მაისის ნომერში. კონფერენციის თემა იყო „უცხო ენების შესწავლის აუცილებლობა“. კონფერენციაზე, რომელიც რამდენიმე საათს გრძელდებოდა, სტუდენტები გამოვიდნენ საინტერესო მოხსენებებით უცხო ენებზე. წერილში წარმოდგენილია ან. ყურუას მიერ გამოთქმული მოსაზრებები ფრანგული ენის სწავლების დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად, კერძოდ:

ნება დაერთოს სტუდენტებს ფუნდამენტური ბიბლიოთეკიდან ისარგებლონ ფრანგული წიგნებით;

უცხო ენაზე მეტყველების ჩვევის გამოსამუშავებლად შესვენების დროს სტუდენტებმა ისაუბრონ ფრანგულ ენაზე;

ფრანგულ განყოფილებაზე ზოგიერთი საგანი იკითხებოდეს ფრანგულად.

ფილოლოგიის ფაკულტეტის ფრანგულმა სექციამ დასახა შესაბამისი ღონისძიებები და დაავალა სტუდენტ ან. ყურუას გაეცნო ეს ღონისძიებები უნივერსიტეტის რექტორატისათვის. უნივერსიტეტში სწავლის დროს ან. ყურუა მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში. იგი დააპატიმრეს 1937 წელს. ცნობილია მოსკოვიდან ჩამოსული პროკურატურის თანამშრომლის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ანტონ ყურუამ მძიმე წამება გადაიტანა და გმირულად დაასრულა თავისი სიცოცხლე.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ მსჯავრდადებული ახალგაზრდები უკვე ახლო მომავალში დიდ წვლილს შეიტანდნენ ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობის საქმეში.

**თინათინ თუშმალიშვილი**

გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.

---

# ბატონ ლეო კვაჭაძეს

ჩემო საყვარელო მასწავლებელო!

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა, თქვენ რომ ქართულ ენასა და ლიტერატურას მასწავლიდით. ღმერთო ჩემო, თითქოს გუშინ იყო ყველაფერი — თქვენ ახალგაზრდა პედაგოგი ბრძანდებოდით, — მე ბავშვი, მოწაფე.

კარგა ხნის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს შევხვდით პედაგოგიურ ინსტიტუტში, თქვენ პროფესორი, მე — მწერალი. გადამეხვიეთ, გადამკოცნეთ და იმ ხანებში დასტამბული ჩემი წიგნისთვის, „ჟამი ჩვენი“, დიდი მადლობა გადამიხადეთ. თვალში ცრემლი შეგნიშნეთ. მადლობა გადამიხადეთ რომანში იმ ჭაბუკი პედაგოგის გახსენებისათვის, რომელიც თქვენი საუკეთესო მეგობარი და ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელი იყო.

ახლა მე მინდა საქვეყნოდ გადაგიხადოთ მადლობა იმ გულისშემძვრელი წერილისათვის, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ამა წლის 12 აპრილის ნომერში რომ გამოაქვეყნეთ სათაურით „33-ის სასამართლო პროცესი 1942 წელს“.

ეს იყო ჩემი თვალცრემლიანი შეხვედრა ადამიანთან, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში. ზურაბ მისაბიშვილი (ღმერთმა გაანათლოს მისი სული!) სულ რაღაც ერთი თუ ორი წლის განმავლობაში გვასწავლიდა ისტორიას. რამდენად დიდბუნებოვანი, რამდენად სულსა და გულში ჩამწვდომი უნდა ყოფილიყო 24-25 წლის ჭაბუკი, რომ მიუხედავად ასეთი ხანმოკლე ურთიერთობისა, სამუდამოდ დაეხსომებინა თავისი თავი ჩვენთვის, მისი მოწაფეებისათვის.

ამ გოლიათური აღნაგობის ლამაზ ჭაბუკს ღიმილიც შვენოდა და შუბლის შეჭმუხვნაც, გაწყრომაც და ალერსიც. თავი დაგვამახსოვრა აღნაგობითაც და გულის განუმეორებელი სითბოთიც, გულისა, რომელიც თურმე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაფერფლილა. ჩვენთვის ის მხოლოდ მასწავლებელი იყო, ქვეყნისთვის, თავისი საყვარელი საქართველოსთვის კი მებრძოლი რაინდი. მოწაფეებმა მაშინ არაფერი ვიცოდით (ან ვინ რას გვეტყოდა!) ზურაბისა და მის თანამოაზრეთა ფარული ბრძოლის შესახებ. გვიან, ძალიან გვიან გახდა ცნობილი და ჩვენს წარმოდგენაში დარჩენილი აღნაგობით ბუმბერაზი ჭაბუკი უფრო მეტი სიდიადით შეიმოსა, ამაღლდა და გაიზარდა, მისი ხსოვნაც გამტკიცდა.

ოცდაექვსი წლის ჭაბუკი დაისაჯა მხოლოდ იმისთვის, რომ მას საქართველო სულზე უტკბესად მიაჩნდა და თავდავიწყებით უყვარდა, ნატრობდა იმ დღეს, როცა ჩვენს ქვეყანას თავისუფლების, დამოუკიდებლობის მზე გადმოხედავდა.

ეს დღეც დგება. მაგრამ ამ დღისათვის წამებული ბევრი რაინდი და მათ შორის ზურაბ მისაბიშვილი აღარ არიან.

სიყვარულისთვის მხოლოდ წმინდანს აწამებს სატანა!

ო, რა შესანიშნავი გაკვეთილები ჰქონდა, როგორ კარგად გვასწავლიდა უწიგნოდ, დიახ, უწიგნოდ (გვიჭირდა, ქვეყანას უჭირდა, არ ბეჭდავდნენ!). მის ზეპირ მოთხრობებს სულგანაბულნი ვუსმენდით. თხრობას მოათავებდა და მე შემომხედავდა. ღმერთო ჩემო, რა კარგად მახსენდება ის ბედნიერი წუთები! თვალით მანიშნებდა, აბა, ახლა შენ, გაიმეორე ყოველივე ის, რაც მე გიამბეთო. არ მეშლებოდა, არაფერი არ მეშლებოდა, თითქმის სიტყვა-სიტყვით ვიმეორებდი მის მონათხრობს და სანამ მთელ კლასს კონსპექტის სახით ჩააწერინებდა იგივეს, დღიურში ნიშანს დამისვამდა—„ნ“—წარჩინებული“.

ბევრი რამ დამიკარგავს ცხოვრებაში და ალბათ იმ დანაკარგთა შორის ძვირფას საგნად ჩაითვლება ის დღიურიც, სადაც ზურაბ მისაბიშვილის ხელით იყო ჩაწერილი გულუხვად გაღებული დიდი ჯილდო-შეფასება.

ალბათ გულიც უზარმაზარი ჰქონდა, თუმც დიდგული არასოდეს ყოფილა.

დავყურებ გაზეთში დაბეჭდილ სურათს და განუზომელ სევდასთან ერთად სინანული მიპყრობს, რომ მასზე ძალზე ცოტა ვთქვი, ის მეტი დიდების ღირსია.

ახლა დრო დაგვიდგა ისეთი, ბევრი ნახევრად შეხორცებული ძველი იარა იხსნება. ძველი ჭრილობებიდანაც წამოვიდა ქვეყნისთვის წამებულთა სისხლი. იღვიძებენ წამებული წმინდანები, მათი სულები ცოცხლდებიან, თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟამს თავზე გვევლებიან, დაგვტრიალებენ, ამით ჩვენგან განუყოფელი არიან და ალბათ ჩვენთან ერთად იზეიმებენ იმ დღეს, როცა საქართველოში სრულად ამობრწყინდება თავისუფლების მზე.

იმ დღეს ჩვენთან იქნება ზურაბ მისაბიშვილიც!

გმადლობთ, მასწავლებელო!

პატივისცემით

**თენგიზ გოგოლაძე**



მხატვრული ნაწარმოების და განსაკუთრებით კი ლექსის მეტნაკლებად სრული და სწორი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ იმ ფართო და ღრმა ცოდნის მეშვეობით, რასაც მკითხველის თეზაურუსი ჰქვია. ეს უკანასკნელი გულისხმობს არა მარტო მკითხველის ზოგად ინტელექტუალურ მარაგსა და ესთეტურ-შემეცნებით გამოცდილებას, არამედ, აგრეთვე, კონკრეტულ ცოდნას მწერლისა და ნაწარმოების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის პოეტის ცხოვრების რომელიმე ეპიზოდის გამოძახილია. ახეთი ცოდნა ჩვეულებრივ მხატვრული ტექსტის კომენტარში აისახება ხოლმე, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ პოეტის შესახებ არსებულ ცალკეულ ბიოგრაფიულ გამოკვლევებს. სიტყვაძუნწი კომენტარი კი მოგეხსენებათ, მეტნაკლებად სრულად ვერ ფარავს იმ ინფორმაციას, რომელსაც მწერლის ბიოგრაფიული მასალა გვთავაზობს. ეს ცოდნა აუცილებელია არა მარტო იმ ენის მატარებელი საზოგადოებისათვის, რომელზედაც ლექსი შეიქმნა, არამედ, აგრეთვე იმ მკითხველისთვისაც, რომელიც ნაწარმოებს თარგმანში ეცნობა. მეორე მხრივ, ასეთი ცოდნის გარეშე შეუძლებელიცაა ლექსის თარგმნა. ამდენად მთარგმნელი განსაკუთრებული ინტერესით ეკიდება ასეთ მასალას და ხასვე ხელეწიფება კიდეც თარგმანთან ერთად მკითხველს წარმოუდგინოს ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის ამბავიც.

ვაფართოებთ რა კომენტარის ცნებას, მას პირობითად წარსულის გამოძახილს ვუწოდებთ და სწორედ მის ფონზე გთავაზობთ ლორდ ბაირონის რამდენიმე ლექსის ჩემს მიერ შესრულებულ თარგმანს.

1798 წელს 10 წლის ჯორჯ ბაირონმა მემკვიდრეობით მიიღო მეექვსე ლორდ ბაირონის ტიტული და საგვარეულო ციხე-დარბაზი ნიუსტედში. ნიუსტედის მახლობლად მდებარეობდა ენსლის ჰოლი, სადაც ცხოვრობდნენ მათი შორეული ნათესავები, გვარად ჩავორთები. ეს ორი გვარი მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, ვინაიდან ჯორჯ ბაირონის პაპის ძმას, მეხუთე ლორდ ბაირონს, რომელსაც მეტსახელად „დაწყევლილი ლორდის“ სახელით იცნობდნენ, დუელში მოუკლავს ჩავორთების წინაპარი.

ბაირონი ხშირი სტუმარი გახდა ენსლის ჰოლისა, სადაც მან 1803 წლის ზაფხულში გაიცნო მერი ენ ჩავორთი — განსაკუთრებულად მიმზიდველი შინაგანი ბუნების მქონე მშვენიერი ქალიშვილი. ბაირონს თავდავიწყებით შეუყვარდა მერი. მას გულწრფელად სწამდა, რომ მათი სიყვარული იხსნიდა ამ ორ ოჯახს მტრობისაგან და ყოველივე კეთილად დასრულდებოდა. ჩავორთების ოჯახმა კი არ დაუშვა, რომ მერი ცოლად გაჰყოლოდა პაპის მკვლელის შთამომავალს. მერისადმი სიყვარული უიღბლო გამოდგა.

1805 წელს მერი ჩავორთმა იქორწინა ჯონ მასტერზე. ამ ამბავს სულის სიღრმემდე შეუძრავს ახალგაზრდა ლორდი. მისი მძაფრი განცდები, როგორც თვითონ აღნიშნავდა, ბოლოს რითმებში პოულობდნენ გამოძახილს. ასე შეიქმნა ლექსი „ნაწყვეტი, დაწერილი მის ჩავორსის ქორწინების შემდეგ“, რომელიც 1805 წლითაა დათარიღებული.

НАЎЫВЕТИ

ნაწყვეტი, დაწერილი მის ჩავორსის ქორწინების შემდეგ

ენსლის სერებო, დგახართ ცივნი, მიუკარებნი,
აქ გაიქროლა უზრუნველმა ჩემმა ბავშვობამ,
გოდებენ ღამით ჩრდილოეთის მძაფრი ქარები
და არვის ძალუძს ამ მწუხარე მოთქმის ჩახშობა!
იმ ნეტარ დღეებს რად ეწერათ გა[illegible]ება.
როს ბედნიერი არ ვითვლიდი წუთებს აროდეს,
მერის ღიმილი, ციაური მისი მშვენება,
ველარასოდეს მომაჩვენებს
თქვენს თავს სამოთხედ.

როგორც ბაირონის თანამედროვენი და ბიოგრაფები აღნიშნავენ და რაც მისი ნაწარმოებებიდან და წერილებიდანაც ირკვევა, მერის სახე მუდამ თან სდევდა პოეტს, მის შემოქმედებას. პოეტი მოგონებათა ტყვეობაში იმყოფებოდა და ალბათ, ამიტომაც ლექსს „მოგონება“ ამ განცდის შედეგად შექმნილ ლექსთა რიცხვს მიაკუთვნებენ. ლექსი 1806 წ. დაიწერა.

მოგონება

მორჩა, აღსრულდა! —
გამიცხადდა კრული სიზმარი.
იმედის სხივით აღარ ბრწყინავს ჩემთვის ცისკარი,
უბედობის ჟამს სუსხიანმა მწარე ქარბუქმა
ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟი დარდით მოქუფრა.
მშვიდობით ტრფობავ,
სიყვარულო, ლხენავ, იმედო!
ნეტავ შემეძლოს, მოგონებავ,
შენც გაგიმეტო!

გადიოდა დრო, მერისთან შეხვედრის სურვილი პოეტს მოსვენებას არ აძლევდა. 1808 წლის შემოდგომით ბაირონი სტუმრად ეწვევა მერის მეუღლის ოჯახს. აი მაშინ კი მიხვედრილა პოეტი, რომ მერის ხილვა მისთვის სახიფათოა. ბაირონს არ შეეძლო მის გვერდით ყოფნა იმ დიდი სიყვარულის გამო, რომელიც გულში უღვიოდა. საჭირო იყო გარიდება. საუკეთესო გამოსავლად მას მიაჩნდა დიდი ხნის ოცნების განხორციელება — ემოგზაურა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყანაში. ეს განცდა პოეტმა გამოხატა ლექსით „ლედის, რომელმაც მკითხა, თუ რატომ მივემგზავრები ინგლისიდან გაზაფხულზე“. ლექსი დაიწერა 1808 წლის 2 დეკემბერს. 1809 წლის 11 ივნისს ბაირონი მიდის სამოგზაუროდ, საიდანაც მხოლოდ 1811 წლის ზაფხულში ბრუნდება. მათი სიყვარულის ამბავი მით უფრო ტრაგიკულად გამოიყურება იმ უიღბლო პირადი ცხოვრების ფონზე, რომელიც განგებამ თითოეულ მათგანს არგუნა. მძიმე განცდამ შეარყია მერის ჯანმრთელობა. იგი 1832 წ. გარდაიცვალა, რვა წლის შემდეგ ბაირონის გარდაცვალებიდან.

ლედის, რომელმაც მკითხა, თუ რატომ მივემგზავრები ინგლისიდან გაზაფხულზე

ცოდვილი წამით შეჩერდა ზღურბლზე,
როცა განდევნეს ედემის მხრიდან,
ტანჯვა-წამება იწერა შუბლზე.
გარდასულ დღეთა წყურვილი ღრღნიდა.
თუმც ხეტიალმა უცხო მხარეში
დარდის ატანა უკეთ ასწავლა,
მალე იპოვა შვება საქმეში
და იგონებდა წარსულს ანაზდად.
დე, ასე იყოს, მშვენებავ ჩემო!
აღარ ვიხილავ შენს სათნო სახეს,
ოხვრა წარსულზე მე ბედად მერგო,
ტანჯვის საწინდრად არ მინდა მყავდე.
მოვწყდები ყოველს! ისე არ მოხდეს,
რომ ვერ დავუსხლტე ცდუნების ძალას,
მიჯირს ვუმზერდე ჩემსა სამოთხეს
და არ ვინდომო იქ დავრჩე მარად.

პირველი მოგზაურობიდან ინგლისში დაბრუნების შემდეგ (1811-1812 წ.წ.) ბაირონს ჰქონდა დროებითი რომანი ლედი კაროლინა ლემთან. პოეტმა მას პატარა ვულკანი უწოდა. ქალის მგზნებარე და წირვული ხასიათით გაბეზრებული ბაირონი ცდილობდა შეეწყვიტა მასთან კავშირი. ეჭვით აღძრული ლედი კი ახალ-ახალ ხერხს მიმართავდა მასთან შესახვედრად. ქვემოთ წარმოდგენილ პორტრეტზე, რომელიც ტომას ფილიპსს შეუსრულებია, ლედი კაროლინა ასახულია იმ მომენტში, როდესაც, პაჟის სამოსელში გამოწყობილი, მოულოდნელად გამოეცხადა ბაირონს მაღალ საზოგადოებაში.

ერთ მშვენიერ დღეს კი კაროლინა ბინაზე ეწვევა ბაირონს. მისი უკანათლებულებობა შინ არ ყოფილა. მაგიდაზე გადაშლილი წიგნის პირველივე გვერდზე ლედის წააწერია — „გახსოვდე!“.

ავბედითი გაფრთხილებისათვის პოეტს ორი ტაეპი მიუწერია სათაურით — „მახსოვხარ მარად, მახსოვხარ მარად“:

მახსოვხარ მარად! მახსოვხარ მარად!
ვიდრე არ შთანთქავს ლეთე სიცოცხლეს,
ვერ მოიცილებ კოშმარის მაგვარ
სირცხვილს, სინანულს, ჩემგან იცოდე!
მახსოვხარ მარად! გჯეროდეს ჩემი,
მაგრამ შენზე ხომ კვლავ ორნი ვფიქრობთ:
ქმარი, რომელსაც დაადგი რქები,
და მე, რომელიც დემონად გიცნობ!

1815 წლის 2 იანვარს ლორდ ბაირონმა იქორწინა ანაბელა მილბენკთან. იმავე წლის 10 დეკემბერს მათ შეეძინათ ქალიშვილი ადა აუგუსტა ბაირონი.







# ლექსი — წარსულის გამოძახილი

## ჯორჯ გორდონ ბაირონი

ბაირონისადმი საზოგადოების მტრობამ მალე მის ოჯახურ ბედნიერებასაც დარია ხელი. ცოლ-ქმარს შორის გაუგებრობის ბზარი გაჩნდა.

1816 წლის 15 იანვარს ლედი ბაირონმა მიატოვა მეუღლე და ახალშობილ ბავშვთან ერთად მშობლებთან გაემგზავრა. მას შემდეგ ბაირონი აღარასოდეს შეხვედრია მეუღლეს და ქალიშვილს.

ბაირონმა ხელი მოაწერა განქორწინების აქტს და 1816 წლის 17 მარტს დაწერა მეუღლისადმი მიმართული ლექსი „გემშვიდობები“. იმავე წლის აპრილში პოეტი კვლავ უცხოეთს გაემგზავრა, საიდანაც უკან დაბრუნება აღარ ეწერა. იგი 1824 წლის 19 აპრილს გარდაიცვალა საბერძნეთში. მისი სიცოცხლე საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შეეწირა. ამ ლექსის ხელნაწერი მისი გარდაცვალების შემდეგ იპოვეს (იგი თავდაპირველად მხოლოდ ვიწრო წრისათვის იყო გამიზნული და, ამდენად, პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა). ხელნაწერი ცრემლებით ყოფილა გაჟღენთილი.

გემშვიდობები

გემშვიდობები! მორჩა ყოველი,
აწ მძვინვარებით გული აღივსო.
ჩემგან შენდობას ნუღარ მოელი,
თუმც არ გაგწირავ სამარადისოდ.
რომ შესძლებოდა ემხილა სევდა
ამ მკერდს, რომელზეც გეძინა შვებით,
რომელშიც გული უსიტყვოდ ძგერდა,
რომელსაც სუნთქვა ათრობდა შენი;
რომ შესძლებოდა თვითონ ემბნა
ამ მკერდს დაფარულ ვნებათა ზღვაზე, —
ახლა რა გითხრა, არის გვიანდა
არ დამწიხლავდი [illegible]
დღეს შენს საქციელს არ გმობს არავინ
მოშურნეთ ცბიერ ღიმილს ენდობი,
ზეიმი იგი არს შემზარავი,
თუ გაიხარებ სხვის უბედობით.
დამძიმდა გული ცოდვებით სავსე
და თუმც ამ ქვეყნად ბევრი ვიარე,
ველარსად ვპოვე მაგ მკლავთა მსგავსი,
რომ მიშუშებდა ხვევნით იარებს.
თავს ნუ იტყუებ, მე დამიჯერე.
სხვისას ნუ ისმენ ხოტბას თუ ქებას,
ჩვენ ხომ ჯერ გულიც კი ვერ ვიჯერეთ,
ჟამთა სვლით გრძნობის ცეცხლი თუ ქრება.
თუმც შენს გულს ფარავს ღვთიური ძალა,
ჩემიც სცემს ჯერაც — მაგრამ გახსოვდეს,
მას ერთი ფიქრი აწვალებს მარად,
რომ ვერ შევხვდებით ველარასოდეს.
და ეს სიტყვები ისე ილვრება,
როგორც ცხედართან ცრემლი და გლოვა,
ორივე ვცოცხლობთ —
თუმცა ქვრივებად ვიღვიძებთ, როცა აისი მოვა.
და განუგეშებს ეულად მავალს,
როს ჩვენი პირმშო დაიწყებს ტიტინს,
ნუთუ ასწავლი წარმოთქვას „მამა“
და თან გაუძლოს ობლობის ტკივილს!
როს ხელს ჩასჭიდებ მის პაწია ხელს,
ბაგეზე იგრძნობ მის წმინდა ამბორს,
გჯეროდეს, ისევ გადარებ ქალმერთს,
მხურვალე ლოცვას მე შენთვის ვამბობ!
გაივლის დრო და არცთუ მთლად გვიან
დამემგვანება ასული, ვიცი,
გული დაგიწყებს ფანცქალს და ფრთხიალს,
და ეს კი ნიშნავს, რომ არ ხარ სხვისი.
შეცდომა, ვიცი, ბევრი მომსვლია,
სიშმაგის დათვლა არ ძალუძს არვის,
ჩემი იმედი, როგორც თოლია,
დასდევნებია ჩრდილს შენი ანძის.
მტრად, ვიცი, მყავდა რჩეულთა დასი
და შენ ერთს გთვლიდი ერთგულ სამყაროდ,
ბოლომდე მასვი ხომ სიმწრის თასი,
რომ საბოლოოდ სულსაც გამყარო.
მორჩა, დამთავრდა ყოველი, უკვე,
სიტყვებს გაუკრთათ უხვი ფერები,
მხოლოდ ფიქრები ვერ დავიოკე,
მათ მოძალებას ველარ ვერევი.
იყავ მშვიდობით! ამ განშორების
სევდა ჩემს გულში ვერ დაეტია,
ის სუსტი ძაფიც წყდება ჩვენს შორის —
ეს კი სიკვდილზე უფრო მეტია.

დღეს ბაირონის გარდაცვალების დღეა. ეს პუბლიკაცია მის ხსოვნას მიეძღვნა. მხოლოდ მოქალაქის, გენიალური ლორდ ბაირონის მებრძოლი და ფაქიზი სული მარად თავის წილ ძალას მატებს საქართველოს.

**ინესა მერაბიშვილი**

**მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.**

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, ზურაბ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, ზიზი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.

პასუხისმგებელი მდივანი ზიზი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ანდრო ბედუკაძე.



რედაქციის მისამართი:
380005, თბილისი,
გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-87-10
განყოფილებები — 99-72-89; 99-71-68; 99-03-65. 98-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალებს ავტორებს არ ვუბრუნებთ.

„LITERATURULI SAKARTVELO“
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
გამოდის პარასკეობით

ИНДЕКС 68436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14.